619
1955

# დროშა

№ 7 ივლისი 1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა



619
6





სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. მეფრინველეობის პავილიონში. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გარეკანის პირველ გვერდზე: სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. „ხალხთა მეგობრობის“ შადრევანი.
ფერადი ფოტო მ. ტრახმანისა.

მეოთხე გვერდზე: ყაზახეთის სსრ. აგიტბრიგადა ყამირ მიწებზე.
ფერადი ფოტო ლ. რასკინისა.

ფოტოზე: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დასასვენებელი სახლი მწვანე კონცხზე; მენჯის სანატორიუმი; პიონერები მწვანე კონცხის სანაპიროზე; ტურისტები ახალ ათონში. →
ფოტო რ. აკოფოვის და ვ. ჩერკასოვისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 7 (48)

ივლისი 1955 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“

გამოცემის IV წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

6667









# ქართველები ყამირზე

ყაზახეთში არასდროს არ ელოდნენ გაზაფხულს ისე მოუთმენლად, როგორც შარშან. ნათელ დღეებსა და მზის გამოჩენას უცდიდნენ ქარიკის, აკრაბის და ჯირენკუპინის საბჭოთა მეურნეობაში, საქართველოდან ჩამოსულ ახალ მობინადრეებს ყამირი უნდა გაეტეხათ, უნდა დაეწყოთ მარცვლეული და საკვები კულტურების თესვა.

გაზაფხული კი თითქოს ჯიბრზე იგვიანებდა. აპრილი ბრძოლით იღებდა ცის ყოველ ნაჭერს, მაგრამ რუხი ღრუბლები ისევ უბრუნდებოდნენ ძველ ადგილს, ისევ ათეთრებდა მიწას თოვლი.

... იმ დღეს, როცა მატარებელმა საქართველოს წარმოგზავნილები ჩამოიყვანა, სტეპში ჩამოთბა.

აკ-ბულაყი, თოვლში ჩაკარგული პატარა სადგური, უჩვეულოდ გამოცოცხლდა და ახმაურდა. მატარებელი აქ მხოლოდ რამდენიმე წუთით ჩერდება. დამხვდურები ღელავდნენ: მოასწრებენ თუ არა ჩამოსვლას მგზავრები?

შემადგენლობა გაჩერდა. ვაგონებიდან გადმოხტდნენ ახალგაზრდები, ხელიდან ხელში დაიწყო მოგზაურობა ჩემოდნებმა, ყუთებმა. ფუთებმა, არეულობაში ვერავინ შეამჩნია, რომ მატარებელი ჩვეულებრივზე დიდხანს იდგა, ალბათ, მემანქანემ იცოდა, ვინც ჩამოიყვანა.

— ხაზარლასალიკ! გავიცნოთ! — ვაგონიდან ყველაზე პირველად ჩამოსულ მაღალ ჭაბუკს ხელი გაუწოდა ყავარჯენზე დაყრდნობილმა ყაზახმა და განაგრძო — ბორის ურუსპაევი ვარ, ქარიკის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი.

— გამარჯობა!— მხიარულად წარმოთქვა ახალგაზრდამ და ხელი ხელზე მოუჭირა, — არჩილ დოლიძე გახლავართ, დღეიდან ერთად ვიმუშავებთ.

160 კაცი ჩამოვიდა საქართველოდან. 160 მამაცი ადამიანი, რომლებიც პირველნი გამოეხმაურნენ პარტიისა და კომკავშირის მოწოდებას, რომლებიც მზად იყვნენ სიძნელეების გადასალახავად.

ჩამოსულები ოთხ ნაწილად გაჰყვეს და ქარიკის, აკრაბის, ჯირენკუპინის და ყაზახეთის 15 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობებში გაანაწილეს.

აჩქარება იყო საჭირო. ამინდი გაუარესებას აპირებდა. ყოველი ამომშრალი ნაკადული, პატარა ორმოც კი სერიოზულ დაბრკოლებად გადაიქცეოდა.

აკ-ბულაყიდან დაღამებისას გავიდნენ. მალე თხელ ნისლში გაითქვიფა სადგურის ახლომახლო მდებარე ქოხები. ავტომანქანები სტეპში შეიჭრნენ. ახალი მობინადრენი ხშირად ხტებოდნენ მიწაზე, აწვებოდნენ მანქანებს. ერთ სოფელთან, ხიდის დაზიანების გამო, იძულებული გახდნენ მდინარე ხობდუს ფონი გაეჭრათ. ახლა კი ჩაეფლნენ მანქანები. უნაყოფო ტრიალი დაიწყეს ბორბლებმა. ამაო გამოდგა მკლავების ძალაც. მეზობელ მტს-ის ტრაქტორისტებმა გამოიყვანეს ამ მდგომარეობიდან. ბუქსირით გამოათრიეს მანქანები და ისევ განაგრძეს გზა, სწორ და უსასრულო ველზე.

— ზღვასავითაა — ამოიოხრა ვიქტორ ზახარჩუკმა — თბილისის რკინიგზის დეპოს ხარატმა. — ვერაფერზე შეაჩერებ თვალს, არც მთებია, არც ტყე...

ყველგან, სადამდეც თვალი მიგიწვდება, საოცარი ერთფეროვნებაა: მოლურჯო თოვლით დაფარული სტეპი, მგლისა და რომელიღაც ცხოველის კვალი.

უსაზღვროდ დაიღალნენ მგზავრები. და უეცრად, სრულიად მოულოდნელად, მოისმა შოფრის აღტაცებული ხმა.

— გამოჩნდა, გამოჩნდა, აი ჩვენი კარ-მიდამო.

... დღისით მეურნეობის დირექტორი, ვლადიმერ ლუპონოსოვი, მაღალი და ფართობეჭებიანი კაცი მოტიტვლებულ მინდორზე დაატარებდა ახალჩამოსულებს. მათ თან ახლდათ საქმის მწარმოებელი ევგ. ფოლტმანი და აგრონომი ს. კამენსკი. დირექტორს ხშირ-ხშირად ამოჰქონდა ჩანთიდან ნახაზები და დამაჯერებლად ჰყვებოდა:

— ეს, ალბათ, კლუბია.

— დიახ, ეს კეთილმოწყობილი სასადილოა.

— ამ ბინებიდან მშვენიერი გადასახედი იქნება ხობდუსაკენ.

— პარკი, მგონი, ვერ უნდა იყოს კარგად დაგეგმილი, არა უშავს, გადავაკეთებთ.

— ახლა კი ელექტროსადგური მოვინახულოთ...

ეს „ობიექტები", ჯერჯერობით, მხოლოდ ქაღალდზე იყო. მაგრამ უცნაურია, ახალი მობინადრენი ერთი წუთითაც არ დაეჭვებულან, რომ ახლო ხანში ყველაფერი გაცოცხლდებოდა, სინამდვილედ გადაიქცეოდა.

ყამირის ათვისების საქმეში პირველი სიტყვა მექანიზატორებმა თქვეს.

...ოთარ გოგოლაძეს დილაადრიან გაეღვიძა. ასანთი გააჩხაკუნა და ისე, რომ არავინ გაეღვიძებინა, პირის დასაბანად წავიდა. საწოლიდან ვიღაცამ წამოჰყო თავი და შეშფოთებით თქვა:

— მგონი, შუადღე წამოგვადგა.

— ჩუმად, იძინე — ჩაიჩურჩულა ბრიგადირმა, — ჯერ ადრეა.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყველანი აჩქარებით იცვამდნენ. მომცრო, დაბალჭერიანი ოთახი გამოცოცხლდა და ახმაურდა.

ქუჩიდან ვიღაც გოგონას ყვირილი მოისმა:

— პირველი ბრიგადა დატვირთვაზე!

ცენტრალურ შენობასთან ისეთივე ხმაური იყო, როგორც ამ ხუთი დღის წინათ — კომკავშირელების ჩამოსვლის დღეს. ახლა კი ისინი მინდვრად მიდიოდნენ. ტრაქტორები მიდამოს აყრუებდნენ მოტორების გუგუნით და ბორბლებით ზელდნენ გაზაფხულის სქელ ტალახს.

ოდნავ ინათლა თუ არა, ქართველი ტრაქტორისტებისაგან შემდგარი ბრიგადა ყამირზე გავიდა.

ტრაქტორისტები გზადაგზა წახნავდნენ მიწას და მერე უკან იყურებოდნენ: აკვირდებოდნენ პირველ კვალს, აინტერესებდათ, როგორი იყო აქაური მიწა.

* * *

სტეპში გაზაფხულის სეტყვა მძვინვარებდა.

მეორე დღეა წვიმდა. წვეთები კაბინაშიც შემოდიოდა. არჩილ დოლიძე ხშირ-ხშირად იყურებოდა უკან. სახნისის გარდიგარდმო წვებოდა შავი, აზელილი მიწა. თანდათან ტყდებოდა ყამირი. გუთანზე კი შიო გედევანიშვილი იჯდა და სველდებოდა.

დიდხანს ითმინა შიომ, მერე ხელი ჩააქნია და ტყვიისფერ ღრუბლებზე მიუთითა. ტრაქტორი გაჩერდა.

— მესამეზე გადართე, — დაუყვირა მან ტრაქტორისტს, — ასე ვერ მოვასწრებთ. — არჩილ დოლიძემ სიჩქარის ბერკეტი გადართო. ტრაქტორი შესამჩნევად აჩქარდა. ცოტა ხნის შემდეგ დოლიძემ იკითხა:

— რამდენი წრე შემოვიარეთ?

— მეთერთმეტეს ვიწყებთ, — უპასუხა გადამბმელმა.

შეუმჩნევლად მიდიოდა დრო. თანდათან მატულობდა ხნულის კვალი, მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე... თუ არაფერი მოხდა, ერთნახევარი ნორმის შესრულება უზრუნველყოფილია.

ბოლოს და ბოლოს მოპოვებული იქნება წითელი ალამი, ისიც ასეთ ამინდში.

სამი დღის განმავლობაში შოფრები გამოცდილ ტრაქტორისტებთან ერთად მუშაობდნენ. დღეს კი არჩილ დოლიძე დამოუკიდებლად ხნავდა. ხუმრობა ხომ არ არის, ასეთ ამინდში ერთნახევარი ნორმა შეასრულეს. მხიარულები ბრუნდებოდნენ ტრაქტორისტები საველე სადგომისკენ.

მაგრამ მეორე დღეს მოვიდა უბნის აგრონომი შოთა მემანაშვილი და ნახნავი დაიწუნა. ხნულის სიღრმე მხოლოდ 15 სანტიმეტრი აღმოჩნდა. — ხელახლა გადახანით და მეორედ აღარ დაგემართოთ ეს ამბავიო, — ბრძანა აგრონომმა. ეს მიწა კი არა, განძია, ასე უბრალოდ არ უნდა გააფუჭოთ.

ნაკვეთი ხელახლა გადახნეს, მაგრამ ეს შემთხვევა გაკვეთილად გამოადგა მთელ ბრიგადას. გაიზარდა პასუხისმგებლობა, თვითკონტროლი და შემდეგი დეკადის ბოლოს ახალგაზრდა აღმრიცხველმა ზაიმულა უტებალინმა მაჩვენებელ დაფაზე აღნიშნა, რომ ყამირი „ფრიადზე" იყო მოხნული.

* * *

ტყუილად იფარებდნენ შუბლთან ხელს და ტყუილად გაჰყურებდნენ ტრაქტორისტები მდინარე ხობდუს. არ ჩანდნენ ავტომანქანები, რომლებსაც საწვავი მასალა უნდა მოეტანათ. ადიდებულიყო მდინარე. ნაპირები წაელეკა.

— ვარსკვლავი, ვარსკვლავი! — იძახდა მიკროფონში რადისტი — გაგვითავდა საწვავი, ტრაქტორებს ვაჩერებთ.

— არა, არ ვაჩერებთ! — საველე ვაგონში დასველებული და წვერმოშვებული ბიჭები შემოიჭრნენ ოთარ გოგოლაძის ბრიგადიდან. სახეები გამარჯვების სიხარულითა და ბრძოლის სურვილით ანთებოდათ. — არის საწვავი! — მოახსენა მთავარმა მექანიკოსმა დირექტორს. აი, ამ ბიჭებმა, თბილისელებმა მოიფიქრეს. ყინულიან წყალში ყელამდე შესულნი, ჯიუტად ეწეოდნენ ბაგირს მეორე ნაპირისკენ. ბაგირს უზანგის მაგვარი მარყუჟი შეაბეს. მასზე საწვავი მასალით სავსე კასრები ჩამოჰკიდეს და... მუშაობა განახლდა.

როდის იყო ეს? ნუთუ მხოლოდ რამდენიმე თვემ გაიარა მას შემდეგ? რატომღა ეჩვენებათ ეს დრო შორეულ წარსულად? იმიტომ რომ მომდევნო დღეებიც სავსე იყო არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და ამაღელვებელი მოვლენებით...

განა ცოტა დრომ გაიარა მას შემდეგ, რაც მექანიზატორები მშენებელ-სპეციალისტების ნაკლებობის გამო, დურგლებად და მხერხავებად, მეღუმელეებად და ქვისმთლელებად გადაიქცნენ? განა დიდი ხანი არ არის, რაც გაიყვანეს და გაამშვენიერეს „ახალი მოსკოვის" ქუჩა? რაც ახალი სოციალისტური ქალაქი გააშენეს თავისი მაღაზიებით, საერთო საცხოვრებლებით, კლუბით, სოციალისტური ქალაქი, რომელიც ჯერ რუკაზე არც არის აღნიშნული? განა ახლახან არ იყო პურის ამონაყარს რომ დაჰხაროდნენ და მერე წელამდე წამოზრდილ ყანაში დადიოდნენ? მაგრამ ახალ და ახალ სამუშაოებს მზრუნველობა სჭირდებოდა და ყამირელებს არ ეცალათ მოპოვებული მიღწევების საჭვრეტად.

* * *

შემოდგომაზე ქარიკის საბჭოთა მეურნეობის კანტორა ჩვეულებრივად როდი გამოიყურებოდა. მთელი თავისუფალი ადგილი — იატაკი, დივანი, მაგიდები ახალმომკილი პურის ძნებით იყო დაფარული. თაროებზე კი, მომცრო თოფრებში ჩაყრილი ოქროსფერი პურის მსხვილი მარცვლები დაელაგებინათ. კანტორის ყოველი ოთახი ახალმომკილი პურის, მიწისა და სტეპის ქარის სასიამოვნო სურნელებით გაიქღინთა, პირველად და სამუდამოდ. გარდაიქმნა, გაცოცხლდა სტეპი. ისეთი მოძრაობა იყო, რომ მანქანებმა ხუთ-ექვს კვალად დასერეს გზები. არც დღისით და არც ღამით არ ნელდებოდა ტრაქტორებისა და კომბაინების გუგუნი. მეურნეობის საწყობებთან განუწყვეტლივ ისმოდა ავტომანქანების საყვირთა ხმა.

ახალი მობინადრენი შეექცეოდნენ ყაზახეთის მიწაზე მოყვანილ, ახალგამომცხვარ თბილ პურს. სიამაყითა და ბედნიერებით გაბრწყინებოდათ სახეები.

* * *

გაიარა ერთმა წელმა. ჩვენ თვალნათლივ ვნახეთ, თუ როგორ ხორციელდება ცხოვრებაში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებები.

უცბად და უბრალოდ არ კეთდება დიადი საქმეები. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ, უნარი შესწევთ შეამოკლონ დრო, დააჩქარონ გეგმების შესრულება.

ის, ვინც წელს ეწვია აქტიუბინსკის ოლქს, იმ ადგილებს, რომლებიც აქამდე ხრიოკი სტეპების მანიშნებელი ყავისფერი საღებავით იყო აღნიშნული გეოგრაფიულ რუკებზე, დაინახავდა და კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა, თუ რაოდენ სასწაულთმოქმედია საბჭოთა ადამიანთა ერთიანი ნება-სურვილი.

ერთი წლის განმავლობაში აქ მკვიდრად დასახლდნენ რუსეთიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული ადამიანები.

ერთი წლის განმავლობაში სტეპის ლანდშაფტის აუცილებელ მოვლენად გადაიქცა არა მარტო საველე ვაგონები, არამედ კეთილმოწყობილი, მტკიცედ ნაგები სახლები, სწორი, დაგეგმილი ქუჩები. ბიბლიოთეკებში მრავლადაა წიგნები, რომლებიც რადიომიმღებებთან, პატეფონებთან, აკორდეონებთან ერთად გამოგზავნეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ქარიკის საბჭოთა მეურნეობამ 86 ამანათი მიიღო, აკრაბისამ 96 და ა. შ. საზეინკლო ინსტრუმენტები, ხილი, წიგნები, რადიომიმღებები გამოგზავნეს ზესტაფონიდან და ჭიათურიდან, რუსთავიდან და ქუთაისიდან, გარდაბნიდან და თბილისიდან. გზავნიდნენ დიასახლისები, მოსწავლეები, მუშები და მოსამსახურეები, დაწესებულებანი და წარმოებანი.

ახალაგებულ სკოლებში ახალ მობინადრეთა ბავშვები, არა მარტო სახელმძღვანელოებით, პირდაპირ ფანჯრებიდან სწავლობენ კომუნიზმის აღმშენებლობის ცოცხალ ისტორიას.

...ქარიკის მეურნეობის კანტორაში დაძაბული, საქმიანი ატმოსფეროა გამეფებული. ახალი იერიშის მიტანას აპირებენ ყამირზე. ხობდის რაიონის მეურნეობაშიც გამოცოცხლებაა. კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს ამზადებენ მეორე მოსავლის ასაღებად, რომელიც ცხრა მთას იქით როდია. აშენებენ ახალ საწყობებს, რადგან წელს გაცილებით მეტ მოსავალს ელიან შარშან დელთან შედარებით.

დიდი და სახელოვანი გზა განვლეს სხვებთან ერთად საქართველოს წარმოგზავნილებმა. ბევრი სიძნელე გადალახეს და კიდევ ბევრი აქვთ გადასალახავი.

ყველაფერი ლამაზია აქ, და რაც მთავარია, ადამიანები, მათი საქმეები, მათი ოცნებანი და მისწრაფებანია ლამაზი.

**ედ. ლისიანსკი**



# გამოფენის მთავარი აგრონომი

ს. რიჟინაშვილი

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მრავალი მონაწილე კარგად იცნობს საქართველოს სსრ პავილიონის უფროს აგრონომს სევერიან არსენის ძე მჟავანაძეს, ციტრუსოვანი კულტურებისა და ჩაის გამოცდილ სპეციალისტს.

სევერიან მჟავანაძემ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას მოანდომა. ჯერ კიდევ 1927 წელს, ს. მჟავანაძის ინიციატივით, ქ. ფოთში ჩამოყალიბდა მეცხოველეობის განხრის გარეუბნის კოლმეურნეობა, სადაც სევერიანი სამი წლის განმავლობაში თავმჯდომარედ იყო. მისივე ინიციატივით კოლმეურნეობამ მაშინ ჯიშიანი მეწველი პირუტყვი შეიძინა, ზოოვეტინსტიტუტის ინკუბატორიდან კი — შინაური ფრინველი. ამ კოლმეურნეობის ბაზაზე შემდეგ ჩამოყალიბდა ორი კოლმეურნეობა: „მეურნე“ და „წითელი მეურნე“.

კოლხეთის საცდელ-მელიორაციულ სადგურში მუშაობის პერიოდში ს. მჟავანაძე მონაწილეობდა საცდელი მინდვრების — სუფსის, ჭალადიდის, კოლხეთის დაბლობის სხვადასხვა ზონის საცდელი ნაკვეთების ორგანიზაციაში. საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის დროს, კერძოდ, ალამბრის საბჭოთა მეურნეობაში, ს. მჟავანაძემ შეიმუშავა მთის კალთებზე პლანტაციების ნახევარტერასებად განლაგების სისტემა. შემდეგში ეს სისტემა ტრესტის სხვა საბჭოთა მეურნეობებშიც იყო გამოყენებული, ხოლო ავტორი პრემირებულ იქნა ფულითა და ფასიანი საჩუქრებით.

1936 წლის მაისში საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს საჩუქარი გაეგზავნათ მოძმე უკრაინის მეშახტეებისათვის დონბასში. დონბასის დედაქალაქ სტალინოში, სხვა ამხანაგებთან ერთად, ჩავიდა ს. მჟავანაძეც. საქართველოს კოლმეურნეებისგან საჩუქრად ჩაიტანეს ექვსასი ძირი ლამაზად შეფუთული ციტრუსოვანი მცენარე. სევერიან მჟავანაძე სიამოვნებით იგონებს ახლა იმ დღეებს, როცა იგი, მოძმე საქართველოს ხალხის წარგზავნილი, შახტიდან შახტში გადადიოდა და მეშახტეებს სათითაოდ ურიგებდა უბრალო, გულითადი წარწერით შემკულ საჩუქრებს: „დონბასის მეშახტეს საქართველოს კოლმეურნისგან“.

გავიდა წლები. შეჯამებულ იქნა 1939 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შედეგები. წარმატებითი მუშაობისათვის ს. მჟავანაძე დაჯილდოებულ იქნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მცირე ოქროს მედლით.

ს. მჟავანაძე დაჯილდოებულია აგრეთვე საპატიო სიგელებით, შარშან კი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილის მედლითაც დააჯილდოეს.



ს. მჟავანაძე დროის დიდ ნაწილს ატარებს გამოფენის საქართველოს პავილიონის ორანჟერეაში, რომელიც შესანიშნავი კუთხეა მთელს პავილიონში, ჭეშმარიტად მას ქალაქი-ბაღი შეიძლება ვუწოდოთ. შრომა და ენერგია არ დაუშურებია ს. მჟავანაძეს ამ ზღაპრული კუთხის შესაქმნელად. ალბათ, ამიტომაა, რომ მთავარი აგრონომი საქმიან საუბრებს ყოველთვის აქ, ამ ორანჟერეაში ატარებს ხოლმე. ეს ჩვევად გადაექცა მას. საქართველოს პავილიონის მარად მწვანე, მარად აყვავებული და ხეხილით სავსე ბაღი ათასობით ადამიანს უნახავს თავისი თვალით. ზოგიერთებს ორანჟერეა ჯერ კიდევ 1939 წლიდან ახსოვთ. მაშინ პირველად ნახეს მოსკოვში საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი მხარის — მზიური საქართველოს, საბჭოთა სუბტროპიკების მდიდარი ბუნების პატარა ნაწილი. აქ შემორჩენილია 1939 წელს საქართველოდან მიწიანად და ფესვებიანად ჩატანილი ციტრუსოვანი ხეები. ეს ხეები ახლაც შესანიშნავად ხარობენ ორანჟერეაში, მოსკოვის მიწაზე. მაგრამ, როცა ამაზე ჩამოვარდება საუბარი, ს. მჟავანაძე, უეჭველად, მოიგონებს ხოლმე მოსკოველებს: დიდი სამამულო ომის მძიმე პერიოდში მოსკოველებმა სათუთად დაიცვეს ორანჟერეა, და მიუხედავად ომის მკაცრი დღეების ენით გამოუთქმელი გაჭირვებისა, გაჩანაგებას გადაარჩინეს იგი.

როცა 1952 წელს გადაწყდა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კვლავ გახსნა, საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებით 1952 წლის მიწურულში ს. მჟავანაძე ისევ გაიგზავნა მოსკოვში, გამოფენის საქართველოს პავილიონში. მას აქეთ ს. მჟავანაძე დედაქალაქში ცხოვრობს და მთელი მონდომებით უვლის მოსკოვის მიწაზე გაშენებულ ორანჟერეას, ბაღს, ჩაის პატარა პლანტაციასა და ვენახს. უნდა გენახათ, როგორ ღელავდა ს. მჟავანაძე პავილიონის მთელ კოლექტივთან ერთად, როგორ ემზადებოდა გამოფენის გახსნისთვის შარშან.

გამოფენა გაიხსნა 1954 წელს. უსასრულო ნაკადად მიედინებოდა ხალხი გამოფენაზე მოძმე რესპუბლიკების პავილიონების სანახავად. აუარებელი სტუმარი ეწვია საქართველოს პავილიონსაც. ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ სტუმრები უფროს აგრონომთან და ესაუბრებოდნენ ლიმონის, ფორთოხლის ან სხვა ციტრუსების მოვლაზე: რა პირობებში გაიხარებს ლიმონი მოსკოვში, ჩიტაში, ლენინგრადში, როგორი სასუქი დასჭირდება, რა ნიადაგი უკეთესია, რამდენი წყალი, როგორი განათება, რა სითბოა საჭირო და სხვ. ან კიდევ ასეთი კითხვა: როგორი ლურსმნები და მინებია გამოყენებული ამ ორანჟერეაშიო? ათასნაირი, ზოგჯერ მოულოდნელი კითხვებით მიმართავენ სტუმრები პავილიონის უფროს აგრონომ ს. მჟავანაძეს, და თვითეულ კითხვაზე იგი ცდილობს გასცეს მოკლე, ამომწურავი პასუხი.

შარშან პავილიონში ციტრუსის ნერგების გაყიდვა მოეწყო. ხის კასრებითა და ყუთებით, თიხის ქოთნებით ნერგები ჩატანილ იქნა დასავლეთ საქართველოდან მოსკოვში, და აქედან ჩვენი თვალუწვდენელი საბჭოთა ქვეყნის ყოველი კუთხისკენ გაიგზავნა. მაგრამ არც ერთი ნერგი ს. მჟავანაძეს არ გაუშვია ისე, რომ ცნობები არ დაეტოვებინოს. იგი იწერდა ყველას გვარსა და მისამართს, ვინც კი ნერგს შეიძენდა, შემდეგში მათთან მიწერ-მოწერა რომ ეწარმოებინა, რომ სცოდნოდა „თავს როგორ გრძნობს“ ესა თუ ის ნერგი, მაგალითად, ლენინგრადში პოდმოსკოვიეში, ხაბაროვსკში, რიგაში.

ჩვენ დავსწრებივართ ს. მჟავანაძის საუბრებს ციტრუსოვანი კულტურების შესახებ, როგორც სპეციალისტებთან, ისე მოყვარულებთან, და გაგვაოცა მისმა მოხდენილმა და დიდი ტაქტით ჩატარებულმა კონსულტაციებმა.

მიმდინარე წელს ს. მჟავანაძის ხელმძღვანელობით განახლებულია ორანჟერეა, შევსებულია მაღალმოსავლიანი მცენარეულობით, ნიადაგში შეტანილია სასუქი, მიღებულია ყოველგვარი ზომები მცენარეების სასოფლო-სამეურნეო მავნებლებისა და სენისგან დასაცავად.

ს. მჟავანაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განუწყვეტელ მიწერ-მოწერას აწარმოებს მთელი ჩვენი ქვეყნის ციტრუსების მოყვარულებთან. მისი რჩევით ნოვოტაგილის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოკიდეს ლიმონის ხეების გამოყვანას სათბურებში.

შარშან. ს. მჟავანაძეს საინტერესო საუბარი ჰქონდა პოდმოსკოვიეს ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ფ. ს. გენერალოვთან და ამ კოლმეურნეობის აქტივთან. გამოფენის მონაწილეებს გადაეწყვიტათ თავის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო ციტრუსების სათბური მოეწყოთ. აი სწორედ ამაზე ჰქონდათ მათ საუბარი ს. მჟავანაძესთან. უფროსმა აგრონომმა აღუთქვა დახმარება ამ საინტერესო და სასარგებლო საქმეში, ყველაფერს გავაკეთებ, რომ თქვენ საკუთარი ლიმონი გქონდეთო. მაგრამ მოულოდნელმა ავადმყოფობამ მაშინ ხელი შეუშალა მთავარ აგრონომს თავისი დაპირება განეხორციელებინა. ახლა სევერიან მჟავანაძე მთელი მონდომებით მუშაობს ამ საქმის მოსაგვარებლად.

გარდა ყოველდღიური მუშაობისა პავილიონში, ს. მჟავანაძე ამჟამად ამუშავებს რეჟიმს მოსკოვისა და მისი ოლქის პირობებში დახურულ გრუნტში ციტრუსების ნერგების გამოსაყვანად. ეს მუშაობა ფაქტიურად დამთავრებულია. ახლა ს. მჟავანაძე მხოლოდ მის გაფორმებასა და სისტემატიზაციას ეწევა.

... გადის დღეები, კვირეები. გამოფენაზე მოდიან მონაწილეებისა და ექსკურსანტების სულ ახალი და ახალი ჯგუფები. ბევრი მათგანი საქართველოს პავილიონში თავის ძველ ნაცნობს — უფროს აგრონომ ს. მჟავანაძეს ხვდება, და კვლავ გატაცებით ესაუბრება მათ ეს ადამიანი თავის საყვარელ საქმეზე, კვლავ დაუღალავად უზიარებს ყველა მსურველს თავის მრავალწლოვან გამოცდილებასა და ცოდნას ციტრუსების მოვლის საქმეში.



# ბავშვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტონარკვევი ოთ. თურქიასი

ფოტოზე (ზემოდან ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ): თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა ცენტრალურ პარკში ბავშვები უსმენენ ლექციას: „ქუჩაში მოძრაობის წესების შესახებ“.

შორეულ მოგზაურობაში. „კაპიტანი“ ირაკლი ყარალაშვილი (მარჯვნივ) გასცქერის უსასრულო „ზღვის“ სივრცეს.

სათამაშოების ოთახის „მომხმარებლები“.

ცენტრალურ პარკში პატარა საცურაო აუზია მოწყობილი. აქ გამოცდილი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ბავშვები ეუფლებიან ცურვას.









# და ჩვენი ზაფხული



თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი მუდამ ბავშვებითაა სავსე: ქალაქში დარჩენილი მოსწავლეები ხეთა ჩრდილქვეშ და ყვავილების სიახლოვეს ზაფხულის სიცხეს ვერ გრძნობენ. აქ ყველაფერია იმისათვის, რომ პატარა „დამსვენებლებმა“ მხიარულად და შინაარსიანად გაატარონ დრო. პარკში ხშირად აწყობენ კონცერტებს საქართველოს ფილარმონიის მსახიობები, თავის საუკეთესო წარმოდგენებს აჩვენებს თოჯინების თეატრი, უკრავს სასულე ორკესტრი.

არ არის საჭირო სათამაშოების სახლიდან წამოღება. ყოველ მოსწავლეს შეუძლია აქვე მიიღოს თავისი საყვარელი სათამაშო. დაჰქრიან პარკის ხეივნებში ორთვალა და სამთვალა ველოსიპედები, ხელიდან ხელში გადადის ბურთი, აგერ, ოჩაფეხებზე შემდგარან პატარა ბიჭები და გოლიათებს დამსგავსებიან.

ჩქარ-ჩქარა ცვლიან ერთმანეთს პარკის „დამსვენებლები“, — სახლებში წასულან „დასვენებით დაღლილნი“, ახლა სხვა გოგონები და ბიჭუნები აყრუებენ ხეივნებს.

ცენტრალურ პარკში პიონერთა ბანაკიც მუშაობს. 13 ასეთი ბანაკია მოწყობილი თბილისის სხვადასხვა რაიონში. ეწყობა ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრებანი, ამ ზაფხულს თბილისის პიონერები სტუმრად ელიან ქალაქ ტუშინოს პიონერებს. მათ დიდი ხნის მეგობრობა აქვთ ერთმანეთთან.

პიონერთა საყვირის ხმა ეფინება თბილისის პარკებსა და ბაღებს. და იქნებ იმავე დროს, ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე, საყვირი უხმობს ამიერკავკასიის რკინიგზის წყნეთის ბანაკის პიონერებსაც. ამ ბანაკში წელს 400-ზე მეტი მოსწავლე დაისვენებს, გაჯანსაღდება და ახალი ძალითა და ენერგიით შეუდგება სასწავლო წელს.



წყნეთის ამიერკავკასიის რკინიგზის პიონერთა ბანაკში მოწაფეებმა გააკეთეს ცოცხალი მაკეტი: „ლენინის ქოხი რაზლივში“. ამ ქოხთან ბავშვები ხშირად უსმენენ საუბარს ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მრავალმა მათგანმა პირველად აქ, პიონერთა ბანაკში გაიგო, თუ რა დაუღალავ შრომას ეწეოდნენ, რამდენ გაჭირვებას იტანდნენ დიდი ბელადები — ლენინი და სტალინი ხალხთა ბედნიერების მოსაპოვებლად, იმის შესაქმნელად, რომ ბავშვებს მუდამ საამური ცხოვრება ჰქონოდათ.

ნ ა ხ ვ ა მ დ ი ს!



დილა პიონერთა ბანაკში.

— რამდენი მოვიმატე?



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



პლატონ ბებია

მხატვარი ალ. ბანძელაძე

# შალაფა

მოთხრობა

** იმ** დღეს გადაუღებლად თოვდა. სოფელი სევდისმომგვრელ მდუმარებაში ჩაძირულიყო. თითქოს დედამიწაზე სიცოცხლის ნიშანწყალი ჩაქვდაო — ბაიბური არსაიდან ისმოდა.

დილით დიდი ხნის უნახავი სიყრმის მეგობარი ბონდო ნადარეიშვილი მეწვია. საოცრად ფერუცვლელია ყრმობის შთაბეჭდილება: რატომღაც ბონდო ისეთივე პირტიტველა ბიჭი მეგონა, როგორიც იყო ის მრავალი წლის წინათ, როცა ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. ოდესღაც შავი, ხუჭუჭა თმა შევერცხლოდა და საკმაოდ შეთხელებოდა, აქა-იქ წვერ-ულვაშსაც შეპარვოდა ჭაღარა, თვალთა უპეების გასწვრივ ნაოჭები გაჰკვროდა და ხმასაც ოდნავ თუ ეტყობოდა უწინდელი ხავერდოვნება. მხოლოდ ბონდო ახლა უფრო ახოვანი ჩანდა და მისი ისარივით გამჭოლი შავი თვალები ისევ ახალგაზრდული ცეცხლით კიაფობდნენ. იქნებ, უცნაურად გეჩვენოთ, მაგრამ ნამდვილად კი მოხდა, ბონდოს ნახვამ ცხადად დამარწმუნა, რომ მეც ფეხი სიბერეში შემიდგამს.

გაჩაღებულ ბუხარს მივუსხედით და ყრმობის მეგობართა წესისამებრ — მოგონებათა გრძელი ქსელი გავაბით.

შენისლულ ფანჯრიდან ბუნდად მოჩანდა ეზოში განმარტოებით მდგარი სუროშემოხვეული ხურმის ხე. სუროს დამშეული შაშვების გუნდი დასეოდა. ახლა როდი ისმოდა მათი გაცხარებული ჭახჭახი; სიცივითა და შიმშილით გათანგული ფრთოსნები უხმოდ კენკავდნენ სუროს მარცვლებს.

ეს სუროშემოხვეული ხურმის ხე ჩემი ბავშვობის თანაზიარი იყო. ზამთრობით მის შტოებში შაშვებს ძუის მახეს ვუგებდი. ზაფხულში კი, ხშირად მიყვარდა მის განიერ ჩრდილში ნაფოტის ხუხულების კეთება და ოცნება ღმერთთან მორკინალ დევკაც არამხუტუზე.

ერთხელ, გაზაფხულზე, საიდანღაც ნაყარი ფუტკრის მთელი ოჯახი გამოჩნდა და ხურმის შტოზე გიდელივით ჩამოეკიდა. კარგი სანახავი იყო ფეხებით ერთმანეთს გადაჭდობილი უამრავი ფუტკარი. მიკვირდა, სად ჰქონდათ ამ პატარა მწერებს იმდენი ღონე, რომ ჯაჭვის რგოლებივით ერთმანეთზე გადაბმულთ, შტოზე თავი შეემაგრებიათ. მაგრამ იმ დღეს ჩემმა ანცობამ იმდენი ცრემლი მაღვრევინა, რომ პირვანდელი სიხარული სულ ჩამაშხამა. მინდოდა, ფუტკრებთან ჩემი მაშინდელი ომის ამბავი ბონდოსთვის მომეთხრო, მაგრამ, მოულოდნელად, მეზობლის ეზოდან სიმღერა მოისმა და სათქმელი გადამავიწყდა. ორნი მღეროდნენ:

დილით მზე ამოსულიყო,
შენ ამოუსწარ წინაო,
თუ ჩემი ტრფობა არა გაქვს,
ნეტავი მაცოდინაო,
არც უკან მოგეწეოდი,
არც შეგხვდებოდი წინაო...

ნესტით გაჟღენთილ ჰაერში სიმღერა ოდნავ ყრუდ, მაგრამ მაინც ერთობ საამოდ გაისმოდა. რატომღაც ბონდოს მოუსვენრობა დაეტყო. თვალები აუციმციმდა, ლოყები შეუფაკლდა და წარბებაზიდული ერთთავად ფანჯრისაკენ იყურებოდა. მერე თითები გაატკაცუნა, თან სტვენა მორთო, ცდილობდა სიმღერის ჰანგისთვის წაებაძა.

— ეჰ, რატომ არა მაქვს სიმღერის ნიჭი!.. — წამოიძახა ბონდომ, უცებ წამოდგა და წინა ფანჯარა გამოაღო.

ოთახში ცივი ნიავი შემოიჭრა. ისევ ხვავიანად ბარდნიდა. მეც ფანჯარასთან მივედი. მეზობლის ორი ბიჭი ოდის სახურავზე ასულიყო. ისინი მარჯვედ იქნევდნენ თოვლსახვეტებს. ისმოდა სახურავიდან დაქანებული თოვლის ვეებერთელა გუნდების ბაგუნი. ბიჭები ერთ ხანს შესდგნენ, შეციებული ხელები თოვლით დაიზილეს, მერე ისევ მოუსვეს თოვლსახვეტები და სიმღერაცააყოლეს:

თუ ჩე-მი ტრფო-ბა არ-ა გაქვს,
ნე-ტა-ვი მა-ცო-დი-ნა-ო...

— რა გულწარმტაცი სიმღერაა!.. — ამოოხვრით თქვა ბონდომ.

მართლაც მშვენივრად მღეროდნენ ბიჭები. სიმღერის ჰანგში საოცნებო ფერადოვნებით იხატებოდა სიყვარულით აღგზნებული გულის აუხდენელი ნატვრა.

ნიავმა იძალა და სახეზე თოვლის ფიფქები შემოგვაყარა. ფანჯარა მივხურე. ბონდომ მუგუზლებს შეუჩუჩხურა, ბუხართან ჩაძინებულ კატას ფაფუკ ზურგზე ნაზად ხელი გადაუსვა და, როგორც ოცნებაში წასულ ადამიანს სჩვევია ხოლმე, ნელა ჩაილაპარაკა:

— ა-ა, რა კარგი სიმღერაა!..

და მე ისევ შევნიშნე, თუ როგორ გადაურბინა მის სახეს მკრთალმა ნათელმა.

— გეტყობა, შენ იმ სიმღერამ რაღაც განსაკუთრებულად აგიძგერა გული, ხომ არ... — მაგრამ ბონდომ სიტყვის დამთავრება არ დამაცალა:

— განა ახლა!.. — მითხრა მან და მერე, თითქოს ერთგვარი ყოყმანით დაუმატა: — ერთ დროს ამ სიმღერას გულში ჩუმად ვმღეროდი.

— რატომ ჩუმად?! ვინ გიშლიდა, ხმამაღლა გემღერა?!

— ვინ მიშლიდაო? ჰა, ჰა, ჰა!.. ვის უნდა დაეშალა, თუ არა ცალფა სიყვარულს, რომელიც ხან კურდღელივით მხდალია, ხან კი ლომივით შეუპოვარი.

— უთუოდ საინტერესო ისტორიაა, მოდი მიამბე, — ვთხოვე მე.

— თავი დამანებე, — მითხრა მან სიცილით, — რა დროს ჩემი სიყვარულზე ლაპარაკია, ჩემი ვაჟები საცაა კარზე პატარძლებს მომაყენებენ და, ალბათ, მალე ბაბუაც გავხდები.

— თავს ნუ იკატუნებ, — არ ვეშვებოდი მე, — ვითომ ბებერი ხარ, ქალები რომ გისმენდნენ, ასე როდი ილაპარაკებდი. მიამბე, მიამბე! ეს უთუოდ ახალგაზრდობის ამბავია... არა უშავს რა, ნათქვამია: ყურძნის ქურდი იანვარში გამოტყდებაო.

ბონდო ერთ ხანს ხმას არ იღებდა, ულვაშებში მიმალული ღიმილით ცეცხლს ჩასცქეროდა, მერე პაპიროსი გამომიწოდა.

— მოვწიოთ! — მითხრა მან, — რაკი არ იშლი, გიამბობ, ოღონდ არ დამცინო, იცოდე!

I

„უთუოდ გახსოვს, რომ ჩვენს სკოლას აგრონომიული განხრა ჰქონდა, — დაიწყო ბონდომ, — ჰო და, როცა სწავლა დავასრულეთ, შენ ხომ აქედან ფეხი ამოიკვეთე სამუდამოდ, მე კი — ახლადგამოჩეკილი აგროტექნიკოსი — ჩემი სოფლის კოლმეურნეობაში გამგზავნეს. დედაჩემი სიხარულით ფეხს მიწას არ აკარებდა: აწი რა მიჭირს, ბონდო მომესწრო და ობლების გამოზრდაში შემეშველებაო, თანაც მეზობლებში თავი მოჰქონდა, აქაოდა ნასწავლი შვილი მყავსო. განა არ გახსოვს, მაშინ სოფელში საშუალო განათლების კაცი თითზე ჩამოითვლებოდა. დედაჩემს რა გაემტყუნება, როცა მეც ფუჭი თავთავივით ცხვირს მაღლა ვიწევდი, — ჩემი თავი დიდ ვინმედ მიმაჩნდა. მაგრამ ამან დიდხანს როდი გასტანა. გლეხი ხომ არავის შეეპუება, როცა საქმე მეურნეობას შეეხება. სანამ ის თავის მრჩევლად მიგიღებდეს, არა ერთხელ გამოგცდის, და ვაი შენი ბრალი, თუ არ მოეწონე. არ დაგზოგავს, სიმართლეს პირში მოგახლის. მე მაშინ ეს არ ვიცოდი, ადვილად სათქმელი ასევე ადვილად საკეთებელიც მეგონა, მაგრამ

მეზობლებმა ჩემს ცუდმედიდობას მალე წყალი გადაასხეს. და მე მივხვდი, რომ ამაო თავმოწონებით შორს ვერ წავიდოდი.

— აბა, რა ეგონა სოფრომას ცხვირმოუხოცავ ბიჭს, ყველაფრის ცოდნას რომ იჩემებს, — დედაჩემის გასაგონად ეთქვა მოხუც გლეხ პავლეს, როცა პირველ წელს სილოსი გაგვიფუჭდა.—ვუთხარი, კოშკის კედელი ეგრე კი არ უნდა ამოგეყვანათ, ცოტა დამრეცი უნდა ყოფილიყო-მეთქი, არ დამიჯერა, და ნახოს ახლა თავისი ნახელავი. სწორედ მაგაზეა ნათქვამი: ნურც შენით გცოდნოდეს და ნურც სხვისი გაგეგონოსო.

ამის გამგონე დედაჩემი გაცოფებული მოვარდა შინ: როგორ თუ მაგ გადამღრძვალმა ბებერმა ჩემს ვაჟკაცს ცხვირმოუხოცავი უწოდა, ან ჩემი მიცვალებულის სახელის ხსენება როგორ გაბედაო!

რა თქმა უნდა, მეც მეწყინა პავლეს ნათქვამი, მაგრამ დედაჩემის გულისწყრომას არ ავყევი. „მართალია, ბერიკაცს აბუჩად ავუგდივარ,— ვფიქრობდი გულში,—მაგრამ მაინც ვერ შევედავები, სხვა არა იყოს, ჩემი ხნის შვილიშვილები ყავს. რა ვუყოთ, მოხუცმა სიტყვა ვერ გამოზომა, მის ნათქვამში სიმართლეც ხომ ურევია-მეთქი“. ეგ სიმართლე მთელი ორი წელიწადი ჭინჭარივით სუსხავდა ჩემს ახალგაზრდულ თავმოყვარეობას, იმ დღიდან ბეჯითად მოვეკიდე საქმეს და შვებით ამოვისუნთქე მხოლოდ მაშინ, როცა ერთ მშვენიერ დღეს იგივე პავლე რაღაც საქმეზე ჩემთან რჩევის საკითხავად მოვიდა. გულისყურით მომისმინა პავლემ, ეტყობოდა, ჩემი ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა.

— შვილო, მე შენ ერთხელ გაწყენინე, რა ვქნა, პირში მთქმელი კაცი ვარ და ზოგჯერ ენამწარეც,—მითხრა მან წასვლისას, თითქოს წინანდელ შეურაცხყოფისთვის ბოდიშს ახლა იხდისო,—ხომ გახსოვს, გაუხედნავ მოზვერივით რომ დაკუნტრუშობდი? ახლა კაცი ხარ, კაცი!..—მოხუცმა ბეჭზე ხელი მომითათუნა და ისევ განაგრძო:

— დედაშენი ტყუილა არა მცემს ხმას... შენთვის სიავის მდომი პავლე ღმერთმა ასე დაამხოს, — თქვა ბერიკაცმა და თექის ქუდი მიწაზე დაახეთქა.

— როგორ გეკადრებათ, ბაბუა პავლე, ფიცი რა საჭიროა, თქვენთან სამდურავი რა აქვს დედაჩემს ან მე, — ვუთხარი, ქუდი უმალ ავიღე, გავბერტყე და ხელში მივეცი მოხუცს.

— სამდურავი?! არც რა, შვილო, არც რა, მაგრამ ხომ იცი, კაცნი ვართ და... ზოგჯერ ერთმანეთს ვერ ვუგებთ. მე კი ორი დღის სიცოცხლე დამრჩენია და არ მინდა ყურის მეზობლის ცრემლი დავკარგო, — თქვა მან და დამემშვიდობა.

## II

არასოდეს არ დამავიწყდება ის დღე. ჩაის პლანტაციაში ვიყავი. ზაფხულის იაკამა დარი იდგა. ნაზამთრალი მიწისა და ათასფერი ყვავილების სურნელებით შეზავებული ჰაერი მომაკვდავსაც კი გულს მოუფონებდა. ქვა რომ ქვაა, ისიც თითქოს მზეს შეჰხაროდა, მაგრამ მე მაინც ცუდ გუნებაზე ვიდექი. ერთ თვეში ჩაის კრეფა უნდა დაგვეწყო, ჩვენ კი ჯერაც არ დაგვემთავრებია სასუქის შეტანა. და ეს სულ ჩვენი თავმჯდომარის უთავბოლობის ბრალი იყო. მედღეხვალიე კაცი იყო ჩვენი თავმჯდომარე, ბლანტე და ზოზინა. მთელი ზამთარი ნადირობასა და ქორწილებში სიარულს შერჩა, სასუქის გადმოტანაზე ყური არ შეიბერტყა და ახლა დაგვიანებას მე მაბრალებდა. ამის გამო კრებაზე ცხარედ შევლაპარაკდით. სიმართლე პირში რომ ვუთხარი, იუკადრისა და უსაქმო ინტრიგანი მიწოდა. ჰმ! მე და ინტრიგანი?! მე და უსაქმო?! სულ ეს კითხვები მიტრიალებდა თავში იმ დღეს პლანტაციაში მყოფს და მოსვენებას არ მაძლევდა.

— ეს ვინ მოჰყვება ვასილს?— თქვა ჩემს გვერდით მდგომმა ბრიგადირმა და ხელი სერს ქვემოთ ამომავალ ბილიკისკენ გაიშვირა. კუნებაამღვრეულს თავმჯდომარის სახელის გაგონება არ მიამა. ბილიკისკენ გავიხედე. თავმჯდომარე და ვიღაც ქალი, რომელიც შეკაზმულ ცხენს ქვეითად მოუძღოდა, პირდაპირ ჩვენსკენ მოდიოდნენ.

— თბილისიდან თუ ჩამოვიდა ვინმე, — ვთქვი მე.

— შეიძლება, — ჩაილაპარაკა ბრიგადირმა და მერე ხუმრობით დაუმატა: — რაკი გამოზაფხულდა, აწი კარზე ბუზს არ დაგვისვამენ, ყოველდღე გამოჩნდება თითო-ოროლა ვინმე.

უცნობი ქალი რაიონის მთავარი აგრონომი გამოდგა. იმ დღეებში დაენიშნათ. მაშინდელ შთაბეჭდილებას მოგახსენებ: რომ იტყვიან, კალმით დახატულიო, სწორედ ისეთი იყო. ტანმაღალი, ფერხორცით სავსე. მის თეთრგვრემან სახეს მომხიბლავ იერს ჰფენდა ნახშირივით თვალ-წარბი, მხრებზე ტევრად გადმოყრილი შავი თმა, ლალისფერი ტუჩები. პომადით შეღებილი კი არა, ისე, ბუნებრივი, ახალ ქრილობას რომ ჰგავს...“

— ყოჩაღ, ჩემო ბონდო, რა პოეტურად აღწერ!— გავეხუმრე მეგობარს.

— დაიცა, ნუ გამაწყვეტინე, აკი არ მეშვებოდი მიამბეო... ბარემ ბოლომდე მათქმევინე, ხუმრობას მერეც მოასწრებ, — მითხრა მან ოდნავ კუშტად და განაგრძო:

„ჰოდა, დღესაც არ ვიცი, რა მომივიდა მაშინ. თითქოს ამომავალი მზე ყოფილიყოს, თვალს ვერ ვუსწორებდი, რაღაც გამოუთქმელი კრძალვა ჩამენერგა გულში. ჯერ ერთი სიტყვაც არ ეთქვა ქალს, მაგრამ მე მაინც შემკრთალი ვიდექი მის წინ...“

— ბიჭო, იქნებ შეხურების გეშინოდა: შენ ხომ პლანტაციაში სასუქის შეტანა დაგვიანებული გქონდა, რაიონის მთავარი აგრონომი კი თავს გადგა, ეხუმრები? — ისევ გავეხუმრე ბონდოს.

— ეჰ, შენც იტყვი ერთი!.. მაშინ პლანტაცია კი არა, რომ ეთქვათ, სახლი გეწვისო, მგონი, მაინც არ დავძრულიყავ ადგილიდან, მაგრამ რა ვქნა, თქმას არ დამაცლი და...

ბონდომ ხელი ჩაიქნია და გაჩუმდა. სიტყვა მივეცი, კვლავ არ შეგაწყვეტინებ-მეთქი. კარგა ხანს ვეხვეწე, და ბოლოს, როგორც იყო, ისევ განაგრძო:

„ჰოდა, ვდგავარ ასე მონუსხულივით ამ უცხო ქალის წინ, შეხედვის მეკრძალება და თვალის არიდებასაც ვერ ვახერხებ. ჩემს თავზე ბრაზი მომდის. ასე ერთბაშად რომ დამჯაბნა ამ ქალმა! ქალიშვილებში მუდამ ფხიანსა და ენადგაკრეფილს, რაღა დღეს დამეცა დამბლა-მეთქი! — ვფიქრობ და მინდა თავი თამამად მეჭიროს, მაგრამ ყოველი ცდა ამაო გამოდგა.

უცებ შევნიშნე, მისი თვალები ჩაციებით მომჩერებია, შიგ დამცინავი ღიმილი უციმციმებს. ამან მთლად თავგზა ამიბნია, ვფიქრობ, ნეტა რად მიცქერის ასე დაჟინებით, ნეტა რა ნახა ისეთი?! იქნებ ჩემი ტალახიანი წაღები უკვირს. თუ ასეა, უკაცრავად პეპელავ! მოიცა, ჯერ ახალი ცოცხი ხარ... როცა ავდარში ჩემსავით ამ პლანტაციებისა და ყანების გარდიგარდმო გადასერვა მოგიხდება, აი, მაშინ მოიგონე ბონდოს ტალახიანი წაღები და ნახე — მაშინაც ეგრე დაცინვის გუნებაზე იქნები თუ არა!

ჩემი ფიქრების ძაფი თავმჯდომარის სიტყვამ გაწყვიტა:

— ბონდო, ამხანაგს პლანტაციების დათვალიერება სურს, — მითხრა მან ცივი ხმით, ისე რომ ჩემსკენ არც კი მოუხედავს.

— დიახ... წამობრძანდით! — მივმართე ქალს დაბნეულად და მხოლოდ ახლა შევამჩნიე, თურმე ხელში კბილებმომტვრეული ჯიბის სავარცხელი მიჭირავს. „ — დასწყევლოს ღმერთმა, საიდან გაჩნდა ჩემს ხელში ეს კბილებმომტვრეული სავარცხელი-მეთქი“, — გამიელვა თავში და მყისვე ძირს დავიხედე: ვაი სირცხვილო! მიწაზე სავარცხლის ქარვისფერი კბილები ეყარა. უნებლიეთ შევხედე ქალს, თვალებსა და ტუჩებზე ისევ ის დამცინავი ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა. სახეზე ალმური შემომენთო.

აშკარა იყო, სავარცხელმა გამცა, ქალმა ჩემი გულის მოძრაობაში უფრო ადრე ჩაიხედა, ვიდრე მასში მე თვითონ გავერკვეოდი.

მთელი დღე ერთად დავდიოდით. ვცდილობდი თამამად ვყოფილიყავი. ათას სალაღობო სათქმელს ვიგონებდი, მაგრამ ნათქვამი ერთობ უმარილო გამომდიოდა. ქალს თავი კუშტად ეჭირა, ოდნავ ცივი, საქმიანი კილოთი მელაპარაკებოდა. როცა რაიმე სასაცილო ამბავს მოვუყვებოდი, მხარს კი არ ამიბამდა, როგორც ამას ზრდილობა მოითხოვს, — სიტყვას ბანზე ამიგდებდა, თითქოს ამით მეუბნებოდა: ამაოდ ირჯები, შენი უკბილო ლათაიების მოსმენის თავი არ მაქვსო. საღამოს, წასვლის წინ, როცა ცალი ფეხი უზანგში შესდგა, მითხრა:

— სასუქის შეტანა დააჩქარეთ! თუ რაიმე დაგჭირდეთ, მიწგანში დარეკეთ და იკითხეთ ვერიკო გაგნიძე.

და ისე სწრაფად მოახტა უნაგირს, რომ მე უზანგის ჩამოწევა ძლივს მოვასწარი. მან სადავე მოსწია, ეშმაკურად გამიღიმა და მითხრა:

— გირჩევთ, სავარცხელს მოუფრთხილდეთ, გამოგადგებათ!..

ცხენი მარჯვედ მიაბრუნა, „ნახვამდისო“, — მომაძახა და გაქუსლა.

გაქვავებულივით ვიდექი ერთ ხანს. არაფერი მესმოდა, არაფერს ვხედავდი. ეს იყო მხოლოდ: სადღაც გულის სიღრმეში თითქოს რაღაც ჩამიწყდაო, მწვავე ტკივილს ვგრძნობდი. რა მწყინდა? მამაკაცური თავმოყვარეობის გაკენწვლა, თუ ის, რომ ქალი, რომლის ეშხმაც მოულოდნელად ასე უსაშველოდ დამაბა, ენაკვიმატი და გულგრილი არსება გამოდგა? მაგრამ, როცა შარაგზის მოსახვევთან ვერიკოს თეთრ თავსაფარს უკანასკნელად მოვკარი თვალი, რატომღაც საშინელი მარტოობა ვიგრძენი.

## III

ჩვენს სოფელში აგრონომი ქალი ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო. მოგეხსენება, სხვისი აწონ-დაწონის მოყვარულთ, რატომღაც არ შეუძლიათ უცხოს ალმაცერად არ შეხედონ, და ჭორების ჯარაც დატრიალდა. განსაკუთრებით ხანშიშესულ მანდილოსნებს არ დაუჯდათ ჭკუაში ცხენით სოფელ-სოფელ მოსიარულე აგრონომი ქალიშვილის გამოჩენა. აფრები აუშვეს და, ეშმაკმა იცის, რას არ როშავდნენ

ერთ საღამოს გზადმიმავალი, წყაროსთავთან თავშეყრილ დედაკაცთა საუბარს შევესწარი. ხელადებით კილავდნენ ვერიკოს.

— თუ ეგრე უსაშველოა, — ამბობდა ერთი, — საქალო უნაგირი მაინც ვერ იშოვა? სად ნახულა, გასათხოვარი ქალიშვილი სამამაკაცო უნაგირზე გადაბოტებული დაიარებოდეს! განა უწინდელ დროში ქალი მამაკაცს კანჭებს დაანახვებდა?! ამას კი, ამ მიწაგასახეთქს, კაბა ლამის თეძოებზე აუკვალთავს და ტიტველი ბარძაყები ქვეყნის საყურებლად გამოუფენია.

— ეგ კიდევ არაფერი! შენ ისა თქვი, რა წესია, ქალიშვილი დღედაღამე ტყე-



ღრეში თავალერილი დაეხეტება,—ამბობდა მეორე,—რა პატივი და მოწონება უნდა ჰქონდეს მას. ნეტავი ქირისუფალი არავინ ჰყავს, რომ ჭკუა დაარიგოს?

— ქირისუფალი კი არა, ის არ გინდა?—თქვა მესამემ,—ეგეთი ქალბიჭა ძალიან კი გაუგონებს ქირისუფალს!

— ბიცოლა დარო, მაგის თქმა როგორ გეკადრებათ, — შეესიტყვა ჩემი მეზობელი ქალიშვილი ნათელა. — რაში ხედავთ ვერიკოს უჭკუობას ან უნამუსობას! ქალი რაიონის აგრონომია, კოლმეურნეობებში უნდა იაროს, აბა შინ ხომ არ დაჯდება?!

— უნამუსობას და უჭკუობას რაში ხედავთ!— მრისხანედ შეუტია ბიცოლა დარომ ნათელას. — შენი თავის გახეთქამ, კარგი ჭკუა-ნამუსია, რომ ქალიშვილი სამგლე თხასავით ტყეში მარტო დაბენტერობს. შენ გეკითხები, ჭკუის კოლოფო, ეგ როგორ იყო, ის შენი ვერიკოა თუ შტერიკო, შუაღამისას სქურჩილას ტყეში რომ უნახავთ? ამაზე რაღას იტყვი, ჰა?

— მერე რა, რომ უნახავთ, — არ შედრკა ნათელა, — ქალს ღამე სიარულის ნება არა აქვს, თუ?!

— კი, ბატონო, კი, როგორ არა აქვს!— ნიშნის მოგებით მიმართა დარომ და ხელები გაასავსავა: — შე კისერმოსატეხო, დუდასთან ერთად ყოფილა, დუდასთან, გაიგე!

— უი, უი, რას არ იტყვიან, ხარს ფურად გახდიან სწორედ! მაგრამ, რაც უნდა თქვან, ქალს თუ ნამუსი აქვს, მას ვერავინ ვერაფერს დააკლებს,— სცადა ნათელამ გამკლავება, მაგრამ დაროს იერიშს აბა რას გაუძლებდა!

— შენ თუ გაგიგონია დუდა ვინ არის? ჰოდა, ნუ გეშინია, ის შენი ვერიკო, დუდას ხელიდან ვერ წაუვიდოდა. დუდამ ქალი დაიმარტოხელოს და ის პატიოსნად გაუშვას?! გესმით, ქალებო, რას ამბობს ეს ბრიყვი გოგო?! — ისეთი რიხით წამოიძახა ბიცოლა დარომ, რომ მის ნათქვამში რაიმე ეჭვის შეტანა ძნელი იყო.

— უი, რას ამბობ, წყეული დუდას ამბავი ვინ არ იცის,—ერთხმად კვერი დაუკრეს ქალებმა და ნათელას ენა ჩააგდებინეს.

რას არ მივცემდი, ოღონდ ეს არ გამეგონა! იმ ავყია დედაკაცების ნათქვამმა მაინც გულში მეხივით გამკრა და სახო წარმიკვეთა. ის ღამე თეთრად გავათენე. თვალწინ სულ დუდას და ვერიკოს სახე მიდგა.

ვერიკო ჩემი პირველი სიყვარული იყო და ამიტომ დაუდუღარ მაჭარივით ვბორგავდი. მცირედი ეჭვიც კი მოსვენებას მიკარგავდა. „—ვაითუ მაგ საძაგელმა დუდამ ვერიკო მართლა მოატყუა, — ვფიქრობდი მე. — თუ ასეა, მოვკლავ მაგ უნამუსოს და აქედან გადავიკარგები". მაგრამ მალე თვითონვე სასაცილოდ არ მყოფნიდა ჩემი განზრახვა. ჯერ ხომ ისიც არ ვიცოდი, ვერიკო როგორ შეხვდებოდა ჩემს სიყვარულს. „ — ვთქვათ, დუდამ ვერიკო ვერ შეაცდინა, მაგრამ იქნებ ცოლად შეირთოს და... განა შენთვის სულ ერთი არ არის,— ვეუბნებოდი ჩემ თავს, შეაცდენს თუ ცოლად შეირთავს, ორივე შემთხვევაში შენთვის ვერიკო დაკარგულია... ჰოდა, ეგრე!.. შენსავით უგერგილო როდია დუდა. ტყუილა არ ამბობენ ხოლმე: მწიფე მსხალი ღორის კერძიაო. მაგრამ განა ლოთ და გაიძვერა დუდას ხელში ვერიკო გაიხარებს? ორ თვეში დააგდებს". წარმოვიდგინე განაწამები და შეურაცხყოფილი ვერიკო, და გული დამწყდა...

ორიოდე კვირის შემდეგ ვერიკოს შევხვდი.

— თქვენი პლანტაციების დასათვალიერებლად მოვედი, — მითხრა მან,— წავიდეთ, ერთად დავათვალიეროთ.

მეც ეს მინდოდა.

ხასხასა მწვანით შემოსილი ტყე-ველი ნაირფერად ლივლივებდა. ღრუბლის ქულები თეთრი გედებივით დაცურავდნენ მზის გარშემო. შორს, კავკასიონის მწვერვალზე მღვრიე ბოლად ალმართულიყო ვეება შავი ღრუბელი და ნელა მიიწევდა ცისკენ. მაყვლის ბარდებში გალობდა ბულბული, მას შაშვი მოსძახოდა, ჰაერში მერცხლები დაქროდნენ, ნიავს მიჰქონდა დაუდეგარი ხობისწყლის ღუდუნი.

ვერიკო ერთობ კარგ გუნებაზე იდგა. ვერ წარმომედგინა, თუ ასე ხალისიანად იქნებოდა.— რაკი კარგ გუნებაზეა, ჩანს, ყველაფერი ჭორი ყოფილა-მეთქი, და გულს მომეშვა, ჩემს სიხარულს ისიც აორკეცებდა, რომ იმ დღეს ვერიკომ პლანტაციის მოვლილობა მიქო. ლაპარაკს შევყევით, სიტყვამ სიტყვა მოიტანა და ჩემში თითქოს გაქრა უწინდელი კრძალვა და რიდი. ეტყობოდა, ჩემი მოსწრებული სიტყვა-პასუხი მოსწონდა, მისი გულიანი კისკისი ხეზე ჩიტებს აფრთხობდა.

— პირველად რომ გაგიცანით, კინაღამ მუნჯი მეგონეთ, — მითხრა მან სიცილით, როცა დაღლილნი ერთ ქოჩორა მსხლის ძირში ჩამოვსხედით.

ეს რომ მითხრა, მე, არც ვაციე, არც ვაცხელე, პირდაპირ შევკადრე:

— მოგეხსენებათ, მეტისმეტი სიყვარული კაცს ამუნჯებს.

— რაო, რაო, სიყვარულიო? ვისი სიყვარული? —მკითხა მან განზრახ, თითქოს ვერ მიმიხვდაო.

— თქვენმა სიყვარულმა დამამუნჯა... — ვუპასუხე გულათრთოლებულმა და წამით თვალი თვალში გავუყარე.

თვალი ამარიდა. ერთ ხანს დუმილით შესცქეროდა მტრედისფერ ცას, მერე ოდნავ გოროზად გადმომხედა და დამცინავი ღიმილით მითხრა:

— მეორედ არ გაბედოთ! ეგ ნაკმაზი, წიწილები გეყოლებათ შინ და, იმათ დაუყარეთ!

ვერიკოს ჩემს გულწრფელობაში ეჭვი არ ეპარებოდა. კარგად მახსოვდა მისი ნართაულად ნათქვამი: „სავარცხელს მოუფრთხილდით, გამოგადგებათო". ცხადია, მან იცოდა, რომ მე ის მიყვარდა. მაგრამ მას თუ მოვდიოდი თვალში? — აი რა იყო ახლა ჩემთვის თავსამტვრევი კითხვა. მართალია, მან მითხრა — „მეორედ არ გაბედოთო", მაგრამ ეს იმდენად ეშმაკურად და შეფარვით იყო ნათქვამი, რომ მასში თითქოს ჰოც ისმოდა და არაც. მოდი და გაიგე ქალის ორმაგულად მოქსოვილი გულის საიდუმლოება, რომლის კვანძი ხშირად სწორედ მაშინ იხსნება, როცა ყოველგვარი იმედი დაკარგულია, ხან კი — პირიქით!

საშინლად აუტანელი იყო ჩემთვის ეს გაურკვევლობის გრძნობა; იმ სიმღერისა არ იყოს, თუ ვერიკო ჩემს სიყვარულს თანაგრძნობას არ გაუწევდა, გადაწყვეტილი მქონდა მას არასოდეს არ შევხვედროდი. ვერიკოს პასუხმა ლამის იმედი გამიქარწყლა. ერთ ხანს ვიფიქრე: მიანებე თავი, ჯანდაბას იქითაც გზა ჰქონია, ქვეყანაზე ქალების მეტი რა არის, რომ ამ ხოფლის ყბადაღებულს არ გადააკვდე, ბოლოს და ბოლოს თავმოყვარეობაც კარგი საქონელია, რა გაქვს ამ გაპრანჭულ ქალთან სახვეწარ-სავედრებელი. ესეც არ იყოს, წლოვანებითაც შენზე უფროსია.

მაგრამ მალე სრულიად საწინააღმდეგო ფიქრი შემიპყრობდა: განა ვაჟკაცობაა ჭორების აყოლა, ჯერ ხომ არ იცი ნამდვილად რა მოხდა, არც ის შეგმატებს ღირსებას, რომ ქალს გაებუტო, აქაოდა გული მაშინვე რად არ გადამიშალაო. სულწასულობა რა საკადრისია! კიდეც რომ არ შეგიყვაროს, შენ მის ღირსებასთან ხელი არ გაქვს და არც სამდურავი გეთქმის. განა არ იცი, რომ სიყვარული ძალით არ მოდის. ასე ვარიგებდი ჩემ თავს, მაგრამ, მოგეხსენება, თქმა ადვილია, ხოლო ქმნა კი—ძნელი, და მე ვერიკოს სახეს გულიდან ვერ ვიშორებდი. ის კი არა, რაც დღე გადიოდა, მით უფრო ვკარგავდი მოსვენებას და ყველგან მას დავეძებდი, ყველგან ის ელანდებოდა ჩემს გახელებულ ოცნებას.

ჩემი უბედურება ის იყო, რომ ვერიკოზე ნათელ ოცნებას საიდანღაც მეხის ღრუბელივით გადაეფარებოდა დუდას ვერაგი სახე. შესძლებდა თუ არა ვერიკო დუდას ოინების მოგერიებას? ის ხომ ერთობ ლამაზი და მარიფათიანი ბიჭი იყო... ეს აკვიატებული ფიქრი ტვინს მიბურღავდა. ზოგიერთი იტყვის, სიყვარული მეტად მოთავისე გრძნობააო, მაგრამ არა მგონია, რომ ეს მართალი იყოს. ბოლო დროს ასე ვფიქრობდი:

„ — დაე ჩემი მეუღლე ნუ იქნება ვერიკო, ვისაც უნდა გაჰყვეს, ოღონდ დუდას ნუ გაჰყვება, სულ ერთია ის ნამუსგაქნილი გააუბედურებს მას".

IV

გახურებული მარგვლა გვქონდა, თან ჩაის კრეფასა და გამოთოხნას ვერ ავუდიოდით. ამ ყელისჭრა მუშაობის დღეებშიც მეჩრდილიები თავისას მაინც არ იშლიდნენ, განზე გარბოდნენ. ერთ საღამოს სახელდახელო კრება მოვიწვიეთ და მეჩრდილიები კარგა ლაზათიანად გავჯორეთ.

კრებას შემთხვევით ვერიკოც დაესწრო.

კრების დაწყების წინ ის და ჩემი მეზობელი ქალიშვილი ნათელა კანტორის გვერდით ცაცხვის ქვეშ განმარტოებით მიმსხდარიყვნენ და ხმადაბლა ბაასობდნენ. როცა მე გამოვიარე, შევნიშნე, საუბარი შეწყვიტეს.

ნათელას და მე ერთი გზა გვქონდა, და როცა კრების შემდეგ შინ ვბრუნდებოდით, მკითხა:

— ბონდო, შენ თუ იცი ახალი ამბავი?

— რა იყო?

— რა და დუდას და ვერიკოს ამბავი, — თქვა მან და გაიცინა.

— რა გაცინებს? დაუთრევია დუდას ვერიკო, ხომ? — ვკითხე ყასიდად.

— რას ჰქვია დაუთრევია! — იტკიცა ნათელამ, — რანაირები ხართ ბიჭები! დაუთრევია აბა, მისმა მზემ! იცოცხლე, მისთვის დღე დაუყენებია ვერიკოს. რას არ ლაპარაკობდნენ სოფელში, ზოგიერთის ენა მაინც ძირშია მოსაჭრელი...

— არ მეტყვი მაინც რა მომხდარა? — გავაწყვეტინე სიტყვა ნათელას

— რა და, თურმე იმ ღამეს ვერიკო მარტო მიდიოდა გაღმა ცხენით. გზაზე დუდა წამოსწევია (ალბათ, უდარაჯებდა ის უკუღმართი!). გამოელაპარაკა თურმე დუდა. იქითურ-აქითურის შემდეგ მისებურად გაუბამს ბაიათები — მიყვარხარ და უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. ისე მოისაწყლა თავი, კინაღამ ტირილი დაიწყო იმ საზიზღარმა. მაგრამ რაკი ვერიკოსაგან სანუგეშო ვერაფერი მოისმინა, ერთბაშად მუქარაზე გადასულა. უთქვამს: შენ იმ ბონდო ნადარეიშვილს ეკურკურები, მაგრამ, დაიცათ, კაცი არ ვიყო, თუ ორივეს თავები არ გაწყევლინოთო. ვერიკომ დუდას ხასიათი როდი იცოდა, უფიქრია, ხუმრობსო და თვითონაც გახუმრებია: შე კაცო, რაღა მომავლისათვის გადაგაქვს, თუ რამეს აპირებ, აგერ არა ვარო?.. ეს რომ გაიგონა, დინთივით იფეთქა თურმე დუდამ, როგორ თუ აბუჩად მიგდებსო, და ვერიკოსაკენ გაიწია, ცხენიდან გადმოღება მომინდომაო. მაგრამ, ხომ იცი, ვერიკო რა ყოჩაღი ქალია! მათრახის ტარი ზედიზედ ისე მაგრად ჩაუცხია ცხვირ-პირში, რომ დუდა კინაღამ წაქცეულა. შემდეგ სულ ჭენებით წავიყვანე ცხენიო. ძალიან ნანობს: ჩემი ბრალია, არ უნდა გავხუმრებოდი, მაგრამ რა ვიცოდი, თუ ასეთი დამთხვეული იყოო. დედაია, დედაია, რა უჟმური ყოფილა ის ოჯახდაქცეული დუდა!

— სხვა რა გითხრა ვერიკომ? — ვკითხე ნათელას.

— სხვა არაფერი... — თქვა ოდნავ ყოყმანით.

— რას ყოყმანობ, გოგო, ისეთი რა გითხრა, რომ ჩემთან თქმა გიმძიმს.

— არაფერი, დედა ნუ მომიკვდება, ცუდი არაფერი... შენ რომ გამოიარე, ვერიკომ თქვა: ეს თქვენი აგროტექნიკოსი კარგი ბიჭია, მეტისმეტად მორცხვი რომ არ იყოსო. გამიკვირდა: შენ და მორცხვობა?! ამაში ნამდვილად შეცდა ვერიკო. მან რომ იცოდეს, თუ რა ეშმაკის ფეხი ხარ, ეგრე როდი იტყოდა. კიდეც ვუთხარი: ბონდოს მორცხვობა პირველად მესმის-მეთქი. ვერიკომ გაიცინა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ სწორედ მაშინ კრებაზე დაგვიძახეს და... კარგი გოგოა ვერიკო, კარგი! მე რომ შენი ვიყო, ცოლად შევირთავდი.

— მეც რომ მათრახის ტარი ჩამცხოს ცხვირ-პირში, მაშინ რაღა ვქნა? — ვიხუმრე მე.

— დუდასავით არამზადულად თუ მოიქეცი, ჩაგცხებს და ღირსიც იქნები,— მითხრა მან და დამემშვიდობა.

V

ნათელას ნათქვამმა შემაგულიანა. მეორე დღეს ვერიკოს წერილი მივწერე. ახლა როდი მახსოვს, რასაც მაშინ ვწერდი, უთუოდ ბევრი მიეთმოეთობა დავწერე, მაგრამ წერილის ბოლო ადგილი მაინც დამამახსოვრდა. ვწერდი: „თქვენი უარი ჩემს ცხოვრებას წარუშლელ დაღს დაასვამს, მაგრამ თუ ნამდვილად არ გიყვარვართ, ნუ მოგერიდებათ, პირდაპირ მითხარით".

თუმცა რიხით კი ვწერდი, უარი პირდაპირ მითხარით-მეთქი მაგრამ, უნდა გამოვტყდე, გული მიკანკალებდა, ახლაც მახსოვს, რომ ეს სიტყვები რამდენიმეჯერ წავშალე და ამის გამო წერილიც თავიდან შემექნა გადასაწერი. ასე მეგონა, ჩემი ბედი და უბედობა ვერიკოს პასუხზე ეკიდა. „— უარი თუ მითხრა, სოფელი ყბად ამიღებს, მტერი ჩავარდა ქორიკანების ყბაში, იტყვიან, სიყვარულით დნებაო, ვერც ვერიკოს დავენახვები. მაშინვე წავალ აქედან, სწავლას განვაგრძობ. ვერიკომ იქნებ იმიტომაც მითხრას უარი, რომ მე უმაღლესი განათლება არა მაქვს... დაე მითხრას, მე თუ სწავლა არ შემიძლია, იმასაც ნახავს..."

ასე ვფიქრობდი მაშინ და დღე-დღეზე პასუხს მოველოდი, მაგრამ მთელი კვირა გავიდა და პასუხი კი არ ჩანდა. იქნებ დაიკარგა ან იქნებ ხელში ჩაუვარდა ვინმეს და, ვინ იცის, ზურგს უკან დამცინის კიდეც-მეთქი. ახლა ეს გამიხდა სადარდებლად. ერთ დღეს რაღაც საქმე მოვიმიზეზე და რაიონში წავედი. მინდოდა ვერიკო მენახა. მიწგანში მითხრეს, ვერიკო თბილისში წავიდაო. ახლაც არ ვიცი, რატომ მინდოდა მისი ნახვა, ხომ ვერ ვკითხავდი ჩემი წერილი თუ მიიღე-მეთქი! მიწგანში რომ ვიყავი, ვიღაც უცნობმა ბიჭმა მემანქანე ქალს ჩუმად გადაულაპარაკა: „ეგ არის დუდას მეტოქეო?" და იმანაც დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. დღესაც არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ აშკარა იყო, ჩემი სიყვარულის ამბავი ქვეყანას მოსდებოდა. საშინლად მეჯავრება პირადი ამბების საქვეყნოდ გამოფენა, და მაშინ იმ ყურმოკრულმა სიტყვამ გული მატკინა.

ერთ საღამოს სახლის წინ ჩრდილში წამოწოლილი ახალ გაზეთებს ვათვალიერებდი.

— ბიძია ბონდო! — მომესმა უცებ. მივიხედე, ჩემ წინ მეზობლის პატარა გოგონა იდგა.

— ბიძია ბონდო, ეს იმ ქალმა გამოგიგზავნათ... რა ჰქვია, აი, ის, ცხენით

რომ დაიარება... — მითხრა ბავშვმა და ხელში მინდვრის ყვავილების თაიგული მომაჩეჩა.

— შიგ კიდევ პატარა ქაღალდია ჩადებული, არ დაიკარგოსო, — დაუმატა გოგონამ და წავიდა.

გულმა რეჩხი მიყო... გაზეთები გვერდით მოვიგდე.

ათრთოლებულმა თაიგულიდან სამკუთხად დაკეცილი ქაღალდი ამოვიღე და ფაცაფუცით გავშალე.

„ახლა გაღმა მივდივარ, — ეწერა ბარათში. — საღამოს რვა საათზე გამოვივლი. ალექსას ნაფუზართან დამხვდით. ვერიკო“.

სიხარულმა ცამდე ამიტაცა. ვერიკო პაემანზე მიბარებდა! „— უთუოდ მიუღია ჩემი წერილი, — ვამბობდი გულში, — მაგრამ რატომ ერთი სიტყვით მაინც არ მანიშნა ამაზე?!.. ნუთუ მას არასოდეს არავინ ჰყვარებია, რომ ასე უგულოდ მეპყრობა. რვა საათამდე რა გამაძლებინებს!“ საათს დავხედე, ექვსის ხუთი წუთი იყო. თითქმის სამი საათი უნდა მეცადა, და ეს სამი საათი მთელ საუკუნედ მეჩვენებოდა. მაგრამ უცებ თაიგული მომაგონდა და გულს მომეფონა. „—ვერიკო ჩემს სიყვარულს რომ არ თანაუგრძნობდეს, განა ყვავილებს გამომიგზავნიდა“, — გავიფიქრე და თაიგული მოწიწებით ხელში ავიღე. „—დიდი მოხერხებული და ეშმაკი ვინმეა, — ვფიქრობდი გახარებული და თაიგულს თვალს ვერ ვაშორებდი. — ხედავ, სიყვარულის ნიშნად თაიგული გამომიგზავნა, იცოდა, ამით გულისნადებს მივუხვდებოდი, წერილში კი ამაზე სიტყვა არ დასძრა. ასეც უნდა...“

თაიგული ფაქიზად იყო შეკრული და ყვავილებიც გემოვნებით შერჩეული: მინდვრის გვირილა, ცისფერი ღიღილო, ქურქუმა და ხუთიოდე სხვა ყვავილი ერთად თავმოყრილი, რაღაც ოცნებისმომგვრელ სურნელებას აკმევდნენ. და მე მზად ვიყავი სატრფოს ხელით დაკრეფილი ყვავილები სათითაოდ დამეკოცნა. მაგრამ ამ უჩვეულო სიამით თავდავიწყებაში გადასულმა, უცებ თაიგულში თავთავნაყარი შალაფას ღერი შევნიშნე. ამან გამაოცა. „ — ამ ძირამოსაგდებ შალაფას თაიგულში რა უნდა?! ეჰ, მთლად ნატიფი გემოვნების ქალი ვერ ყოფილხარ, ჩემო ვერიკო, ამ საძაგელ სარეველას ნამდვილ ყვავილებში რომ ვერ არჩევ, აგრონომი მაინც არ იყო, შე ქალო! მაგრამ არა უშავს, შენგან მორთმეული შალაფა კი არა, ძირმწარეც რომ იყოს, მაინც მიამება!“

როგორ მინდოდა ის თაიგული ვერიკოსთვის დაუმჭკნარი დამეხვედრებია! მაგრამ შემოვიდოდა კი ის ოდესმე ჩემს სახლში? „—შემოვა, შემოვა, უსათუოდ შემოვა“, — ჩამძახოდა რაღაც შინაგანი ხმა, როცა თაიგულს წყლით სავსე ლარნაკში ვდებდი.

საღამოს ალექსას ნაფუზართან ვიდექი. ვერიკომაც მალე გამოიარა, მაგრამ ნეტავი სულაც არ გამოევლო!

მან საამო ღიმილი მომანათა და მკითხა:

— თაიგული მოგიტანეს?..

— დიახ, მომიტანეს!.. — ვუპასუხე სიცილით.

— შალაფა თუ იყო შიგ?

ამ კითხვამ შემაკრთო.

— იყო... მაგრამ ეგ შალაფა... — ჩავილაპარაკე და კიდევ მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ მან როდი დამაცალა.

— ჰო, ეგ შალაფა თქვენი კოლმეურნეობიდანაა, —მითხრა მან, — როგორ მოგივიდათ, რომ ჩაის პლანტაციაში შალაფას ამოუძირკვავს ტოვებთ ხოლმე, ბევრგან რიგიანად მოჭრილიც არ არის, თვალის მოსატყუებლად ზედ მიწა წაუყრიათ. თქვენი თავმჯდომარე კი მიწგანს ატყობინებს, ჩაის გამოთოხნას მოვრჩითო! ნეტავ თქვენს საკარმიდამოზე თუ გაახარებთ შალაფასა და გვიმრას! — თითქოს ჩაის პლანტაცია თქვენი არ იყოს! ასე თავის მოტყუება გაგონილა?! — თქვა მან წარბშეკვრით და ბოლოს სინანულით დაუმატა: — ეგ იმედი მქონდა თქვენგან?! ტყუილებით გინდათ ფონს გახვიდეთ?.. ხომ იცით, მატყუარას მართალსაც არ დაუჯერებენ...

—მე და ტყუილი?!.. ეგ ოხერი შალაფა... — წამოვიძახე აღშფოთებულმა, მაგრამ ვერიკომ როდი მომისმინა, მყისვე მოაბრუნა ცხენი, „ნახვამდისო“, მომაძახა და გზას გაუდგა.

„ესეც შენი თაიგული!.. — ვთქვი დაზაფრულმა — მაგრამ ის რად ჩამომიარაკა: მატყუარას მართალსაც არ დაუჯერებენო?!.. ვითომ, ჩემს გულწრფელობაში ეპარება ეჭვი, თუ რა? ამ ქალს ვერაფერი გავუგე, ეშმაკმა იცის, რა უდევს გულში“.

გუნებაამღვრეული დავბრუნდი შინ და თაიგული ფანჯრიდან გადავისროლე.

აი რა მომაგონა იმ ბიჭების სიმღერამ: „... თუ ჩემი ტრფობა არა გაქვს, ნეტავი მაცოდინაო“... მრავალმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, მაგრამ ამ ახალგაზრდული გრძნობით გამთბარ სიმღერას რომ გავიგონებ, გული თითქოს მერცხალივით შეფრთხიალდება და, ასე მგონია, შეუძლებელს შევიძლებ. ეჰ, რა კარგია ახალგაზრდობა! — თქვა ბონდომ და გაჩუმდა.

— კი, მაგრამ რა იქნა მერე ის შენი ვერიკო, ნუთუ თქვენ შორის ყველაფერი ამით გათავდა? — ვკითხე მე.

ბონდომ გაიცინა და მითხრა:

— არა, ყველაფერი იმით გათავდა, რომ დღეს ვერიკო ჩემი სამი ბავშვის დედაა. ერთი წლის შემდეგ დავქორწინდით... ეს სულ მოულოდნელად მოხდა, მაგრამ ხვალ ხომ ჩემსას უნდა წამოხვიდე, და ეს თვითონ ვერიკომ გიამბოს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

# გამოფენაზე

შარშან დაშაშრულ ტრამალებზე
ყამირებს ტეხდა,
ქარაშოტებთან უხდებოდა
შებმა და შეხლა.

უდაბნოშიაც ივაჭკაცა
ქართველმა კაცმა,
მისი სახელი საქსაულის
სამშობლოს გასცდა.

ახლა მოსკოვში ჩამოსულა
ჯანდალოცვილი,
მკაცრ ბუნებაზე უჯიათი
და გამოცდილი...

წამით შესავლის ტრიუმფალურ
თაღთან შედგება,
ხედავს, ქართლიდან აქ მოსულა
მისი მშვენება.

ორთავეს თითო ხელეური
უჭირავთ ხელში
და დამწიფებულ თავთავების
ჩურჩული ესმით.

თავათ ერთმანეთს ერთი სიტყვა
ვერც კი აღირსეს,
მოულოდნელი სიხარულით
ისე აღივსნენ...

მოედნისაკენ შეტრიალდნენ
დაუყოვნებლივ, —
კოლონადების ფართო კიბეს
დაჰყვნენ ტოლები.

ძირს მზის ოდენა
ძნა დაედგათ ბარაქის ნიშნად,
სხივები მისი
მისწვდომოდა ქალაქის ჭიშკარს.

ირგვლივ თექვსმეტი ქალიშვილი
ფერხულს უვლიდა
და თექვსმეტივე ქცეულიყო
ერთ დიდ სურვილად.

მებალეს ორგან შადრევნები
აეშვა ცაში,
ფერად ფილაქანს ასცხლებდა
შხეფების ტაში.

მოედნის მიღმა
ჩრდილოეთის ნაძვები ჩანდნენ,
სალამს უძღვნიდნენ
სამხრეთიდან მომავალ ჭადრებს.

— თითქოს ბუნებაც
ერთდებაო სხვადასხვა მხრისა! —
თქვეს ქართველებმა
და ღიმილით განაგრძეს წინსვლა...

რამდენი რამე ინახულეს,
ვინ არის მთქმელი,
მოსკოვის ცის ქვეშ გაშლილიყო
ალაზნის ველიც.

ფინურ ფიჭვისგან გამოთლილი
ქანდაკიც ნახეს,
საკრავს უკრავდა, უღიმოდა
კეთილი სახე.

მშობლიურ მიწის ღრმა წიაღში
ედგა ფესვები,
იყო გლეხკაცი, მომღერალი,
სიბრძნის მთესველი.

რაც მთელ ბუნებას ჰქონდა სადმე
მადლი და სიტკბო,
სულ იმ კაცისთვის დაელოცნა,
დაეთმო თითქოს...

ხეებს შრიალი შეეწყვიტათ,
ჩიტებს — გალობა,
მარტო მომღერალს შერჩენოდა
დაუმცხრალობა.

ისმოდა ქება შრომისა და
სიყვარულისა,
სიმთა ჟღერაში ირხეოდა
გმირთა გულის ხმა.

უსმენდნენ... სმენად ქცეულიყო
ორი ქართველიც, —
და მათ დუმილში ღაღადებდა
მათი სათქმელი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცხეთის ასანთი





ნ. სინაურიძე

ეზოში თხმელის მორები ყრია. დასავლეთ საქართველოდან სისტემატურად მოაქვთ მატარებლებს ასანთის ფაბრიკისათვის საჭირო ეს ხის მასალა. ასანთის ღერისა და კოლოფის დამზადებისათვის მხოლოდ მცხეთის ფაბრიკა იყენებს თხმელის მორებს. საბჭოთა კავშირის ასანთის სხვა ფაბრიკები ვერხვის მორებს ამუშავებენ.

თხმელის მორები ჰორიზონტალურად იჭრება. კორძებიან ნაწილებს საწვავად ხმარობენ, უკორძო ნაწილებს კი კანს აცლიან და საამქროში მიდის დასამუშავებლად.

სპეციალური მანქანები წინასწარ კანგაცლილ ხის ნაჭრებს ხის გრძელ ლენტებად აქცევენ. პირველ მანქანაზე უფრო სქლად იჭრება ხე, იგი ასანთის ღერებისათვის არის განკუთვნილი. მეორე მანქანა კი უფრო თხელ ლენტებად ჭრის მორებს და თანაც ისე ხაზავს რომ ადვილი იყოს ამ ლენტებიდან ასანთის კოლოფების გაკეთება.

საჭრელ მანქანაზე დააწყვეს ხის სქელი ლენტები. მანქანამ იგი დაწნეხა და დაჭრა ასანთის ღერებად (ხის ფურცლები თუმცა თხელია, მაინც მაგარია და ძნელად საჭრელი. ჩქარა ბლაგვდება დანები).

აქედან უკვე იწყება ასანთის ღერის ვრცელი მოგზაურობა.

რამდენი პროცესი უნდა გაიაროს, რამდენ მანქანაში უნდა მოხვდეს, რომ საბოლოოდ ასანთად იქცეს!

ჯერ ის უნდა გაიჟღინთოს დიამონოფოსფატის ხსნარით, რაც ხელს უწყობს ასანთის ღერის ნელ წვას. ასეთი გაჟღენთის შემდეგ ღერი არ იფერფლება, იგი მთლიანად ნახშირად იქცევა ხოლმე.

გაჟღენთილ ღერებს აშრობენ და სიმპლექსის სისტემის ავტომატთან კასეტებით მიაქვთ, რომ აქ თვითეულ ღერს ამნთები (წუმწუმა) ქიმიური მასა მიეცხოს.

ამ უზარმაზარი მანქანის დაჩვრეტილი ლენტები ნელა მოძრაობს (45 წუთის განმავლობაში 100 მეტრს გადის), მიაქვს ასანთის ღერები, ავლებს ამნთებ ქიმიურ ხსნარში. გზადაგზა შრება წუმწუმა. ასანთის მზა ღერები ცვივა კასეტებში. ეს კასეტები გადააქვთ სხვა მანქანაზე, რომელიც ავტომატურად ყრის კოლოფებში საჭირო რაოდენობის ასანთის ღერებს.

მეტად საინტერესოა ფაბრიკის მეორე საამქრო, სადაც კონვეირული სისტემით კეთდება ასანთის კოლოფები. ერთი წყება მანქანებისა აკეთებს კოლოფების შიდა ნაწილს, მეორე წყება მანქანებისა კი კოლოფების სახურავებს ამზადებს. აქ კლეისტერით ეკვრება ლურჯი ქაღალდი, რომ კოლოფი შეიკრას. შემდეგ კოლოფი იხურება.

დამზადებული კოლოფები კონვეირით მიდის ბუნკერებში. გამშრალ კოლოფს ეკვრება ეთიკეტი, რომელზედაც წარწერილია: „მცხეთის ასანთის ფაბრიკა „გამარჯვება“.

ამის შემდეგ კოლოფები გადააქვთ იმ საამქროში, სადაც ავტომატურად ხდება კოლოფების ასანთის ღერებით შევსება.

ერთი საამქრო კიდევ აქვს მცხეთის ასანთის ფაბრიკას. მას ფაბრიკის „სამზარეულოს“ ეძახიან. ეს ქიმიური საამქროა, სადაც მზადდება წუმწუმისათვის საჭირო ხსნარი და ასანთის კოლოფის გვერდებზე წასასმელი ფოსფორის ხსნარი.

ქიმიკატებისა და დამზადებული ასანთის ხარისხის შემოწმებას სისტემატურად აწარმოებს ფაბრიკის ლაბორატორია.

ეს ფაბრიკა სამამულო ომის წლებში დაარსდა. მისი საწარმოს სიმძლავრე თანდათანობით გაიზარდა, ახლა იგი ყოველდღიურად (ერთ ცვლაში) 180.000 კოლოფ ასანთს ამზადებს.



ფოტოზე — ზემოთ: ასანთი მზად არის. ჩამწყობი მარიამ ტენიშევა კოლოფებს ალაგებს ყუთებში, რომლებსაც სულ მალე მიიღებენ სავაჭრო ორგანიზაციები. ქვემოთ: წუმწუმაწასმული ასანთის ღერებით ავსებულ კასეტებს ყუთებში ცლიან. აქედან ასანთის ღერები ავტომატმანქანით ნაწილდება კოლოფებში.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა შადრევანი „ქვის ყვავილი“. ფერადი ფოტო ბ. კუდოიაროვისა.

# [illegible] საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე



საქართველოს სსრ პავილიონის მთავარი დარბაზი.



ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, „კარავაევოს" საბჭოთა მეურნეობის წარჩინებული მწველავი ა. სმირნოვა (მარცხნივ) უზიარებს თავის გამოცდილებას სამხრეთ-ოსეთის მეცხოველეებს.
მარცხნიდან მეორე – მწველავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ხ[illegible]ავუროვა.



მეცხვარეობის პავილიონში.



ეცნობიან ახალ ჭარხლისსარგავ მანქანას.




მექანიზაციის პავილიონში გამოფენილია მანქანა „მოსკვიჩის" ახალი გამოშვება.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ მარნეულის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. ყაზანლიყის ვარდის კრეფა. ფერადი ფოტო მ. ტრახმანისა.

გიორგი შაცაშვილი

## რუხის ციხესთან

ლეო ქიაჩელს

ყველა ციხეს აქვს წარწერა ძველი,
ძველი სიგელი ანდა გუჯარი,
თვისი სახელის მოწმე და მცველი,
ხელში ფარივით ჩანაბღუჯარი...

აქვს მოგონება ბრძოლის და შეთქმის,
დაღვრილი სისხლის, მწველი იარის,
ზოგს მოგონება გულ-მკერდით ეთქმის,
ზოგს ზურგში დღემდე სჭირს ნატყვიარი...

ბაგრატის ციხე გვეამაყება
და შეუვალი უჯარმის ზღუდე,
ვხედავთ, ყოველდღე როგორ მაღლდება
გორის ციხეზე არწივის ბუდე.

ერთგულ ციხეთა გვატკბობს ხსენება,
მათ მშვიდი ძილით მისძინებიათ;
ნაღალატევებს არ ესვენებათ,
ჩვენსკენ დარცხვენით იმზირებიან...

ახსოვთ, როდესაც ქართლის საზღვრებთან
მტერი ჩნდებოდა გაჭიმულ მშვილდით —
განს გადგებოდა, ქვეყნის სარბევად
კარს გაალებდა ციხე სამშვილდის.

აქამდე ბურავს კრწანისის ჩრდილი,
ერეკლეს ცოდვით ვერ გაიხარა —
თავჩაქინდრული და ქუდმოხდილი
თბილისის კართან დგას ნარიყალა;

რადგან ძლიერი გამცემთა ზედა
მტერს რომ გარეკდა თავის ბუდიდან —
ქართლი, უამრავ ციხეთა დედა,
ურჩ შვილებს ლახტით ჩამოუვლიდა...

მივიდეთ. ვკითხოთ რუხის ციხესაც,
იქნებ რა გვითხრას მისმა გუჯარმა,
მისმა გუჯარმა — ბესიკის ლექსმა,
კლდის სუროებში ჩანაბღუჯარმა?

იქნებ გაგვილოს ერთი სარკმელიც,
ან მოგონება გვანდოს უტკბესი,
იქნებ თან გაჰყვა მისი სათქმელი
უცხო მხარეში დაკარგულ ბესიკს!

სხვა ციხეებო, განზე გადექით,
ყური დაუგდეთ მის საჩურჩულოს,
გმირულ ყიჟინით და ზართა რეკით
შეუმუსრია ვისაც ურჯულო...

განზე გადექით,
და თუ არ გჯერათ,
ჰკითხეთ ქვიტკირში ჩაწნულ სუროებს,
რა ერგო თურქთა მრავალ მარჯვენას
და ამ კედლებზე დარტყმულ უროებს!

ჩვენ კი,
ავიდეთ მაღლა, სულ ზევით...
სხვა საქართველოს ვინ გადახედავს?
აგერ, არწივი მოფრინავს რწევით —
სალამს გვიგზავნის ციხეთა დედა!

*
* *

არ ვიდარდებ, თუ ღიმილით
არ გამიდარებ...
ჩემმა დარდმა რა ქნას, თორემ
მე არ ვიდარდებ!

განა მართლა მემღერება,
ყელს რომ ვიღერებ?
ამ სიმღერამ რა ქნას, თორემ
მე არ ვიმღერებ!

არც მე მაძლევ მოსვენებას,
არც შენ იხარებ,
ჩემმა გულმა რა ქნას, თორემ
არ შეგიყვარებ!

არ ვიდარდებ, თუ ღიმილით
არ გამიდარებ...
ჩემმა დარდმა რა ქნას, თორემ
მე არ ვიდარდებ!

*
* *

იმ მშვენიერ გაზაფხულს
ცის მანანა გვეპკურა,
ორი გული შევკონეთ,
შევაერთეთ ერთ გულად...

დიდხანს, დიდხანს მღეროდა
გული ჩვენი ერთგული,
ახლა რატომ შეტოკდა,
რად სცემს შეთრთოლებული?

ნუთუ იგრძენ ღალატი,
მიჩნეულო ზენარად?..
მართალია... ის გული
მე დავკოდე, შენ არა!

ისევ მე გევედრები
ტრფობავ, ძველად ნერგულო;
კვლავ ავმღერდეთ, ერთმანეთს
ცის ნამივით ვეპკუროთ...
იმ მშვენიერ გაზაფხულს,
იმ ერთ გულს ვუერთგულოთ!

## მცხეთის გზაზე

ისევ მაისი, მცხეთის გზა...
გვისწრებენ მატარებლები.
გზის პირას ინაზებიან
ყვავილები და პეპლები.

ნეტავ მათ რაღა აშინებთ,
მათ ერთმანეთის საფერთა...
ნეტავ ვაგონის ფანჯრიდან
თვალი ვინ შემოგვაფეთა?

არა, წავიდეთ, დავეხსნათ
მაგ პეპელას და ყვავილსა,
ეტყობა, მათაც რიდი აქვთ
ცნობისმოყვარე თვალისა;

განა მაგათ კი არ უნდათ,
—მინდვრის ყვავილის სადარო —
ბედნიერების ერთი დღე
თვალმოუკრავად ატარონ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურქეთი მებრძვის არაბთა ლიგას

ოთარ გიგინეიშვილი

1955 წლის 1 მაისს ეთიმესუთის აეროდრომიდან ანკარის მახლობლად, თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავმა გეზი ბაღდადისაკენ აიღო. ამჟამად თურქეთის პრემიერ-მინისტრის ადნან მენდერესის ნაკვალევი გზით ბაღდადს მიემგზავრებოდა თურქეთის თავდაცვის მინისტრი ეთჰემ მენდერესი. მას თან ახლდა თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალი ფევზი უჩანერი.

2 მაისს ორივენი ერაყში, ჰაბანიეს აეროდრომის მწვანე, ზაფხულის მზისაგან ჯერ კიდევ გადაუტრუსავ ველზე იდგნენ ერაყის მეფის ფეისალ II, პრინც აბდულაჰის და პრემიერ-მინისტრის ნური საიდის გვერდით. იქვე იდგა ინგლისის ბაღდადელი ელჩი რაიტი. ველზე გუგუნებდნენ თვითმფრინავები და მწვანე მოლზე მწკრივში იდგნენ ინგლისელი და ერაყელი ჯარისკაცები. იქვე მაღალ ანძაზე ფრიალებდა ინგლისის დროშა. დადგა საზეიმო წუთიც. 21-ჯერ გაისმა ზარბაზნების გრიალი. მაღალ ანძაზე ინგლისის დროშას სცვლის ერაყის დროშა. ჰაბანიეს აეროდრომი, რომელიც აქამდე ინგლისის საკუთრებას შეადგენდა, ერაყს გადაეცა. საამისოდ რაიტმა სიტყვაც წარმოთქვა. მან ერთმანეთს დაუკავშირა თურქეთ-ერაყის სამხედრო კავშირში ინგლისის მონაწილეობა და ჰაბანიეს აეროდრომის ერაყისათვის გადაცემა. ეს, ელჩის სიტყვით, წარმოადგენდა ინგლისის „ზრუნვას“ პატარა და სუსტად განვითარებულ ერაყისადმი. მაგრამ რაიტს, ცხადია, ბევრი რამე არ უთქვამს. არ უთქვამს, მაგალითად, თუ რა ფასი აქვს ჰაბანიეს აეროდრომს და არც ის, რომ უკანასკნელ ხანებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ერაყში შექმნეს ბევრი სხვა, ჰაბანიეზე ბევრად უფრო კეთილმოწყობილი და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი სამხედრო-საჰაერო ბაზა, არც ის, რომ თურქეთ-ერაყის სამხედრო კავშირის დადების და ამ კავშირთან ინგლისის შეერთების შემდგომ არა თუ ერაყის აეროდრომები, არამედ თვით ერაყიც თავის თავს აღარ ეკუთვნოდა და რაღა ფასი ექნებოდა იმას, თუ რამდენიმე ჰექტარ მიწაზე ვისი დროშა იფრიალებდა: ინგლისისა თუ ერაყის და ვისი გუშაგები იდგომებოდნენ ამ რამდენიმე ჰექტარ მიწაზე: ამერიკულ იარაღასხმული ინგლისელები თუ იმავე იარაღში ჩამჯდარი ერაყელები. სამაგიეროდ არც ინგლისის, არც თურქეთის და არც ამერიკის პროპაგანდას არ დაუყოვნებია გამოეყენებია არაბულ სამყაროში ჰაბანიეს საკითხი, როგორც საბუთი ინგლის-ამერიკა-თურქეთის კეთილგანწყობილებისა არაბების მიმართ. ეთჰემ მენდერესმაც არ დააყოვნა და იქვე, ჰაბანიეს აეროდრომზე, განაცხადა, რომ ის „არაბებთან ერთად აღსავსეა სიამაყის გრძნობით“...

მართლაც, ეს ერთი ხანია თურქეთი ყოველ ღონეს ხმარობს თავი ისე გამოიყვანოს, თითქოს, არაბებს არასდროს არ ჰყოლიათ თურქებისთანა ერთგული მეგობარი. თურქეთი ამ მეგობრობის ფიცში სცილდება აზიის კონტინენტის ფარგლებს და ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებსაც სწვდება. როგორც ჩანს, ზოგიერთ თურქისათვის ოსმალეთის დიდების წლების მოგონება მეტად ტკბილია. ჯერ ხომ ნახევარი საუკუნეც არ გასულა მას შემდეგ, რაც თურქი ასკერი იდგა აფრიკის სანაპიროებზე, და მაღრიბის მეჩეთებში მოლები ხონთქარს ხოტბას ასხამდნენ. თუ არაბული სამყაროს ერთ კიდურზე ერაყია, მეორე კიდურზე — ჩრდილოეთი აფრიკის არაბიზირებული ქვეყნები, და ამ ქვეყნების განწყობილებას საკმაოდ დიდი წონა აქვს ეგვიპტიდან დაწყებული ვიდრე ირანის საზღვრებამდე. სწორედ ამიტომ ამ ერთი ხნის წინ ლიბიისა და თურქეთის მისიები ანკარასა და ბენგაზში საელჩოებად იქცნენ, ხოლო დესპანები ელჩებად, თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ კი „საჩუქარი“ უძლვნა ლიბიას — 12 ზარბაზანი ყუმბარებითა და სათადარიგო ნაწილებით.

ინგლის-ამერიკისა და თურქეთის პროპაგანდამ არ დააყოვნა დაეხატა ეს „საჩუქარი“ რაღაც, მე-20 საუკუნის თითქმის და ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ მოვლენად. ზარბაზნები სპეციალური სამხედრო ხომალდით ბენგაზს გაიგზავნა და საზეიმო ვითარებაში ლიბიას გადაეცა. აქაც ჰაბანიეს მსგავსად წარმოითქვა მრავალი სიტყვა. ილაპარაკეს თურქებმა, ინგლისელებმა და ამერიკელებმა. მხოლოდ ჰაბანიეს აეროდრომზე მოწყობილ ზეიმისაგან განსხვავებით ინგლისის როლში ახლა თურქეთი გამოდიოდა, ხოლო „სიამაყის გრძნობით“ კი ინგლისისა და შეერთებული შტატების ოფიცრები ივსებოდნენ. ილაპარაკა ლიბიის პრემიერ-მინისტრმაც, რომელმაც „ძვირფასი“ საჩუქრისათვის თურქეთს მადლობა გადაუხადა. თუმცა ყველამ იცოდა, რომ ეს „ძვირფასი“ საჩუქარი იმდენად მოძველებული ზარბაზნები იყო, რომ თურქეთის მთავრობა ისედაც, მის ლითონის ჯართად გადაცემას აპირებდა. ისიც იცოდნენ, რომ მეტად საეჭვო იყო გასკდებოდნენ თუ არა რამდენიმე ათეული წლის წინათ დამზადებული ყუმბარები, მაგრამ სამაგიეროდ არაბულ სამყაროში ყუმბარასავით უნდა გამსკდარიყო თურქეთის გულუხვობის ამბავი.

ჰაბანიეც და გასაჩუქრებული ზარბაზნებიც მხოლოდ ნაწილი იყო იმ შეტევისა, რომელსაც აწარმოებს თურქეთი და თურქეთის ზურგს უკან შეერთებული შტატები და ინგლისი არაბულ ქვეყნებზე. არაბთა ერთიანობა თუნდაც ისეთი სუსტი, როგორიც ეს ხორციელდება არაბთა ლიგის ფარგლებში საკმაოდ უხერხული გახდა თურქეთისათვის. თუმცა თავის დროზე არაბთა ლიგა ინგლისის ხელისშეწყობით იქნა შექმნილი და მას ინგლისის ინტერესების დაცვა უფრო ევალებოდა ვინემ არაბთა ინტერესებისა. ლიგის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას პროგრესულ და დემოკრატიულ მოძრაობასთან ბრძოლა და რეაქციული რეჟიმების დაცვა შეადგენდა. არაბთა ლიგაში და არაბთა ლიგის მეშვეობით მთელ არაბთა სამყაროში პირველობას იმკვიდრებდა ეგვიპტე, რომელსაც სულაც არ სურდა, განსაკუთრებით ინგლისთან ურთიერთობის გამწვავების მომენტებში, რომ არაბულ ქვეყნებში ინგლისის სახით მას გავლენაში მოზიარე ჰყოლოდა. არაბთა ტრადიციული მტრის — თურქეთისათვის კი მიუღებელი იყო არაბთა ყოველგვარი ერთიანობა.

არაბულ ქვეყნებს მეტი ფაქტორი აცილებდა ერთმანეთს, ვინემ აერთიანებდა. აერთიანებდა მათ, უპირველეს ყოვლისა, საერთო ლიტერატურული ენა, რომელზედაც თავის დროზე ყურანი დაიწერა, თუმცა ცოცხალი არაბული ენა მოიცავს მრავალ დიალექტს და ეგვიპტელები, სირიელები თუ ერაყელები ამჟამად საკმაოდ განსხვავებულ ენებზე ლაპარაკობენ. წარსული დიდებაც იწვევს არაბებში საერთო კოლექტივის გრძნობას, თუმცა ყოველი არაბული ქვეყანა ისტორიას თავისკენ ეწევა. სირია ამაყობს ომაიანებით, ვინაიდან სწორედ ომაელთა დროს დამასკო იყო არაბთა დიდების ცენტრი, ერაყი კი ამაყობს აბასიანებით და მათი დედაქალაქით — ბაღდადით, ხოლო საუდის არაბეთი არაბთა ისტორიულ წარსულში ყველაზე მაღლა მედინის ხალიფატს აყენებს. დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო რელიგიასაც — ისლამს. თუმცა მრავალ სექტად დანაწილებული ისლამი და ამ სექტებს შორის არსებული შუღლი და სიძულვილი არაბულ ქვეყნებს შორის აღრეულობისა და პოლიტიკური ბრძოლის მიზეზი ხდება.

არაბული ენის ქვეყნებს არ გააჩნიათ ეკონომიური ერთიანობა. ერაყი,

საუდის არაბეთი თუ ეგვიპტე და სირია ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი ეკონომიური და პოლიტიკური სამყაროა. თითქმის არაფერია საერთო საუდის არაბეთის მომთაბარე ბედუინსა და ეგვიპტელ მიწისმუშა გლეხს შორის, მითუმეტეს მაშინ, როდესაც არც ერთმა და არც მეორემ წერა-კითხვა არ იცის და ამიტომ ლიტერატურული ენის ერთიანობა მათთვის მნიშვნელობას კარგავს, როდესაც მათ ისტორიაზედაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ და არაბთა წარსული დიდება მათში არავითარ გრძნობებს არ იწვევს და ბოლოს, თუ კი შიითი, სუნითი, ბაბის მიმდევარი, თუ სხვა სექტის არაბები ერთმანეთში მტრებს უფრო ხედავენ ვინემ მოკავშირეებს.

**1945** წელს შექმნილი არაბთა ლიგა განსახიერება იყო არაბული ენის ქვეყნებს შორის არსებულ ყველა ამ წინააღმდეგობებისა. ლიგის დამაარსებელთა დეკლარაციით ლიგის შექმნის მიზანი იყო „ურთიერთობის განმტკიცება მის წევრებს შორის, განსაკუთრებით კულტურის, ვაჭრობის და კავშირგაბმულობის სფეროში“. ლიგის წესდება, რომელიც შესდგება **21** მუხლისაგან ითვალისწინებს კონსულტაციას ლიგის რომელიმე წევრის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში და კრძალავს იარაღის გამოყენებას ურთიერთშორის დავის გადასაჭრელად. ამრიგად არაბთა ლიგის სახით შეიქმნა უფრო საკონსულტაციო, ვინემ რაიმე პოლიტიკური პროგრამის მქონე ორგანიზაცია, რომელშიც წევრთა თავისთავადობას უფრო მეტად ესმებოდა ხაზი, ვინემ მათ ერთიანობას.

თურქეთი იმთავითვე უარყოფითად შეხვდა არაბთა ლიგის შექმნას. თურქეთის პროპაგანდა უარყოფდა არაბთა ერთიანობის რაიმე შესაძლებლობასა და რეალობას და თვით ასეთ ერთიანობისაკენ მისწრაფებასაც კი — პანარაბიზმს. თურქები სვამდენ კითხვას, თუ რა არის პანარაბიზმი, მითი თუ რეალობა? და საერთოდ არსებობს თუ არა არაბული სამყარო? ანდა სად არის ამ სამყაროს საზღვრები? თავდება ის, ერთის მხრით, ერაყით და საუდის არაბეთით, ხოლო, მეორეს მხრით, ეგვიპტით, თუ გრძელდება ჩრდილოეთ აფრიკის ატლანტიკის სანაპიროებამდე? არაბთა ლიგა კი მოიცავდა მხოლოდ ეგვიპტეს, სირიას, ლიბანს, ერაყს, ტრანსიორდანიას, საუდის არაბეთს და იემენს და თავის საზღვრებს გარეთ სტოვებდა ჩრდილოეთი აფრიკის არაბული ენის ქვეყნებს, მაგრამ ის, რაც ხდება ჩრდილოეთ აფრიკაში, სწრაფ რეაქციას იწვევს არაბთა ლიგის ქვეყნებში. ამდენად ურთიერთობა მაღრიბის ქვეყნებთან, კერძოდ ლიბიასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ თურქეთში აშკარად გამოიკვეთა თავისებური არაბული პოლიტიკა. თურქეთის მმართველი წრეების აზრით ის ფაქტორები, რომლებმაც მიიყვანეს არაბული ენის ქვეყნები არაბთა ლიგის ფარგლებში ერთგვარ ერთიანობამდე, თურქეთშიაც არსებობენ. უპირველეს ყოვლისა თურქეთიც მაჰმადის ქვეყანაა. ერთიანი ყოვლის შემცველი ისლამი კი არ არსებობს. ამიტომ განა სუნითური თურქეთი უფრო ახლოს არ დგას ერაყელ სუნითებთან, ვიდრე ერაყელივე შიითები. მაგრამ ქემალ ათათურქმა ეკლესია გამოჰყო სახელმწიფოდან და ლაიციზმი რესპუბლიკური თურქეთის ერთ-ერთ სახელმწიფო დოქტრინად აღიარა. სკოლებში გაუქმდა ყურანის სწავლება, მინარეთებიდან აღარ ისმოდა მუეძინების ხმა.

არაბული პოლიტიკის გატარება კი მოითხოვდა თურქეთის კვლავ ისლამის სამოსელში გახვევას და თუმცა ლაიციზმის ხელაღებით უარყოფა თურქეთის ახლანდელმა ხელმძღვანელებმა ვერ გაბედეს, მაგრამ სამაგიეროდ სკოლებში ყურანი კვლავ გაჩნდა და მუეძინმა კვლავ მოუწოდა არაბულად მართლმორწმუნეებს მინარეთებიდან. მაშ კვლავ იდებოდა ხიდი, რათა სუნითური თურქეთი დახმარებოდა სუნით ნური საიდს ერაყელ შიითებთან ბრძოლაში.

თუ ყოველ არაბული ენის ქვეყანას აქვს საერთო წარსული დიდება, განა ოსმალეთი ისლამის დიდებას არ წარმოადგენდა? სირია ამაყობს დამასკოთი, საუდის არაბეთი მედინათი, ერაყი ბაღდადით, თურქეთს კი შეუძლია იამაყოს სტამბოლით. სტამბოლიც ხომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ისლამის სამყაროს დედაქალაქი იყო. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ თურქული გაზეთი „ჯუმჰურიეთი“ როგორღაც სწერდა, რომ „როდესაც არაბების ძალა შესუსტდა, მაშინ მაჰმადის დროშა თურქებმა აიტაცეს და ისლამს მოუპოვეს ახალი სივრცეები და ძალა“.

რჩება ერთი მეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტორი, ეს არის ენა. თურქული და არაბული ენები სხვადასხვა ჯგუფის ენებს წარმოადგენენ. მაგრამ როდესაც მომთაბარე თურქები, რომლებიც თითქმის უკლებლივ მწყემსები იყვნენ და სოციალურ-ეკონომიური განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ, ჩვენი წელთაღრიცხვის მე-8-9 საუკუნეებში შემოვიდნენ მახლობელი აღმოსავლეთის სივრცეებში, აღმოჩნდნენ მათზე ბევრად უფრო დაწინაურებულ ხალხებისა და სახელმწიფოების გავლენის ქვეშ. გავლენა განიცადა თურქულმა ენამაც, რომლის სიტყვიერი მარაგი შეეფერებოდა თურქული მოდგმის ტომების განვითარების დაბალ საფეხურს. თურქულმა ენამ შეითვისა მრავალი არაბული სიტყვა, გადაიტვირთა არაბიზმებით, იმდენად, რომ თურქულ ნაწერს ალბათ არაბი უფრო გაიგებდა, ვინემ თურქი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქეთში დაიწყო ბრძოლა არაბიზმების წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს ამ ათიოდე წლის წინ მიაღწია. თურქები ამტკიცებდნენ, რომ არაბებს კი არ ჰქონდათ კულტურული გავლენა თურქებზე არამედ, პირიქით, თურქებს არაბებზე. არაბული სიტყვებით გადატვირთული თურქული ენა კი საამისო საბუთად მათ არ გამოადგებოდათ. ამიტომ თურქული ენის არაბული სიტყვებიდან გაწმენდა დღის პოლიტიკურ ლოზუნგად იქცა. მეჯლისმა სპეციალური კანონიც მიიღო. შეიქმნა ენის საცენზურო კომიტეტი, რომელიც ყოველდღიურად ადევნებდა თვალყურს პრესას, წიგნების გამომცემლობებს, სახელმწიფო მიმოწერას და დევნიდა იქიდან ყოველივე არაბულს. მეჯლისის კომისიამ ხელახლა გადაწერა კონსტიტუცია და არაბული სიტყვები თურქული ნეოლოგიზმებით შესცვალა.

მას შემდეგ, რაც თურქეთი არაბული პოლიტიკის გატარების გზას დაადგა, ლაშქრობა თურქულ ენაში არაბიზმების წინააღმდეგ ქმნიდა კონტრასტს თურქეთის ცდასთან დაემტკიცებია არაბული სამყაროსათვის, რომ თურქეთიც მათ კულტურულ და ისტორიულ წიაღს ეკუთვნის. ამიტომ სასწრაფოდ კვლავ შეიკრიბა მეჯლისის კომისია და კონსტიტუცია ახლა უკვე უკუღმა გადაწერა, ამოიღო ნეოლოგიზმები და დააბრუნა არაბიზმები, თურქეთის გაზეთებმაც განდევნეს ახალი „თურქული“ სიტყვები და კვლავ არაბული სიტყვების ხმარებას დაუბრუნდნენ. ამგვარმა ღონისძიებებმა ამას წინათ გადამდგარ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მეჰმედ ფუად ქეფრულუს სიტყვით „არაბულ ქვეყნებში უნდა შექმნას პირობები თურქეთის პოლიტიკის უკეთ ათვისებისა და გაგებისათვის“. ეს პოლიტიკა კი ემსახურება ამერიკულ მიზანს — ჩრდილოეთ-ატლანტიკის აგრესიული ბლოკის გაგრძელება ვიდრე ჰიმალაის ქედამდე. ამიტომ ამერიკის პრესა არაფერს იშურებს იმისათვის, რომ თურქეთი დახატოს მახლობელი აღმოსავლეთის ბუნებრივ მეთაურად. შემთხვევითი არ არის, რომ მრავალრიცხოვანი ამერიკული დელეგაციები: სამხედრო, ფინანსიური, სამრეწველო, „კულტურული“ და სხვანი, რომლებიც თურქეთში დასეირნობენ და ყველაფერს პატრონის თვალით უყურებენ აცხადებენ, რომ „თურქეთმა იკისრა მახლობელი აღმოსავლეთის ხელმძღვანელობა, თურქეთი მახლობელი აღმოსავლეთის ყველაზე უფრო ძლიერი ქვეყანაა“. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი თურქეთის მეთაურობით ამერიკის დიპლომატიისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ ვარიანტს წარმოადგენს და სწორედ ასეთი ბლოკის შექმნას ემსახურება თურქეთის საგარეო პოლიტიკის ახალი, ე. წ. არაბული კურსი.

საკმაოდ ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, რომ თურქეთის წარსული ბატონობა არაბულ ქვეყნებში „არაბთა ბედნიერების“ წლებად მონათლო, მაგრამ თურქული პრესა ამასაც არ დაერიდა. გაზეთ „ჰალქჩის“ პოლიტიკური მიმომხილველი აჰმედ შუქრუ ესმერი 1955 წლის თებერვალში, ერაყთან სამხედრო კავშირის დადების წინ მთელ წარსულს „გაუგებრობას“ და რაღაც „ბოროტ სულების“ მსგავს ძალების მოქმედებას მიაწერდა. ესმერის სიტყვით თურქეთი მუდამ ილწვოდა არაბულ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობისათვის, მაგრამ ყოველი ასეთი ცდა თურმე დადებით შედეგს არ იძლეოდა. თითქოს არსებობდნენ მხოლოდ ცალკეული პირები, რომლებიც არაბებისა და თურქების ურთიერთმტრობაში იყვნენ დაინტერესებულნი. ამ პირებს მოქმედება განუვითარებიათ ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის არსებობის დროს და „მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთი ბედის ქვეშ მყოფი ორი მოძმე ხალხის ერთმანეთისაგან გათიშვა სცადეს“. ისმება კითხვა თუ ვის გულისხმობს ესმერი. საამისო პასუხს იგივე გაზეთი „ჰალქჩი“ გვაძლევს. იმავე დღეებში „ჰალქჩიმ“ მოათავსა პატარა, მაგრამ მრავლის მეტყველი ცნობა. გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებული იყო ფოტოსურათი — გვირგვინებით შემკული საფლავის წინ თავჩაქინდრული იდგნენ თურქები — ეს იყო თალაათ ფაშას საფლავზე მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი. ამასთან დაკავშირებით თალაათი „ჰალქჩიმ“ მოიხსენია როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი... სირიასა და ლიბანში, ისევე როგორც სხვა არაბულ ქვეყნებში კარგად ახსოვთ თალაათ ფაშა და მისი თანამებრძოლები ენვერი და ჯემალი, რომლებმაც პირველი მსოფლიო ომის წლებში არაბთა ჯალათების სახელი დაიმსახურეს. მათ ალესილ მახვილს ვერ დაივიწყებს არაბული სამყარო. და თუ ეს პირები თავისუფლებისათვის მებრძოლნი ყოფილან, მაშინ გამოდის, რომ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი არაბები „ბოროტი სულები“ და „გაუგებრობის“ გამომწვევნი არიან.

მახლობელი აღმოსავლეთის ლიდერობისათვის მებრძოლი თურქეთის ხელმძღვანელები არაბული ქვეყნების ხშირი სტუმრები შეიქნენ. თურქეთის ტაქტიკა მარტივი იყო. დაკავშირება რომელიმე არაბულ ქვეყანასთან, მასთან სამხედრო პაქტის დადება, ამით არაბთა სახელმწიფოების ერთიანობის დარღვევა და შემდგომ მათზე თავისი გავლენის მოხვევა. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი კი ამით გვერდს აუვლიდნენ იმ უნდობლობას, რომელსაც არაბები, ბუნებრივია, იჩენდნენ დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მიმართ და თურქეთის საშუალებით ხელში ჩაიგდებდნენ არაბულ ქვეყნებს. თურქეთის პრემიერმა ადნან მენდერესმა სამხედრო კავშირის დასადებად ერაყში გამგზავრების წინ ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ „ერაყის პრემიერის ნური ფაშას გასულ შემოდგომაზე თურქეთში ჩამოსვლა მოახდენს გავლენას არა მარტო თურქეთ-ერაყის ურთიერთობაზე, არამედ თურქეთისა და არაბული ქვეყნების ურთიერთობაზე საერთოდ“, ხოლო ბაღდადიდან დაბრუნების შემდეგ ახადა ფარდა იმას, თუ რაზედ ჰქონდათ საუბარი თურქეთის ხელმძღვანელებსა და ნური საიდ ფაშას. მენდერესმა განაცხადა, რომ ლაპარაკი იყო არა მარტო თურქეთ-ერაყის ურთიერთობაზე. ნური საიდს უკისრია შუამავლობა თურქეთსა და არაბეთის სხვა ქვეყნებს შორის, ცხადია თურქეთ-ერაყის სამხედრო კავშირში მათი მონაწილეობის თაობაზე. ამის შესახებ კი ადნან მენდერესი ბუნებრივია სდუმდა. შემდეგ ადნან მენდერესმა ბევრი და აღტაცებით ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ შეხვდა მას ნური საიდი და როგორ მიმართა მან თურქეთის წარმომადგენლებს თურქულად „ჰოშ გელდინიზ“ (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება). ეს, მენდერესის სიტყვით, წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთს თურქებსა და არაბებს შორის არსებულ „კულტურული და ინტელექტუალური ერთიანობისა“. მაშ მენდერესის აზრით გამოდის, რომ თურქული ენა გამოდგება რაღაც საერთაშორისო ენის მსგავსად მახლობელ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი არაბული სიტყვებით გადატვირთული თურქული ენა...

სხვანაირად შეხვდა ადნან მენდერესს დამასკო და ბეირუთი. იქ ჩატარდა ანტითურქული დემონსტრაციები. შთაბეჭდილება ანტითურქული დემონსტრაციებიდან ვერ წაშალა იმან, რომ ლიბანის ზოგიერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ თურქებს მისალმებით თურქულ ენაზე მიმართა...

ქაიროში წასვლა კი ადნან მენდერესმა ვერ გაბედა. მენდერესის ერაყში გამგზავრების წინ ეგვიპტეს ნიადაგის მოსასინჯად ეწვია თურქ ჟურნალისტთა დელეგაცია სამსახურიდან გადამდგარი გენერლის, მეჯლისის დეპუტატის ალი ფუად ჯებესის მეთაურობით. თურქ ჟურნალისტებთან საუბარში ეგვიპტის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრმა სალაჰ სალემმა აგრძნობინა მათ, რომ ადნან მენდერესს ქაიროში საქმე არა აქვს, „ვინაიდან ჩვენ, — განაცხადა სალაჰ სალემმა — არაბთა ლიგის წევრები ვართ, არ შეგვიძლია შევუერთდეთ არც თურქეთის და არც დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ დადებულ პაქტებს. ჩვენ არ შეგვიძლია ამ საკითხზე მივიღოთ გადაწყვეტილება სხვა არაბულ ქვეყნებიდან განცალკევებით“. ამ განცხადებამ, თურქეთის გაზეთ „ისტანბულის“ სიტყვით, „გაუქარწყლა იმედები ანკარას“.

ერაყი გამოეთიშა არაბული ქვეყნების ფრონტს და დაადგა აგრესიულ პაქტებში მონაწილეობის გზას. სირიამ, ეგვიპტემ და საუდის არაბეთმა ეს არ ისურვეს და თურქეთმა მიმართა შანტაჟისა და დაშინების პოლიტიკას.

არაბულ სამყაროში ყველა ეჭვის თვალით უყურებს თურქეთის ფიცს „მეგობრობის“ შესახებ. მეტად აშკარაა თურქეთის მისწრაფება მიაძინოს არაბების სიფხიზლე და კვლავ მოახვიოს მათ თავისი ბატონობა.

როდესაც თურქეთის პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი თვითმფრინავში ჯდებოდა ბაღდადისაკენ გასამგზავრებლად, რათა დაედო იქ სამხედრო კავშირი, მას გადასცეს ახალი გაზეთების დასტა, რათა გზაზე თავი შეექცია. ამ დასტაში იყო გაზეთი „ჰალქჩიც“, რომელმაც ადნან მენდერესის ბაღდადში გამგზავრებასთან დაკავშირებით მოათავსა პატარა სტატია. სტატია საგანგებოდ მენდერესისათვის იყო განკუთვნილი და მოაგონებდა მას ოსმალეთის წარსულ დიდებასა და ბრწყინვალებას, იმ დროს, როდესაც ერაყის ახლანდელი დედაქალაქი ბაღდადი მხოლოდ და მხოლოდ ოსმალო ფაშების სამყოფ ქალაქს წარმოადგენდა, მოაგონებდა იმ ბრძოლებს, რომელიც გადახდათ ოსმალებს ბაღდადის დაპყრობისას. სტატია თავდებოდა პოეტ ფიზულის ლექსის ოთხი სტრიქონით: „ბაღდადის მახლობლად უდაბნოს მიწაში წევს ასიათასობით თურქი ჭაბუკი, ყველა ისინი მსხვერპლად შეეწირნენ ბაღდადს“. ცხადია, ადნან მენდერესი ბაღდადს მიდიოდა იმავე საქმის გასაგრძელებლად...

ჰაბანიეს უკვე გამოუსადეგარ აეროდრომზე ერაყის დროშის აღმართვა და ბენგაზში ჩატანილი 12 მოძველებული ზარბაზანი მეტად გამჭვირვალე ფარდაა თურქეთის არაბული პოლიტიკის ნამდვილი მიზნების შესანიღბავად.



# 100 და-ძმა

ფოტონარკვევი ე. მარიამიძისა და ოთ. თურქიასი

წვიმამ მალე გადაიღო. მზის ოქროსფერ სხივებზე თბებოდა ქალაქის ქუჩები. ორთქლი ასდიოდა სახლის სახურავებს, თანდათან წელში იმართებოდნენ წვიმის წვეთებით დამძიმებული ბალახები და ყვავილები. ღრუბლები კი დამარცხებული და შერცხვენილი ფალავნებივით სტოვებდნენ თბილისის ცას.

ლენინის ქუჩის № 67 სახლის ერთ-ერთ ფანჯრიდან პატარა ბიჭუნამ გადმოჰყო თავი და გულდასმით მოათვალიერა ეზო:

— დედა, სულ გაშრა მიწა, ახლა ხომ შეიძლება ეზოში ჩასვლა? — და როდესაც თანხმობა მიიღო, კისრისმტვრევით დაეშვა კიბეებზე. ეზოში ჩაირბინა და თან წამოღებული ბურთი უმისამართოდ გადააგდო. ახლა მაღლა დაიწყო ყურება და ცოტა ხანს შემდეგ გაუბედავად დაიძახა.

— ზურა! — პასუხი არ მიიღო.—ზურაა!

მეოთხე სართულის აივანზე მოკლეშარვლიანი ბიჭუნა გამოჩნდა. ხელის დაქნევა, საიდუმლო ნიშანი იმისა, რომ ბურთის წამოღება საჭირო აღარ არის, და მალე ეზოში უკვე ორნი იყვნენ. ორნი იმათგან. რომლებსაც ფეხბურთი უნდა ეთამაშნათ, თორემ „თოჯინების თეატრის“ მსახიობი გოგონები უკვე ფარდას სჭიმავდნენ და სპექტაკლის დაწყებისათვის ემზადებოდნენ.

წვიმის წვეთებივით ჯერ თითო-თითოდ ჩამოდიოდნენ ბავშვები, ბოლოს კი მთელი ეზო დაფარეს მანანებნა და თამაზებმა, თამრიკოებმა და ზურაბებმა...

„100 და-ძმა“, ასე უწოდებს ყველა ლენინის ქუჩის №67 სახლის პატარა ბინადართ. და ეს სიცრუე როდია, ბავშვებს ნამდვილ და-ძმებივით უყვართ ერთმანეთი, ისინი აქ, ამ ეზოში იგებენ პირველად, თუ რა არის ამხანაგობა, რას ნიშნავს მეგობრობა, რა შეუძლია საერთო ძალასა და კოლექტივს. და აწყობენ „ნამდვილ“ სპორტულ შეჯიბრებებს, თოჯინების წარმოდგენას, ასუფთავებენ და ამწვანებენ ეზოს. ეხმარებიან მშობლებს.

გაივლის წლები. ისინი წამოიზრდებიან, დავაჟკაცდებიან, სამშობლოს ღირსეული მოქალაქეები გახდებიან, სამუშაოდ და სამოღვაწეოდ გასწევენ ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის სხვადასხვა მხარეს, გაიზრდება, გაფართოვდება ეზოს საზღვრები, იგი სამშობლოს საზღვრებად გადაიქცევა, გაიზრდება მეგობართა რიცხვი და ხალხის კეთილდღეობისთვის გამოიყენებენ იმ ძვირფას თვისებას, რომელიც ბავშვობის ასაკში შეიძინეს და რომელსაც კოლექტიურობა ჰქვიან.



ეთერს ყური სტკივა. ეზოში სათამაშოდ აღარ გაუშვეს მშობლებმა. მიუხედავად ამისა იგი მაინც ამხანაგებთან „არის“.



„ველოკროსის“ ფინიშთან.

მესამე „იარუსის“ მაყურებელს „დიქტორის“ კომენტარები უფრო მოსწონს, ვიდრე თვითონ თამაში.





# თუთიყუშის საქმე

**კარელ ჩაპეკი**

ნოველა

ნახატები ალ. ბანძელაძისა

— რადგან ბატონმა რედაქტორმა გაზეთზე ჩამოაგდო ლაპარაკი,—თქვა ერთმა დამსწრეთაგანმა,—მეც ერთ ამბავს მოგიყვებით. როგორ გგონიათ, მკითხველთა უმრავლესობა ყველაზე უფრო რას კითხულობს გაზეთში? ცხადია, სასამართლოს ამბებს. ვინ იცის, ასე ძალიან რად აინტერესებს ადამიანს ეს ამბები? შეიძლება იმიტომ, რომ თვითეული ჩვენგანი თავის გულში კანონის დამრღვევია, ანდა, პირიქით, ადამიანი სასამართლოს ანგარიშებში ერთგვარ მორალურ დაკმაყოფილებას პოულობს? ასეა თუ ისე, ამ განყოფილებას გაცილებით მეტი მკითხველი ჰყავს. და რადგან ასეა, მაშასადამე, სასამართლოს ამბები რეგულარულად ყოველდღე უნდა იბეჭდებოდეს გაზეთებში. აიღეთ, მაგალითისათვის, სასამართლოს არდადეგები: სასამართლოს კარები გამოკეტილია, მაგრამ სასამართლოს ქრონიკა გაზეთში მაინც უნდა იყოს. ზოგჯერ კიდევ ასედაც ხდება, რომ არც ერთ სასამართლოში არც ერთი საინტერესო საქმე არ არის, ყველგან გულისმომწყვლელი ერთფეროვნებაა. მაგრამ რეპორტიორი ვალდებულია გაზეთს სასამართლოს საინტერესო ქრონიკა მიაწოდოს. ასეთ შემთხვევებში ხელმოკლე რეპორტიორები იძულებული ხდებიან „საინტერესო საქმეები“ შეთხზან. რეპორტიორებს შორის გახურებული ვაჭრობა იმართება ხოლმე ასეთი შეთხზული, გამოგონილი პროცესებით. ისინი ამ პროცესებს ჰყიდიან, ყიდულობენ, ერთიმეორეს მიასესხებენ ან ერთ კოლოფ პაპიროსში გადაუცვლიან და ასე შემდეგ. ყველაფერი ეს მე კარგად ვიცი, რადგან ჩვენს ბინაში სასამართლოს რეპორტიორი ცხოვრობდა. ლოთიბაში და ზარმაცის ერთი ვინმე იყო, მაგრამ ამავე დროს ნიჭიერი ახალგაზრდა, გასამრჯელოდ კი რაღაც გროშებს სჯერდებოდა...

ერთხელ კაფეში, სადაც ჩვეულებრივ თავს იყრიდნენ რეპორტიორები, გამოჩნდა უცნაური, ჭუჭყიან ტანსაცმლიანი, შეშუპებული სახის მამაკაცი, ვინმე პან ჰავლენა, უიღბლო და გზააბნეული, ზერექვერედ ნასწავლი იურისტი. არავინ იცოდა, რით ირჩენდა თავს ეს ადამიანი, და თვითონაც მას, ალბათ, ნაკლებად აწუხებდა ასეთი მდგომარეობა. მაგრამ ეს უსაქმური პან ჰავლენა თავისებური ნიჭით იყო დაჯილდოებული: საკმარისი იყო შეგეთავაზებინათ მისთვის სიგარა და ერთი ხელადა ლუდი, და იგი, გააბოლებდა თუ არა სიგარას, თვალებს მოჭუტავდა და ენაწყლიანად მოუთხრობდა დამსწრეთ სახელდახელოდ იქვე შეთხზულ მეტად საინტერესო სასამართლო პროცესის მიმდინარეობას.

კეთილსინდისიერად მოიყვანდა დაცვის ძირითად თეზისებს, არც პროკურორის მოსწრებულ რეპლიკას დაივიწყებდა და მთელ თავის თხრობას ყოველმხრივ დასაბუთებული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაამთავრებდა. მერე, თითქოს ეს-ეს არის ახლა გაიღვიძაო, გაახელდა თვალებს და წაიდუდუნებდა: „მასესხეთ ხუთი კორუნაო“.

ერთხელ, როგორღაც, რეპორტიორებმა გადაწყვიტეს მოესინჯათ პან ჰავლენას „გამძლეობა“; და აი მან ფეხმოუცვლელად შეთხზა სასამართლოს ოცდაორი ნაირ-ნაირი საქმე, ერთიმეორეზე უკეთესები, და მხოლოდ ოცდამესამეზე შეჩერდა და თქვა: „მოიცათ, ეს არ ექვემდებარება ერთპიროვნულ მოსამართლეს... და არც სასამართლოს კოლეგიას. ეს მსაჯულთა სასამართლოს კომპენტენციაა, და მე არ შემეხებაო“. იგი, უნდა მოგახსენოთ, პრინციპულად წინააღმდეგი იყო მსაჯულთა სასამართლოსი. პან ჰავლენას განაჩენები ყოველთვის მკაცრი იყო, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით უნაკლო.

რეპორტიორებმა დაინახეს, რომ პან ჰავლენას „ანგარიშები“ გაცილებით უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი იყო, ვიდრე სასამართლო პროცესები, და თავისებური კარტელი შეადგინეს: პან ჰავლენა თვითეულ საქმეში განსაზღვრული ტარიფით ღებულობდა გასამრჯელოს—ათ კორუნას და სიგარას, გარდა ამისა „სანარდო ქირას“—ორ-ორ კორუნას პატიმრობის ყოველ თითო თვეში, რამდენსაც კი მიუსჯიდა გამოგონილ დამნაშავეს.

აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ—რაც უფრო მკაცრია განაჩენი, ხომ მით უფრო სერიოზულია საქმეც! მკითხველები ყოველთვის უდიდესი ინტერესით კითხულობდნენ სასამართლოს ქრონიკას, როცა იქ პან ჰავლენას ყალბი „ანგარიშები“ გამოჩნდებოდა.

ერთხელ პან ჰავლენამ შეთხზა მორიგი საქმე... ეს საქმე არ იყო მაინცადამაინც ბრწყინვალე რამ სხვებთან შედარებით, მაგრამ მაშინ, როცა სხვა საქმეებმა კეთილად ჩაიარა, კოკა სწორედ ამაზე გატყდა. მოკლედ, საქმე ასე იყო: ვითომდა რომელიღაც ხნიერ უცოლო კაცს ჩხუბი მოუვიდა დარბაისელ ქვრივ დედაკაცთან, რომელიც მის პირდაპირ ცხოვრობდა. ქვრივისთვის უსიამოვნების მისაყენებლად იმ კაცმა იყიდა თუთიყუში და ისეთნაირად გამოწვრთნა, რომ, როგორც კი ქვრივი დედაკაცი თავის აივანზე გამოჩნდებოდა, თუთიყუში მთელი ქუჩის გასაგონად გაჰყვიროდა: „შე როსკიპო, შე როსკიპოო!“ ქვრივმა უჩივლა სასამართლოში ამ კაცს და ბრალს დებდა პიროვნების შეურაცხყოფაში. რაიონულმა სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებულმა გამოიყენა თუთიყუში დაზარალებულის საჯაროდ გასალანძღავად და იმ უცოლო მეზობელს თოთხმეტი დღით პირობითი პატიმრობა მიუსაჯა, ამასთანავე—სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაც. „თქვენგან მერგება თერთმეტი კორუნა და სიგარა“,—დაასრულა პან ჰავლენამ თავისი ანგარიში.

ეს ანგარიში ექვს გაზეთში გამოქვეყნდა, სხვადასხვანაირად გადმოცემული. ერთ გაზეთში სათაურად ჰქონდა: „ერთ მყუდრო სახლში“, მეორეში — „უცოლო კაცი და საწყალი ქვრივი დედაკაცი“, მესამეში—„თუთიყუშის გასამართლება“ და ასე შემდეგ. უეცრად ყველა ამ გაზეთს იუსტიციის სამინისტროდან ცირკულარული წერილი მოუვიდა. წერილში ნათქვამი იყო, რომ „სამინისტრო გაზეთების რედაქციებს სთხოვს აცნობონ, სახელდობრ რომელმა რაიონულმა სასამართლომ გაარჩია ის საქმე, რომლის ანგარიშიც თქვენი პატივცემული გაზეთის ამ და ამ ნომერშია გამოქვეყნებული, ვინაიდან ამ საქმის აღძვრა, ასევე მასზე გამოტანილი სასამართლოს განაჩენი უკანონოა, რამდენადაც კრიმინალური[1] სიტყვები ბრალდებულს კი არ ეკუთვნის, არამედ თუთიყუშს, და არც შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თუთიყუშს სახეში ჰყავდა სწორედ დაზარალებული პიროვნება; ამრიგად, სახეზე არაა დანაშაულის შედგენილობა, რომელსაც ითვალისწინებს კანონის მუხლი პიროვნების შეურაცხყოფის შესახებ. უკიდურეს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მხოლოდ საზოგადოებრივი მყუდროების დარღვევას და, მაშასადამე, დამნაშავის მიმართ მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციულ-პოლიციური ზემოქმედების ღონისძიებანი—ჯარიმა ან გაფრთხილება მოთხოვნით—მოშორებულ იქნას იქაურობას ზემოხსენებული ფრინველი. ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროს სურს იცოდეს, რომელმა სასამართლომ გაარჩია მოხსენებული საქმე, რათა შევუდგეთ სათანადო კვლევაძიებას და ა. შ. და ა. შ.“ ერთი სიტყვით, მთელი ბიუროკრატიული აბდაუბდა და იწილობიწილო გაიაბეს.



— დალახვრა ეშმაკმა, ეს რა აურზაური ასტეხეთ, პან ჰავლენა! — წაესიენ რეპორტიორები სასამართლო ანგარიშების მთხზველს.—თქვენი განაჩენი, თურმე, არაფრად ვარგებულა, უკანონო აღმოჩნდა.

პან ჰავლენა მკვდარივით გაფითრდა.

— რას ამბობთ!—წამოიყვირა მან.—ჩემი განაჩენი უკანონო აღმოჩნდა? სამინისტროში ბედავენ ამის თქმას? წყეულიმც იყოს მათი თავი!—რეპორტიორებს ასე საშინლად განრისხებული ადამიანი თავის დღეში არ ენახათ. —მე იმათ ვაჩვენებ თვალის სეირს!—ღრიალებდა პან ჰავლენა.—ამას მათ არ შევარჩენ.

და სიბრაზისაგან ერთი ლაზათიანად გამოთვრა, მერე აიღო ქაღალდის ფურცელი და იუსტიციის სამინისტროს სახელზე დასწერა წერილი, რომელიც

[1] დანაშაულებრივი.



ვრცელ იურიდიულ ანალიზს შეიცავდა. ამ ანალიზიდან გამომდინარეობდა, რომ განაჩენი კანონიერია, ვინაიდან, ასწავლა რა ფრინველს მეზობელი ქალის ლანძღვა, თუთიყუშის პატრონს, ყოველ ეჭვს გარეშეა, წინასწარმოფიქრებული ჰქონდა შეურაცხყოფა მიეყენებინა პიროვნებისათვის, რაც აშკარად სისხლის სამართლის დანაშაული იყო. შემდეგ, ხსენებული თუთიყუში სამართლის სუბიექტი კი არ არისო,— წერდა პან ჰავლენა,—არამედ მისი ობიექტია, დანაშაულის იარაღიო და ა. შ. ერთი სიტყვით, ეს იყო ყველაზე ბრწყინვალე იურიდიული ანალიზი, რომლის მსგავსი რეპორტიორებს არც კი დასიზმრებიათ. პან ჰავლენამ წერილს მოაწერა „სამართლის დოქტორი ვაცლავ ჰავლენა“ და სამინისტროს გადაუგზავნა.

— ესეც ასე,—თქვა მან.—და სანამ საქმე არ გადაწყდება, ახლოსაც არ გავეკარები სასამართლო ანგარიშების შედგენას. მე მორალური დაკმაყოფილება უნდა მივიღო, დიახაც!

იუსტიციის სამინისტრომ, თავისთავად ცხადია, ყურიც არ დაიბერტყა პან ჰავლენის წერილზე. იგი კი პასუხის მოლოდინში მოღუშული დადიოდა, დაღვრემილი, კიდევ უფრო მოეშვა, უსუფთაობა უფრო დაეტყო, სიგამხდრისგან ლოყები ჩაუცვივდა, ზეზეურად ჩამოხმა, ბოლოს მიხვდა, რომ სამინისტროდან პასუხს ვერ ეღირსებოდა და ყველას უღრენდა, ვინც კი რაიმე შეკითხვით მიმართავდა, იფურთხებოდა, და ერთხელ მუქარით ასე თქვა:

— დამაცათ, მე იმათ ვუჩვენებ, ვინ არის და ვინ არა მართალი!

ორი თვე სადღაც გადაიკარგა. მერე ისევ გამოჩნდა სახეგაბრწყინებული და განაცხადა:

— ჩემს წინააღმდეგ უკვე აღძრულია საჩივარი სასამართლოში. უჰ, ის მიწადასაყრელი დედაკაცი, რამდენი დავიდარაბა დამჭირდა, სანამ დავარწმუნებდი! აბა, რას ვიფიქრებდი, თუ ის დედაბერი ასეთი მშვიდობისმოყვარე გამოდგებოდა. ხელწერილიც კი მივეცი, სასამართლოს ხარჯებს, როგორც არ უნდა გათავდეს საქმე, მე ვკისრულობ-თქო. ამრიგად, ბატონებო, ახლა ამ საქმეს სასამართლო განიხილავს.

— რა საქმეს?—შეეკითხნენ რეპორტიორები.

— აი იმას, თუთიყუშის საქმეს,—უპასუხა პან ჰავლენამ.—მე ხომ გითხარით, რომ ამ საქმეს კუდის ძირამდე ტყავს გავაძრობდი. მე, იცით, ერთი თუთიყუში ვიყიდე და ვასწავლე ძახილი: „შე როსკიპო, შე წყეულო დედაკაცო!“ სისხლი გამიშრო იმ ფრინველმა—სამი კვირა სახლიდან ფეხი არ გამომიდგამს, წამდაუწუმ ვუმეორებდი: „შე როსკიპო!“ სამაგიეროდ, ახლა ჩემი თუთიყუში შესანიშნავად გამოთქვამს ამ სიტყვებს, მაგრამ—გინახავთ ასეთი ყეყეჩი ვინმე!—დილიდან საღამომდე სულ ჩხავის და ჩხავის და იმას კი ვერასგზით ვერ მივაჩვიე, რომ ეს სიტყვები მარტო მაშინ დაიძახოს, როცა ჩემს პირდაპირ მცხოვრებ მეზობელ ქალს, დაინახავს, ის ქალი, იცით, მუსიკის მასწავლებელია, კარგი ოჯახის შვილი, ძალიან კეთილი მოხუცი ვინმეა. მაგრამ ჩვენს სახლში იმის გარდა ქალი არავინაა და, რა ჩარა იყო, მეც იგი ამოვირჩიე. დიახ, უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი დანაშაულის შეთხზვა იოლი საქმეა, მაგრამ მისი განხორციელება პრაქტიკულად—სულ სხვა რამ გახლავთ... არ იქნა და არა, ვერ მივაჩვიე ჩემი ხულიგანი თუთიყუში, რომ მარტო ის დედაბერი ლანძღოს. ვისაც კი დაინახავს, ყველას უჩხავის, ისეთი წუპაკი ფრინველია!

პან ჰავლენამ ერთბაშად გამოსცალა ერთი ხელადა ლუდი და განაგრძო·

— მაშინ ავდექი და, სხვა ფანდი ვიხმარე. როგორც კი მეზობელი ქალი ეზოში გამოჩნდა, უმალ ჩემი ფანჯარა გავაღე და თუთიყუშმაც დაიჩხავლა: „შე როსკიპო, შე წყეულო დედაკაცო!“ და რა გგონიათ: იმ ქალს გაეცინა და ამომძახა: „ეს რანაირი თუთიყუში გყოლიათ, ბატონო ჰავლენაო“.

ეშმაკმა წაიღოს იმ შეჩვენებული დედაბრის თავი და ტანი! ორი კვირა ვეღრიჯებოდი და, როგორც იქნა, დავითანხმე საჩივარი შეეტანა ჩემზე სასამართლოში. მოწმეებად მთელი ჩვენი სახლის მობინადრეებია. ახლა კი სასამართლო ვეღარ აიცდენს ამ საქმის გარჩევას—და პან ჰავლენა სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტავდა.—მაშ, კაცი არ ვყოფილვარ, თუ მართლა არაფერი მომისაჯეს პიროვნების შეურაცხყოფისათვის. აი ნახავთ! მე ამ საქმეს არ მოვეშვები. იმათ, იმ ჭკუისკოლოფებს, სამინისტროში რომ სხედან, ვაჩვენებ, ვინცა ვარ!

სასამართლო პროცესის დანიშვნამდე პან ჰავლენა დღე და ღამე ღვინოში იყო ჩამხრჩვალი, ღელავდა და მოუთმენლობისაგან სული ელეოდა. პროცესზე დიდი ღირსებით ეჭირა თავი. წარმოთქვა თავის საწინააღმდეგოდ საბრალმდებლო სიტყვა, დაეყრდნო სახლის ყველა მობინადრის ჩვენებას, რითაც დასტურდებოდა, რომ შეურაცხყოფა იყო წინასწარმოფიქრებული და საჯარო, და მკაცრ სასჯელს მოითხოვდა. მოსამართლემ, ძველმა ხანში შესულმა იუსტიციის მრჩეველმა, დარბაისელმა და გულკეთილმა ადამიანმა, ულვაში მოიწუწნა და განაცხადა, სურვილი მაქვს ჩემი ყურით მოვუსმინო თუთიყუშს, რის გამოც საჭიროდ მიმაჩნია საქმის გადადებაო. ბრალდებულს წინადადება მიეცა შემდეგი სხდომისათვის სასამართლოში მოეყვანა ხსენებული ფრინველი, როგორც „corpus delicti“ [1], ან შესაძლებელია, როგორც მოწმეც.

მეორე სხდომაზე პან ჰავლენამ სასამართლოში გალიით მოიყვანა თუთიყუში. ფრინველმა უცებ კისერი წაიგრძელა, თვალები გადმოუქაჩა შიშისგან აცახცახებულ მდივან ქალს და მთელ დარბაზში გაისმა: „შე როსკიპო, შე წყეულო დედაკაცო!“

— კმარა,—წარმოთქვა მოსამართლემ. — თუთიყუშის ჩვენებიდან აშკარაა, რომ მისი სიტყვები პირდაპირ და უშუალოდ დაზარალებულს არ ეხებოდა...

თუთიყუშმა ახლა მოსამართლეს გადმოუქაჩა თვალები და დაუყვირა:

„შე როსკიპო, შე წყეულო დედაკაცო!“

— ...რადგან, ნათლად ჩანს,—განაგრძო მოსამართლემ,—რომ წარმოთქმული ეპითეტებით მიმართავს ყველას, და ისიც განურჩევლად სქესისა. ამრიგად, პიროვნების არავითარ შეურაცხყოფას არ ჰქონია ადგილი, პან ჰავლენა.

პან ჰავლენა გველნაკბენივით წამოხტა.

— ბატონო მოსამართლევ!—ცხარე პროტესტით წამოიძახა მან.—წინასწარგანზრახვა მდგომარეობს იმაში, რომ, როგორც კი გამოჩნდებოდა დაზარალებული, მე საგანგებოდ ფანჯარას ვაღებდი, რათა თუთიყუშს უშვერი სიტყვებით გამოელანძღა დედაბერი...

— ბუნდოვანი შემთხვევაა, — უპასუხა მოსამართლემ. — სავსებით დასაშვებია, რომ ფანჯრის გაღება ამ შემთხვევაში მართლაც ეჭვმისატანი იყოს, მაგრამ ეს თავისთავად არ წარმოადგენს შეურაცხმყოფელ ქმედებას. არ შეგვიძლია დაგსაჯოთ იმისთვის, რომ პერიოდულად ფანჯარას აღებდით. არც ისაა დამტკიცებული, რომ თქვენს თუთიყუშს, როცა ის უწმაწურ სიტყვებს წარმოთქვამდა, დაზარალებული ჰყავდა მხედველობაში

— მე! მე თვითონ მყავდა მხედველობაში!—უტევდა პან ჰავლენა მოსამართლეს.



— ეს არ დასტურდება მოწმეთა ჩვენებით,—შეესიტყვა მოსამართლე.—პირადად თქვენგან არავის გაუგონია ინკრიმინული [1] სიტყვები. არაფერი გაეწყობა, ბატონო ჰავლენა, უნდა გაგამართლოთ.—მოხუცმა დაიხურა მოსამართლის ქუდი და გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

— მე ვაპროტესტებ განაჩენს და შემაქვს საკასაციო საჩივარი!— დაიყვირა პან ჰავლენამ, რომელიც ძლივს იკავებდა ცრემლებს, მერე ხელი დაავლო თუთიყუშიან გალიას და გასასვლელს მიაშურა.

შემდეგში რეპორტიორები ხანდახან ხვდებოდნენ პან ჰავლენას, ცხვირპირჩამომტირალსა და ნიადაგ მთვრალს.

— აბა, ერთი მითხარით, ბატონებო, ესაა სამართალი?!—წუწუნებდა იგი.—მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ! უმაღლეს ინსტანციაში გავასაჩივრებ, რეაბილიტაციას მივაღწევ, თუნდაც სიკვდილამდე სასამართლოებში დამჭირდეს რბენა... ეს ჩემი ინტერესებისთვის კი არა, სამართლიანობის დასადგენადაა საჭირო!

რით გათავდა საქმე უმაღლეს ინსტანციაში? სრულიად უბრალოდ: სასამართლომ საჭიროდაც კი არა სცნო განეხილა საკასაციო საჩივარი გამამართლებელ განაჩენზე. მას აქეთ პან ჰავლენა უკვალოდ გაჰქრა, თითქო მიწამ ჩაყლაპაო. ამბობდნენ, ერთხელ ქუჩაში უნახავთ— მიბარბაცებდა და რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდაო. იუსტიციის სამინისტროში კი აქამდე წელიწადში რამდენჯერმე შემოდის ვრცელი გულმხურვალე საჩივარი „პიროვნების შეურაცხმყოფელ თუთიყუშზე“...

[1] in criminis—ბრალშერაცხულობა. ინკრიმინული სიტყვები — ბრალშემრაცხავი სიტყვები.

ჩეხურიდან თარგმნა შ. ბვინჩიძემ



[1] კორპუს დელიქტი — ნივთიერი საბუთი.

ბიბლიოთეკა

# მიკროფონის წინ

ც. ყიფიანი, ნ. ღვინეფაძე



— ჩვენი მიკროფონი დგას „დინამოს“ სტადიონზე...

რუსთაველის სახელობის თეატრში მიმდინარეობს ჯონ ფლეტჩერის კომედიის „ესპანელი მღვდლის“ გენერალური რეპეტიცია. პირველმა ორმა მოქმედებამ მშვიდობიანად, „უინცინდენტოდ“ ჩაიარა, კმაყოფილია რეჟისორი, მსახიობები, რა თქმა უნდა, — დარბაზში მსხდომნიც. დაიწყო მესამე მოქმედება. მუდამ სალოცავად ხელაპყრობილი, ლოთობისგან ხმაწასული, მსუნაგი, დაგლეჯილ ანაფორაში გახვეული მღვდელი ლოპესი ანგარებიან ვექილს დაარწმუნებს, თითქოს „მომაკვდავმა“ დიაკვანმა ერთადერთ ჭირისუფლად დანიშნა იგი. მოსალოდნელი გამდიდრებით გახარებული ვექილი მორჩილად მიჰყვება მღვდელს „მომაკვდავ“ დიეგოს სანახავად. ეს უკანასკნელი ჭირისუფალს თხოვს დატოვებული „სიმდიდრიდან“ ყველას არგოს წილი. გახარებული ვექილი ფიცს დებს, მაგრამ „ღვთის მსახურნი“ როდი ენდობიან ლიტონ სიტყვებს: „აბა, შვილო, ჩემო, ემთხვიე ჯვარს“, მიმართავს მას მღვდელი ლოპესი და ინსტინქტურად ხელებს მკერდზე იფათურებს, მაგრამ...

პარტერში მჯდომი რეჟისორი, აქამდე მშვიდი და შეუმჩნეველი, აღელდა, სკამიდან წამოიწია, მხოლოდ მან შეამჩნია, რომ ლოპესის როლის შემსრულებელ მსახიობს კისერზე ჯვარი აღარ ეკიდა, როგორ მოიქცევა მსახიობი? როგორ გამოვა ამ მდგომარეობიდან? პარტერს ზურგს შეაქცევს და ასე დაჰფარავს და შენიღბავს თავის შეცდომას, თუ ცარიელ ხელებს გაიშვერს და ვექილი ჯვრის მაგივრად ჰაერს აკოცებს?

— ვაიმე ჯვარი, სად არის ჩემი ჯვარი! — მოისმა უეცრად სცენიდან და რეჟისორს სახე გაუბრწყინდა, გაიღიმა და დამშვიდებული ისევ სკამის ზურგს მიეყრდნო. ანდა როგორ არ გაღიმებოდა, მსახიობმა ბრწყინვალედ გამოიყენა შემთხვევა. ლოპესის სცენურ სახეს კიდევ ერთი არტისტული შტრიხი შეჰმატა, უფრო მეტად გამოამჟღავნა ყალთაბანდობა უსაქმური მღვდლისა, რომელიც იმდენს ოინბაზობს და ლოთობს, რომ ჯვრის დაკარგვასაც ვერ ამჩნევს თურმე.

მღვდელი ლოპესის როლის შემსრულებელი მსახიობი გახლდათ ეროსი მანჯგალაძე. თავისი არტისტული ნიჭის წყალობით მიგნებულ შტრიხს იგი ახლაც ხშირად იმეორებს „ესპანელი მღვდლის“ წარმოდგენისას.

სწორედ ერთი სპექტაკლიდან მეორემდე როლში ასეთი სიახლის შეტანა, მეტი დამახასიათებელი დეტალების გამონახვა, სცენაზე გმირის სიცოცხლით ცხოვრება. როცა მსახიობს არ ეშინია ზედმეტი ნაბიჯი გადადგას დასახული მიზანსცენიდან ან, როცა იგი სწრაფად შეაფასებს სცენაზე მომხდარ რაიმე მოულოდნელობასა და ამით თავიდან აიცილებს უხერხულობას, მეტყველებს როლის მიმართ იმ დიდ შემოქმედებითს დამოკიდებულებაზე, რაც მსახიობის უტყუარი ზრდის საწინდარია.

პირველი ნაბიჯებიდანვე, ჯერ კიდევ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, გამომჟღავნდა ე. მანჯგალაძის არტისტული შესაძლებლობანი. ამის შესანიშნავი დემონსტრაცია იყო ის საკურსო და სადიპლომო სპექტაკლები, რომლებმაც ე. მანჯგალაძეს საგზური მისცეს დიდ სცენაზე სამოღვაწეოდ.

რამდენი შემოქმედებითი ძიება და მღელვარება დაამახსოვრა მას საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, რეჟისორ დ. ალექსიძის მიერ დადგმულმა საკურსო სპექტაკლმა „პაწიამ“, რომელშიც ე. მანჯგალაძემ საინტერესოდ დახატა მდიდარი, ფუქსავატი მარტოხელა კაცის შინაგანი სიცარიელე.

მეორე საინტერესო სახე, რომელმაც უკვე თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია, იყო ტეტერევის როლი მაქსიმ გორკის პიესაში „მდაბიონნი“.

ძლიერი შინაგანი ბუნების მქონე ადამიანის, უთვისტომობის გამო გაუხეშებული ტეტერევის გარდა, ე. მანჯგალაძემ ინსტიტუტის სცენაზევე შექმნა პარიზელი მეძონძის სახე, ფელიქს პიას ამავე სახელწოდების პიესაში. ხოლო როცა მომავალმა მსახიობმა სადიპლომო სპექტაკლში („ღრმა ფესვები“) მოწინავე ზანგი ახალგაზრდის — ბრეტის როლი ითამაშა, უკვე ბევრი დარწმუნდა, რომ ქართულ თეატრს ნამდვილად შეემატებოდა კიდევ ერთი ნიჭიერი შემოქმედი.

1948 წელს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ეროსი მანჯგალაძის სადებიუტო გამოსვლა ისევ „ღრმა ფესვებით“ დაიწყო. ეს ხომ მი-



ეროსი მანჯგალაძე ივანე მრისხანეს როლში.

სი სადიპლომო სპექტაკლი იყო და დამწყებმა მსახიობმა არ დაიშურა თავისი შინაგანი სითბო და ტემპერამენტი, რათა კიდევ ერთხელ შეესხა ხორცი კეთილშობილი ზანგის სახისათვის.

მას შემდეგ ე. მანჯგალაძე დღითი დღე იზრდება მაყურებლის თვალწინ. აი, ახალგაზრდა მსახიობს ვხედავთ ისეთ როლში, როგორიცაა ჩეხი პატრიოტის იოზეფ პეშეკის სახე სპექტაკლში „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“.

ე. მანჯგალაძის მიერ შექმნილ პეშეკში როლის ყოველი ნიუანსი მიმართულია იმისაკენ, რომ ნათლად გამოიკვეთოს ამ კეთილშობილი ადამიანის მზრუნველობა და სულიერი სიფაქიზე. მოხუცს ავადმყოფ ფუჩიკის სასთუმალთან ღამისთევისა და მოვლის შედეგად, თითქოს ჩვეულებად გადაქცევია ფეხის წვერებზე სიარული, ფრთხილი საუბარი. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ასე გამხდარ, კრინით მოლაპარაკე მოხუცის გრიმის ქვეშ, ჯანღონით სავსე ახალგაზრდა და შესანიშნავი ბარიტონით დაჯილდოებული მსახიობი იმალებოდა.

არა ნაკლებ წარმატებას მიაღწია ე. მანჯგალაძემ მოხუც მაქსიმილიანე მოორის სახის შექმნით, შილერის ტრაგედიაში „ყაჩაღები“. საწინააღმდეგოდ იმ საღებავებისა, რომლითაც მსახიობმა პეშეკის სახე დაგვიხატა, მაქსიმილიანე მოორში იგი უკვე მაღალი ტრაგედიის სტილის შესატყვისი მხატვრული სახის შემქმნელად გვევლინება.

ე. მანჯგალაძის შემოქმედება თავიდანვე კონტრასტული გადასვლებით ხასიათდება. მოხუცი მოორის ტრაგიკული სახის შექმნის შემდეგ მას კვლავ სახასიათო როლის განსახიერება უხდება გ. სუნდუკიანცის პიესაში — „პეპო“. თუ ე. მანჯგალაძეს ადრე შექმნილ როლებში ასე უხვად ჭირდებოდა დადებითი გმირისათვის დამახასიათებელი ადამიანური საღებავები — იქნებოდა ეს ჰუმანიურობა, თუ გარეგნული მიმზიდველობა ან შინაგანი სითბო, სრულიად საწინააღმდეგო ხერხები გამოიყენა მან უპირო მევახშის — ზიმზიმოვის სახის განხორციელების დროს.

ე. მანჯგალაძე არა მარტო მთავარ როლებში იქცევს ყურადღებას, მის მიერ განსახიერებული ეპიზოდიც მხატვრულად დახვეწილებული და დასამახსოვრებელია. ასეთია ჯიუტ მოჯამაგირის სახე ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივში“. მაყურებელი უყურებს სპექტაკლს, ხელში უჭირავს პროგრამა და მაინც არ სჯერა, რომ ამ ხეპრე, ჯიუტ ომარაანთ მოჯამაგირეს, ასეთ შეუხედავსა და ჩანჩურას, ე. მანჯგალაძე ანხორციელებს.

თავისი სამსახიობო მოღვაწეობის მანძილზე ე. მანჯგალაძესაც, როგორც ყველა მსახიობს, ჰქონდა თავისი ოცნება—შეესრულებინა ივანე მრისხანეს როლი სოლოვიოვის დრამაში — „დიდი ხელმწიფე“. ითამაშო ასეთი რთული როლი სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის აკაკი ხორავას შემდეგ, არცთუ ადვილი საქმეა. ახალგაზრდა შემოქმედის თავისუფალი დრო მუდამ გადადებული იყო დიდი ხელმწიფის როლზე სამუშაოდ. და აი, 1953 წელს მას უკვე საშუალება მიეცა თეატრშიც გაეგრძელებინა და დაემთავრებინა დაწყებული მუშაობა.

თანამედროვე ქართულ პიესებში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია ე. მანჯგალაძის მიერ განხორციელებული ახალგაზრდა აგრონომის ზურაბ ალნიაშვილის სახე ს. კლდიაშვილის კომედიაში „დღესასწაული საკრეულაში“. მსახიობმა თავისი ახალგაზრდული სითბო ჩააქსოვა ამ მოუხეშავი, მაგრამ მორიდებული, საქმიანი და მოსიყვარულე აგრონომის საინტერესო როლში.

ე. მანჯგალაძე ისეთ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც განსასახიერებელი გმირის შინაგანი ბუნების დახასიათებასთან ერთად მეტად ინდივიდუალურსა და დასამახსოვრებელ პორტრეტულობას აღწევენ. მის მიერ სცენაზე გაცოცხლებული გმირები გიტაცებთ არა მარტო თავისი სცენური ბიოგრაფიით, არამედ განსახიერების არტისტიზმით (ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით), გრიმის შესანიშნავი მიგნებით, კოსტუმის მოხერხებული ტარებითა და გააზრების გონიერებით. ამის ნათელი დადასტურებაა მის მიერ ახლახან ბრწყინვალედ განსახიერებული ესპანელი მღვდლის — ლოპესის როლი ჯონ ფლეტჩერის კომედიაში „ესპანელი მღვდელი“.

* * *

...დარტყმა, კიდევ დარტყმა! მღელვარებით ამბობს ვაჟკაცის მგრგვინავი ხმა და თითქოს ხედავთ, როგორ მიჰქრის ბურთი კარისკენ, როგორ ხტება მეკარე. სწორედ ასეთ მწვავე მომენტში რადიოკომენტატორი პაუზას აკეთებს — რადიომსმენელი კი უკვე გრძნობს, რომ ამ დარტყმას კარგი შედეგი არ მოჰყვა და მის აზრს მაშინვე ადასტურებს დიქტორის მიერ უხალისოდ წარმოთქმული — „მაგრამ“... ამის შემდეგ არც ერთ მსმენელს განმარტება აღარ ესაჭიროება. რადიოკომენტატორის ეს ხავერდოვანი ხმა, ეს ინტონაციები ოჯახის წევრის ხმასავით ახლობელი გახდა რადიომსმენელისათვის. და გახა მარტო ეს მხარე იპყრობს მათ ყურადღებას.

ყოველი მათგანი იმავე რადიოს საშუალებით უსმენს მსახიობ ეროსი მანჯგალაძის მიერ მხატვრული ოსტატობით წაკითხულ პროზისა თუ პოეზიის ნიმუშებს.



მღვდელი ლოპესი — ეროსი მანჯგალაძე („ესპანელი მღვდელი“).

# არჩილ მეფე და ქართული სტამბა

## ნ. ჩიქოვანი

საქართველოში სტამბა მხოლოდ 1709 წელს დაარსდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მანამდე არ იყო საქართველოში სტამბის დაარსების ცდები.

პოეტი და მწიგნობარი არჩილი, იმერეთის მეფე, ზრუნავდა საქართველოში სტამბის დაარსებაზე, რის გამოც მას ევროპაშიც ჰქონდა მიწერ-მოწერა.

როგორც ცნობილია, არჩილ მეფე რუსეთში გადასახლდა. 1705 წელს მან ქართულად დაბეჭდა „დავითიანი", მოსკოვში მან საკუთარი სტამბა გამართა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მის ქალს დარეჯანს გადაეცა. არჩილ მეფის სტამბის შესახებ დღემდე ბევრი რამ იყო ცნობილი, მაგრამ, ამ საკითხს ახალ შუქსა ფენს ამას წინათ უნგრეთში გამოსული ორი წიგნი, სახელდობრ XVII საუკუნის წიგნის ბეჭდვის ცნობილი ოსტატის ტოტფალუშ კიშ მიკლოშის თხზულების — „თავის გასამართლებლად" (**Maga Mentsége**) მეორე გამოცემა და თანამედროვე უნგრელი მწერლის ნემეტ ანდორის ისტორიული რომანი „ასოების ოსტატი" (**A Betü mestere**), რომელშიც აღწერილია ტოტფალუშ კიშ მიკლოშის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ტოტფალუშ კიშ მიკლოშის თხზულების მეორე გამოცემას წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა, რომელიც გვაცნობებს ამ ღვაწლმოსილი უნგრელი მესტამბის ბიოგრაფიას, ხოლო ანდორ ნემეტის რომანი მხატვრულად ასახავს ტოტფალუშის ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას წიგნის ბეჭდვის განვითარების საქმეში. ამ წყაროებიდან ჩვენ ვიგებთ, რომ კიშ მიკლოში დაიბადა ტრანსილვანიაში 1650 წელს და გარდაიცვალა იქვე 1702 წელს. იგი ღარიბი ოჯახიდან იყო. რამდენიმე ხანს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 30 წლის ასაკში, 1680 წელს, იგი გაემგზავრა ჰოლანდიაში უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. ცნობილი ტრანსილვანიელი მეცნიერის პაპოი პარიზ ფერენცის რჩევით აქვე დაიწყო მან ტიპოგრაფიული ხელობის შესწავლა, მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილდა და ქ. ამსტერდამში გადავიდა ამ ხელობის უკეთ დასაუფლებლად.

ტოტფალუშმა, როგორც კარგმა ხელოსანმა, მალე გაითქვა ევროპაში სახელი; როგორც ჩანს, იგი დაკვეთებს იღებდა რომის პაპისაგან, ინგლისიდან, გერმანიიდან, შვეციიდან, სომხეთიდან და საქართველოდან. უცხოეთში მან 9 წელიწადი დაჰყო, ხოლო 1689 წელს სამშობლოში დაბრუნდა და ქ. კოლოჟვარში (დღევანდელი კლუჟი) დასახლდა. ტრანსილვანიაში დაბრუნებამდე იქაური დიდებულები დიდ დახმარებას პირდებოდნენ მას, სინამდვილეში კი მას სახლიც არ მისცეს სახელოსნოს მოსაწყობად, არც გადასახადები მოუხსნეს, პირიქით, ზედმეტიც შეაწერეს. ტოტფალუშის მოღვაწეობა ტრანსილვანიაში ბოლოს იმითი დამთავრდა, რომ მას სამღვდელოება და მემამულეები სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ. ამისი მიზეზი ის იყო, რომ ტოტფალუში მხარს უჭერდა ხალხს, ზრუნავდა მათთვის, თავის მიერ გამოცემულ წიგნებს იაფფასად ყიდდა, რომ უბრალო ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. მანვე გამოსცა უნგრული ენის ანბანი.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ სამღვდელოებამ ტრანსილვანელ მემამულეებთან ბლოკი შეკრა და ტოტფალუშს სამუშაოს აღარ აძლევდა. მიუხედავად იმისა, რომ ტოტფალუშისათვის საკუთარ ხარჯზე ძნელი იყო სახელოსნოს შენახვა ტრანსილვანიაში, იგი მაინც არ სტოვებს სამშობლოს. საზღვარგარეთ მას დიდი პატივი ელოდა, მაგრამ ის სამშობლოდან არ მიდიოდა და ამბობდა: მე ჩემი ხალხისათვის ვარ საჭირო და მას უნდა ვემსახურო.

სიკვდილის წინ მან დასწერა წიგნი „თავის გასამართლებლად", სადაც იგი ტრანსილვანიელი სამღვდელოებისა და მემამულეების უვიცობას ამხელს. მას სტანჯავდა აზრი, რომ საკუთარ სამშობლოში სახელის ნაცვლად ტანჯვის მეტი წილად არაფერი ხვდა მაშინ, როდესაც მის სახელს საზღვარგარეთ დიდის პატივისცემით იხსენიებდნენ. ტოტფალუშმა შორეულ საქართველოდანაც მიიღო მადლობა. ამის შესახებ ის წერს: „საქართველოს შესახებ რაღას იტყვით, რომელიც კავკასიონის ქედების ძირშია. მათ არასოდეს არ ჰქონდათ სტამბა. როგორც თურქები, ისინი ხელნაწერით სარგებლობდნენ. ამით თვით მეფე დაინტერესდა. შეადგინა ანბანი, რამდენიმე ტექსტი, გამოგზავნა ისინი აქ, ამსტერდამში. მე კი არ მომეწონა მათი ფორმა, ასოები ცოტა შევცვალე და ისე ჩამოვასხი. ისინი ძალიან მოეწონათ. თუ კი იმ სიშორიდან მომძებნეს ასეთმა ცნობილმა პირებმა, განა უფლება არ მაქვს ვიფიქრო, რომ შემიძლია ჩემს სამშობლოსაც გავუთქვა სახელი და იმ ქვეყანასაც, სადაც კი მე ვიმუშავებდი". *

როგორც ამ ამონაწერიდან ირკვევა, ტოტფალუშს ქართველი მეფის დაკვეთით ქართული შრიფტი ჩამოუსხამს. ტოტფალუშის წიგნის წინასიტყვაობაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ეს დაკვეთა არჩილ მეფისაგან მიიღო. ამ საკითხის შესახებ უფრო ვრცელ ცნობას ვხვდებით ანდორ ნემეტის თხზულებაში „ასოთა ოსტატი", სადაც გადმოცემულია ამსტერდამის ბურგომისტრის ვიტშენ მიკლოშის საუბარი ტოტფალუშ კიშ მიკლოშთან. როგორც ირკვევა ამსტერდამის ბურგომისტრს ვიტშენ მიკლოშს საქართველოში უმოგზაურია და აქ გაუცნობია არჩილ მეფეს. **

ამსტერდამი იმ დროს ცნობილი იყო თავისი კარგად გამართული სტამბებით და წიგნის ბეჭდვის მაღალი კულტურით. ამიტომ ბუნებრივია, რომ მეფე არჩილი ამსტერდამელ სტუმართან საუბრის დროს ამ საკითხითაც დაინტერესდებოდა. როგორც ანდორ ნემეტის თხზულებიდან ირკვევა, ეს ასეც ყოფილა. მოგვყავს ვიტშენ მიკლოშისა და ტოტფალუშ კიშ მიკლოშის საუბარი ანდორ ნემეტის წიგნიდან:

„მართლაც საქართველო მშვენიერი ქვეყანაა! უმთავრესად მთაგორიანი, ლამაზი საძოვრებით და ველებით (ალბათ, ტრანსილვანიასა ჰგავს, გაიფიქრა ტოტფალუშმა). ორასი წლის უკან, განაგრძობდა ბურგომისტრი, ეს წარმტაცი ქვეყანა მისმა ერთ-ერთმ, მეფემ სამ ნაწილად დაყო და თავის შვილებს დაუნაწილა, მაგრამ იგი ვერც ერთმა ვერ შეინარჩუნა: სამი პროვინცია—ქართლი, კახეთი და იმერეთი დღემდე არ არის გაერთიანებული. ამ ქვეყნის ორი ნაწილი სპარსელების მპყრობელობის ქვეშაა, ერთი კი რუსების. ბურგომისტრი გაჩუმდა.

1661 წელს, ე. ი. ჩემი გამომგზავრების შემდეგ, იმერეთში გამეფდა კახეთის მეფის შვილი, ცნობილი არჩილი, რომელიც დიდად განათლებული და ნიჭიერი ადამიანია. მიუხედავად ამისა, იგი ტახტზე ავიდა თუ არა, ადგილობრივი არისტოკრატია მის წინააღმდეგ, უწინდელ მტრებთან, ალბათ, ისლამის ფაშებთან გაერთიანდა და მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს სპარსელების დახმარებით. ამის შემდეგ არჩილ მეფე სამჯერ ავიდა ტახტზე, მაგრამ თითო წელზე მეტი აღარ უმეფია. ადგილობრივი არისტოკრატია შემდეგშიაც არ აძლევდა მას მოსვენებას და მანამ არ მოისვენა, სანამ იგი სამშობლოდანაც არ გააძევა (ჩვენებურ, ტრანსილვანიელ არისტოკრატებს ჰგვანებიან სულ, გაიფიქრა ტოტფალუშმა, საბრალო კემენ იანოშის ამბავისა არ იყოს, — გაახსენდა მას, თუ როგორ წაკიდა აპაფიმ ერთმანეთს ბანფი დენეში და ბედლი პალი, სანამ ანგარიში არ გაუსწორა მათ). არჩილ მეფე, განაგრძო ბურგომისტრმა ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს. მისგან იქიდან მე წერილი მივიღე, რასაკვირველია, წერილი მისი დაწერილი არ არის, რადგან მეფეები მხოლოდ ერთმანეთსა სწერენ წერილებს, ეს კი მისი მწიგნობარის დაწერილია. აი, რა წერია წერილში, — თქვა ბურგომისტრმა და სათვალეები გაიკეთა: „ჩემო პატივცემულო მეგობარო, ამსტერდამის ბურგომისტრო, შენ მბეჭდავთა ქალაქის ბურგომისტრი ხარ და ამიტომ გწერ ამ წერილს. მე სტამბა ძალიან მესაჭიროება. დაზგები უკვე მაქვს, მაგრამ ასოები არა მაქვს, ვინაიდან აქ არ იციან ისეთი ასოების გამოჭრა, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება — ქართული ასოები. ამიტომ მოგმართავ შენ, რომ მონახო ხელოსანი, რომელიც გამოსჭრის ასოებს იმ ნიმუშის მიხედვით, რომელსაც წერილთან ერთად გიგზავნი და თანაც მათ ჩამოსხმას შესძლებს. შრომას, რა თქმა უნდა, შესაფერისად აგუნაზღაურებთ.

ძალიან გთხოვ, მოკიდე ხელი ამ დავალებას, რითაც ჩემს მეგობრულ განწყობილებას დაიმსახურებ. ვიმედოვნებ, რომ შენ არ დააგვიანებ და არ გადასდებ ჩემდამი ამ სამსახურს, რომელიც უფლის დიდებას მოემსახურება. ღმერთმა წარმატება მოგცეს".

(წერილი დაწერილია მოსკოვში 17 დეკემბერს 7905 წელს სამყაროს შექმნის შემდეგ).

ქვემოთ კი არჩილ მეფის ხელითაა მიწერილი: „მიიღე, ჩემი, არჩილ მეფის უსტარი". — ესენი კი წერილს თან ერთოდა, თქვა ბურგომისტრმა და ქაღალდის ორი ფურცელი უჩვენა მას. ორივე ფურცელზე ასოთა ნიმუშები იყო გამოყვანილი და თან ახსნა-განმარტებაც ერთოდა. ქართველები ორნაირ ანბანს ხმარობენ ხუცურს — ოთხკუთხოვანს, რომელიც სომხურ ანბანს წააგავს. ამ ანბანით ქადაგებას სწერენ, მეორე კი საეროა, მხედრული, ის უბრალო ხელნაწერსა ჰგავს. მეფემ ამ ანბანის ნიმუშიც გამოგზავნა. ეტყობა ლოცვების გარდა ის აპირებს დაბეჭდოს რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი", რომელსაც ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს. ტოტფალუშმა ყურადღებით დაათვალიერა ხელნაწერი.

— შეძლებ გაკეთებას? — დაეკვდა ბურგომისტრი.

— რატომ არა? — უპასუხა ტოტფალუშმა.

— ერთი სიტყვით, შემიძლია თუ არა მივწერო მეფეს, რომ შენ ხელს კიდებ დაკვეთას?

— შეგიძლიათ.

— მშვენიერია! — აღტაცებით წარმოთქვა ბურგომისტრმა. — დანარჩენი კი ჩემზე იყოს.

ტოტფალუშმა ბურგომისტრს გამოართვა ასოთა ნიმუშები და ორი დღე იმუშავა მათ გამოსაყვანად. მან, პირველ ყოვლისა, ასოები გაადიდა, მერე ცალცალკე დახატა და მანამ არ გაანება თავი, სანამ სასურველი მოყვანილობა არ მისცა, შემდეგ ერთად დაალაგა და სასვენი ნიშნები გაუკეთა. ამის შემდეგ იგი ბურგომისტრთან მივიდა და თავისი ნამუშევარი უჩვენა:

— ცუდი ხომ არა ვქენი, ასოები რომ შევასწორეო.

ბურგომისტრს, არც უფიქრია, ისე უთხრა თავისი აზრი.

— გამოვჭრა? — შეეკითხა მას ტოტფალუში.

— გამოჭერი ყოველ შემთხვევისათვის — უთხრა ბურგომისტრმა, — ჩამოასხი კიდეც და სანიმუშოდ გავუგზავნი არჩილ მეფეს.

ტოტფალუშმა ასოები ჩამოასხა და ბურგომისტრს მიუტანა, მან კი ისინი მოსკოვს გააგზავნა". *

ეს ასოები, როგორცა ჩანს, არჩილ მეფეს მიუღია და სათანადო გასამრჯელოც გაუგზავნია ტოტფალუშისათვის. ანდორ ნემეტის წიგნში ვკითხულობთ: „ერთხელ ბურგომისტრმა ხელმეორედ გამოიძახა ტოტფალუში და აცნობა მას, რომ რუსთა ელჩთან მას ფული ელოდება, ელჩს სურს ფული პირადად მას გადასცეს.

ტოტფალუში ჰააგას გაემგზავრა. რუსთა ელჩმა მას არჩილ მეფის წერილი გადასცა. მეფე ტოტფალუშს თავის კმაყოფილებას და მადლობას უთვლიდა და წერილთან ერთად ფულსაც ბევრს უგზავნიდა ოქროთი".

ტოტფალუში ამსტერდამში 1689 წლამდე ცხოვრობდა, შემდეგ კი ტრანსილვანიაში დაბრუნდა. აქედან, ცხადია, რომ არჩილის წერილთან დაკავშირებით ქართული შრიფტის ამსტერდამში დამზადება 1686-1689 წლების პერიოდს უნდა ემთხვეოდეს. ამ თარიღის დადგენა და თვით არჩილის ურთიერთობა ამსტერდამის მესტამბეებთან მეტად საინტერესო საკვლევ მასალას წარმოადგენს, რომლის შესწავლის შემდეგ პოეტ-აკადემიკოსის გ. ლეონიძის მიერ გამოთქმული აზრი იმის შესახებ რომ: „თუ 1697 წელს სნაგოვში (ანთიმ ივერიელის მიერ) დაბეჭდილი ქართული წიგნი აღმოჩნდა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ არჩილ მეფის მონაწილეობა, რადგან იგი მეცადინეობდა ევროპაში ქართული სტამბის საქმეებისათვის" (ჟურნ. „დროშა" 1951 წ. № 2, გ. ლეონიძე „ანთიმ ივერიელი"), „სავარაუდო" კი აღარ იქნება, არამედ, საქართველოს ბეჭდვითი საქმის ისტორიაში შევა, როგორც მნიშვნელოვანი და უდავო ფაქტი.




უნგრელი მწერლის ნემეტ ანდორის წიგნის „ასოების ოსტატის" გარეკანი.

* „თავის გასამართლებლად"— გვ. 111.
** ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

* „ასოების ოსტატი" — გვ. 145-147 და გვ. 151

საჯარო ბიბლიოთეკა



# აჯანყება „პოტიომკინზე“

**დავით მაისურაძე**

**1905 წელს** მუშათა და გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ და მეფის ჯარების მთელმა რიგმა დამარცხებებმა რუსეთ-იაპონიის ომში თავისი გავლენა მოახდინა არმიაზე. წყნარი ოკეანის ფლოტის დაღუპვამ, რაც მეფის სარდლების უნიჭობისა და გამცემლობის შედეგი იყო, მეზღვაურების უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. ამას უნდა დავუმატოთ ის არაადამიანური პირობები, რომელშიც ჯარისკაცებსა და მატროსებს უხდებოდათ სამხედრო სამსახურის მოხდა: ოფიცრები ყოველნაირად ამცირებდნენ ჯარისკაცებისა და მატროსების ადამიანურ ღირსებას, სულ უმნიშვნელო დანაშაულისათვის სასტიკად სჯიდნენ მათ, საპყრობილეში ათავსებდნენ, დასვენების დროს ქალაქში გასვლის უფლებას არ აძლევდნენ, ერთი სიტყვით, ისედაც ზედმიწევნით მკაცრი და აუტანელი სამხედრო დისციპლინა ადამიანის შეურაცხყოფამდე მიდიოდა. სევასტოპოლში მატროსებს ქალაქის მთავარ ქუჩებზე გავლის უფლება არა ჰქონდათ. უფრო მეტიც. ქალაქის პარკის შესასვლელთან ასეთი აბრა იყო გაკრული: „ძაღლებისა და დაბალი წოდების სამხედრო პირთა შესვლა აკრძალულია“.

არმიისა და ფლოტის ნაწილებში მღელვარება დაიწყო. ცარიზმის მთავარი დასაყრდენი შეირყა.

აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე“, მართალია, სტიქიურად დაიწყო, მაგრამ იგი არ ყოფილა შემთხვევითი. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდნენ რევოლუციურ პროპაგანდას სამხედრო ფლოტში. 1902 წელს შავი ზღვის ფლოტის ზოგიერთ სამხედრო გემებზე მატროსები უკვე იცნობდნენ ლენინურ „ისკრას“. მისი გავლენით და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მეშვეობით 1902-1903 წლებში შავი ზღვის ფლოტში შეიქმნა პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები.

1905 წელში შავი ზღვის ფლოტში რევოლუციურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა რსდმპ ცენტრალური სამხედრო-საზღვაო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც შემოკლებით ეწოდებოდა სევასტოპოლის მატროსთა „ცენტრალკა“. ფლოტის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია იმ დროს მრავალრიცხოვანი არ იყო, მაგრამ მას უდიდესი გავლენა ჰქონდა მატროსებში. „ცენტრალკის“ ხელმძღვანელები ბოლშევიკები იყვნენ.

1905 წლის გაზაფხულზე ტენდრის კუნძულზე, ოდესასა და სევასტოპოლს შორის სამხედრო გემების სასწავლო შეკრების დროს, სევასტოპოლის მატროსთა „ცენტრალკა“ ამზადებდა შავი ზღვის ფლოტის საყოველთაო აჯანყებას, მაგრამ ჯავშნოსან „პოტიომკინის“ მატროსთა ნაადრევმა გამოსვლამ დაარღვია ეს გეგმა. „პოტიომკინი“ მაშინ შავი ზღვის ფლოტის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ხომალდი იყო. მასზე ითვლებოდა რვაასამდე მატროსი.

„პოტიომკინი“ ოდესასთან ახლოს იდგა და მატროსებმა კარგად იცოდნენ, თუ რა ხდებოდა მაშინ ამ ქალაქში, იცოდნენ, თუ როგორ მხეცურად უსწორდებოდნენ პოლიციელები გაფიცულ მუშებს. რევოლუციური მატროსები არა მარტო თანაუგრძნობდნენ გაფიცულ მუშებს, არამედ აღგზნებული იყვნენ სურვილით დახმარება გაეწიათ მათთვის.

26 ივნისს მატროსების სადილის გასაკეთებლად გემზე მოიტანეს ხორცი და კედელზე ჩამოკიდეს. დილაადრიანად, როცა ერთ-ერთმა მატროსმა ხორცთან ახლოს გაიარა, საშინელი სიმყრალე იგრძნო. როცა ხორცს ახლოს დაუკვირდა, შენიშნა რომ მასში მატლები დაღოღავდნენ. მან მოიხმო კიდევ ორი-სამი ამხანაგი და რამდენიმე წუთში მთელი გემის მატროსები აღშფოთებამ მოიცვა. ატყდა აურზაური, ოფიცრების ლანძღვა-გინება. ყველაზე მეტი ლანძღვა გაისმოდა მომარაგების უფროსის მაკაროვის მიმართ. მალე გამოვიდა გემის მეთაური გოლიკოვი ექიმ სმირნოვთან ერთად.

სულგანაბული მატროსები მოუთმენლად ელოდნენ, თუ რას იტყოდა ექიმი. მან გასინჯა ხორცი, მეთაურს შეხედა და წაილუღლუღა:

— არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. ხორცში მატლის გაჩენა ეს ზაფხულის ბრალია. ცხელ წყალში გაავლეთ და ხორცი საჭმელად გამოდგება.

ექიმის ამ უტიფარმა განცხადებამ კიდევ უფრო მეტად აღაშფოთა მატროსები. გაისმა მრისხანე შეძახილები.

მეთაურმა გოლიკოვმა დაიყვირა:

— დაიშალეთ!

მატროსები დაიშალნენ, მაგრამ როცა სადილის დრო მოვიდა, ერთსულოვნად უარი განაცხადეს მატლებიანი ხორცისაგან გაკეთებული ბორშჩის ჭამაზე.

მოვიდა უფროსი ოფიცერი გილიაროვსკი, რომელიც მუქარით ცდილობდა აეძულებინა მატროსები ეჭამათ აყროლებული ბორშჩი, მაგრამ მიზანს რომ ვერ მიაღწია, ჯავშნოსანის მეთაურთან წავიდა საჩივლელად.

მეთაურმა მატროსებს უბრძანა მწყობრში ჩამდგარიყვნენ.

გემის ექიმმა სმირნოვმა გასინჯა ერთი კოვზი ბორში და მატროსებს მიმართა: „საუცხოო ბორშჩია, მასში არავითარი მატლები არ არის“.

— ვინც თანახმაა ისადილოს, მწყობრიდან გამოვიდეს!— გაისმა ბრძანება. მატროსებმა იწყეს მწყობრიდან გამოსვლა, მაგრამ 30 კაცი ადგილიდან არ დაიძრა. მაშინ უფროსმა ოფიცერმა გილიაროვსკიმ ყარაული გამოიძახა და უბრძანა მწყობრში მდგომი მატროსების დახვრეტა.

— ძმებო, არ გვესროლოთ! — გაისმა დასახვრეტად განწირულთა ხმა. ყარაულის შემადგენლობიდან მართლაც არ გამოჩნდა ისეთი ჯალათი, რომელიც იკისრებდა თავის ძმებისათვის ტყვია ესროლა.

მაშინ გილიაროვსკიმ იძრო რევოლვერი და თვითონ სცადა „ურჩი“ მატროსების დახვრეტა. ამ დროს რევოლუციონერი მატროსი ვაკულენჩუკი სწვდა ხელში გილიაროვსკის, რომ მისთვის იარაღი წაერთმია, მაგრამ უკანასკნელმა მოასწრო გასროლა და ვაკულენჩუკი მოჰკლა.

ეს ამბავი აჯანყების სიგნალი გახდა.

გაისმა აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორის მატროს მატიუშენკოს მოწოდება:

— იარაღი აისხით, ძმებო! გვეყოფა მონებად ყოფნა!

რამდენიმე წუთში შეიარაღებულმა მატროსებმა იწყეს საძულველ ოფიცრებთან ანგარიშის გასწორება.

პირველად მოკლულ იქნა გილიაროვსკი. კიდევ რამდენიმე შეტაკება და ჯავშნოსანი „პოტიომკინი“ აჯანყებული მატროსების ხელში აღმოჩნდა. ოფიცრები ისე დაფრთხნენ, რომ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ გაბედეს. ერთ-ერთმა ოფიცერმა—ტოლიმ სცადა ჯავშნოსანის აფეთქება, მაგრამ მატროსებმა მას დროზე მიუსწრეს და მოჰკლეს. ჯავშნოსანის მეთაური გოლიკოვი მატროსებმა გაასამართლეს და შეძახილებით — „ძირს ჯალათები!“ — გემიდან გადააგდეს, თანაც ტყვია მიაყოლეს.

ასევე დასაჯეს „პოტიომკინზე“ მომხდარი სისხლისღვრის ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე, ექიმი სმირნოვი.

სმირნოვი აჯანყებულთა უკანასკნელი მსხვერპლი იყო.

აჯანყებულმა მატროსებმა შექმნეს რევოლუციური კომიტეტი— „გემის კომისია“ 15 კაცის შემადგენლობით. ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხები მატროსთა საერთო კრების მიერ წყდებოდა. გემის მეთაურად დანიშნულ იქნა ერთ-ერთი უმცროსი ოფიცერი ალექსეევი, მაგრამ მატროსები სასტიკად მოსტყუვდნენ ამ არჩევანში. ალექსეევმა თავი გამოავლინა, როგორც ყოვლად უსუსურმა, მხდალმა ადამიანმა, რომელიც უფრო მეტს ფიქრობდა თავის ტყავზე და რომელსაც გაბედული მოქმედების არავითარი უნარი არ გააჩნდა. — უფრო მეტიც, როგორც შემდგომ გამოირკვა, ალექსეევი მოღალატე იყო.

აჯანყების მეორე დღეს „პოტიომკინი“ ოდესისაკენ გაემართა, სადაც მაშინ მუშათა საყოველთაო გაფიცვა იყო. ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ რევოლუციის წითელი დროშა ფრიალებდა. მოსალოდნელი იყო, რომ მუშათა აჯანყებასთან რევოლუციონერი მატროსების შეერთება საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებად გადაიქცეოდა, მაგრამ ოდესის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა, რომელიც მენშევიკების ხელში იყო, ხელი შეუშალა „პოტიომკინს“ დესანტი გადაესხა და ოდესელ მუშებს დახმარებოდა. ამით ისარგებლა მეფის ხელისუფლებამ და მიიღო ზომები აჯანყების ჩასაქრობად. 28 ივნისს, როცა ოდესის ნავსადგურში მატროს ვაკულენჩუკის ცხედართან ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა, პოლიციამ დრო იხელთა და საზიზღარ პროვოკაციას მიმართა: სამოქალაქო ფორმაში გადაცმულმა პოლიციელებმა და შავრაზმელებმა იწყეს ღვინის სარდაფების, მაღაზიების დარბევა და ცეცხლი წაუკიდეს ნავსადგურს. ხანძრის ჩასაქრობად მოსული რაზმი პოლიციამ უკან გააბრუნა.

მეფის ხელისუფლებას საბაბი მიეცა საალყო წესების გამოსაცხადებლად. მახლობელი რაიონებიდან გამოწვეულ იქნა მრავალრიცხოვანი ჯარი და არტილერია. დაიწყო აჯანყებულთა დარბევა, რომლის დროსაც მეფის ჯალათებმა ორი ათასზე მეტი მუშა მოჰკლეს.

29 ივნისს დანიშნული იყო მატროს ვაკულენჩუკის დაკრძალვა. მეფის ჯარების სარდალმა გენერალმა კოხანოვმა „პოტიომკინის“ 12 მატროსს სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობის ნება დართო. მაგრამ დასაფლავებიდან დაბრუნებისას მატროსებს სროლა აუტეხეს. ამ ამბით აღშფოთებული მატროსები მიტინგზე შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს „პოტიომკინიდან“ ქვემეხები ესროლათ ქალაქის თეატრისაკენ, სადაც თავმოყრილნი იყვნენ მეფის ჯარები და პოლიცია. „პოტიომკინის“ ქვემეხებმა რამდენჯერმე დაიგრუხუნეს, რამაც შიშისზარი დასცა მეფის არმიის სარდლობას და ქალაქის ხელისუფლებას. დამფრთხალმა გენერალმა კოხანოვმა განკარგულება გასცა, საპყრობილეებიდან გაენთავისუფლებინათ ყველა პოლიტიკური პატიმარი. ქალაქის თავი „პოტიომკინზე“ პურ-მარილით გამოცხადდა და მუდარა დაუწყო აჯანყებულ მატროსებს: შეწყვიტეთ ზარბაზნების სროლა და თუ ამას შეასრულებთ, პირობას გაძლევთ, საწვავსა და სურსათს მოგცემთო. ეს დაპირება მართლაც შესრულებული იქნა.

მაგრამ „პოტიომკინის“ ზარბაზნების გასროლა გაცილებით მეტი ეფექტიანი იქნებოდა, რომ იგი მიზანში მოხვედრილიყო. საქმე იმაშია, რომ ჯავშნოსანის მემიზნე ვედეემერი, რომელიც გამცემი აღმოჩნდა, ქვემეხების გასროლას განგებ აცილებდა სწორ მიზანს.

მეფე ნიკოლოზ II, როგორც კი შეიტყო „პოტიომკინის“ აჯანყების ამბავი, შავი ზღვის ფლოტის სარდალს ადმირალ ჩუხნინს, რომელიც მაშინ პეტერბურგში იმყოფებოდა, უბრძანა დაუყოვნებლივ წასულიყო სევასტოპოლში და ჩაექრო აჯანყება. სევასტოპოლში თავმოყრილ იქნა მთელი ესკადრა 12 სამხედრო გემის შემადგენლობით, რომელიც „პოტიომკინის“ წინააღმდეგ დაიძრა. „პოტიომკინის“ აჯანყებულმა მატროსებმა შეიტყვეს, რომ ერთი რევოლუციური ჯავშნოსნის წინააღმდეგ მიემართებოდა მთელი ესკადრა და გაბედულად შეეგებნენ მას.

მაგრამ დამსჯელი ესკადრის მატროსებმა უარი განაცხადეს თავიანთ ძმებთან ბრძოლაზე. ესკადრის ყველა გემის მატროსები „ვაშას“ ძახილით შეხვდნენ „პოტიომკინს“. ესკადრის სარდლობა იძულებული გახდა გემები უკანვე გაებ-



სურსათ-სანოვაგის მიზიდვა ჯავშნოსან „პოტიომკინზე“.

პროფ. მუჩნიკის სურათიდან

# უოლტ უიტმენი



1855 წლის ივლისში ამერიკაში გა-მოვიდა უცნაური ლექსების წიგნი; იგი მწვანე ყდაში იყო ჩასმული და ზედ ბალახის ფურცლები ჰქონდა დატვიფ-რული, სახელადაც „ბალახის ფურც-ლები“ (Leaves of Grass) ერქვა; ავ-ტორის სახელი არ ეწერა, მხოლოდ ერთ ლექსში ასე ასახელებდა თავს პოეტი: „მე — უოლტ უიტმენი“...

ამჟამად ეს წიგნი მსოფლიოს ყველა კულტურულ ენაზეა თარგმნილი. მისი პოპულარობის შესახებ მეტყველებს ისიც, რომ მშვიდობის მსოფლიო საბ-ჭოს გადაწყვეტილებით წლევანდელ ზაფხულს მთელი მშვიდობისმოყვარე, პროგრესულად განწყობილი კაცობრი-ობა აღნიშნავს „ბალახის ფურცლების“ გამოსვლის 100 წლის თარიღს.

ნახევარი საუკუნე დასჭირდა ამ უდი-დესი პოეტის აღიარებას. უიტმენს მთე-ლი თავისი სიცოცხლის მანძილზე უჭირ-და გამომცემლების პოვნა; „ბალახის ფურცლების“ პირველი გამოცემის აწ-ყობა თავისი ხელით მოუხდა. ბევრი სტატია და წერილი გამოუქვეყნებელი დარჩა. „ბალახის ფურცლების“ გამოსვ-ლას სალანძღავი რეცენზიებით შეხვდ-ნენ, მისი ავტორი გიჟად მიაჩნდათ, წიგნს უზნეობას სწამებდნენ. მხოლოდ რამდენიმე ლიტერატორი და პოეზიის მოყვარული მიესალმა ამ ახალი პოეტის გამოჩენას. შემდეგში ეს წიგნი თანდა-თან გავრცელდა და ხალხის ფართო მა-სებს დაეუფლა.

უიტმენის პოეზია სრულიად ახლე-ბური, საოცრად ორიგინალური იყო რო-გორც ფორმის, ისევე შინაარსის მხრი-ვაც. თავად უიტმენიც თავის თავს ახალი პოეზიისა და რელიგიის შემქმნელად თვლიდა. მისი „რელიგია“ — ერთობა, თანასწორობა და დემოკრატიაა. „მე ვა-დიდებ ჩემს თავს, და ეგრევე ყველას, რადგან ყოველივე, რაც მე გამაჩნია, თქვენც ყველას გაქვთო“, — ასე იწყება მისი საუკეთესო პოემა „სიმღერა ჩემს თავზე“. უიტმენი უმღეროდა ძლიერი, ჰარმონიული პიროვნებისა და ასეთი პიროვნებებისაგან შემდგარი დემოკრა-ტიული მასის იდეალს: „ერთს ვუმ-ღერ — ყოველ უბრალო, ცალკეულ პი-როვნებას და მაინც დემოკრატიულ სიტყვას ვიძახი, სიტყვას — „en masse“, — ამბობდა იგი.

უიტმენი დემოკრატიისა და თანას-წორობის უდიდესი მომღერალია.

უმთავრესი, რაც უიტმენის პოეზიას ახასიათებს, ეს არის გრანდიოზულობა. უსასრულო სამყარო, უსასრულო სივრ-ცე და დრო იშლება მას ლექსებში. და-მახასიათებელია მისი ლექსი „Salut au monde“, რომელშიაც მთელ მსოფლიოს უმღერის პოეტი. ბალახის ფურცლებიდან და მისი საყვარელი ამე-რიკული პეიზაჟის უმცირესი წვრილმა-ნებიდან დაწყებული, ვარსკვლავთა მი-რიადებამდე — ყველაფერია მის ლექ-სებში. აფრიკელი ზანგები და ამერიკე-ლი ინდიელები, ესპანელები და ფრან-გები, მსოფლიოს ყველა ერი და ყველა რასა მისი სიმღერის საგანია.

უიტმენი გაურბოდა პოეზიის ტრადი-ციულ ფორმებს. მისი ლექსი ლაღი რიტ-მული საზომებითაა გამართული, კანო-ნიკური რიტმითა და რითმებით არაა შეზღუდული; იგი ემყარებოდა ხალ-ხური პოეზიის ტრადიციებს. ამერიკის აბორიგენთა — წითელკანიან ინდიელ-თა — ზეპირსიტყვიერებასაც იშველიებ-და ლექსის ფორმის ძიებისას. მისი მეტყველებაც ხალხურია, მაგრამ ბიბ-ლიური ელფერიც გადაჰკრავს; ეს იმი-ტომ რომ უიტმენი შეგნებულად ცდი-ლობდა მონუმენტურ, ბიბლიურ ფორ-მაში მოექცია თავისი ნააზრევი.

უიტმენის პოეზია საბჭოთა ხალხე-ბის დიდი სიყვარულით სარგებლობს. საკმარისია ითქვას, რომ უიტმენმა გავლენა მოახდინა მაიაკოვსკის შემოქ-მედებაზე. რუსულად არსებობს „ბალა-ხის ფურცლების“ რამდენიმე თარგმანი და ათეულობით გამოცემა.

ქართულ ენაზეც არის უიტმენის ლექ-სების პატარა წიგნი.

უიტმენის პოეზია უმღერის სიცოც-ხლის სიხარულსა და ხალხთა შორის ძმობას. ამიტომ იგი მუდამ დარჩება მსოფლიოს ყველა ხალხის საყვარელ მწერლად.

**კარლო ქილარჯიანი**

უოლტ უიტმენი

## ქამთაღმწერელნო მომავალ დროთა

ქამთაღმწერელნო მომავალ დროთა,
მე თქვენ აგიხსნით არაფრისმთქმელ ჩემს გარეგნობას
და რა უნდა სთქვათ ჩემს შესახებ, გეტყვით თვითონვე.
გამოაქვეყნეთ სახელი და მსგავსება ჩემი, რამეთუ იგი სახელია მისი,
ვინც ქვეყნად უნაზესი ტრფობა იცოდა,
სახელი ძმის და მოყვასისა — მეგობართა და მოყვასთაგან მოყვრიანისა,
მისი, ვინც არა სიმღერებით, არამედ გულში ვერდატეულ სიყვარულის
ოკეანით რომ ამაყობდა
და ამ სიყვარულს იგი ღვრიდა დაუზოგველად.
ვინც ხშირად, მარტო მოსეირნე, მეგობრისა და მოყვრისათვის ფიქრს ეძლეოდა.
ვინც მოშორებით მისგან, მას რომ ძლიერ, ძლიერ უყვარდა —
იწვა მჭმუნვარე, ღამეების თეთრად მთეველი,
ვინც ზარდამცემი, ზარდამცემი უწყოდა შიში, რომ იგი, ვინც უსაზღვროდ
გიყვარს — იდუმალ იქნებ გულგრილია შენდამი იგი.
ვისთვის დღე იყო ბედნიერი —
ტყეში და ველად და მინდვრებზე ხეტიალი მიჯნურთან ერთად,
ვინც მოსეირნე მეგობართან მკლავმოხვეული ვიდოდა ქუჩად და მისი მკლავიც,
მისი მკლავიც მხრებზე ეხვია.

## მკითხველს

შენში ჰფეთქს სიცოცხლე და სიყვარული, ისეთივე მძლე და ამაყი
როგორც ჩემში —
ამიტომ შენთვის მაქვს ეს სიმღერები.

თარგმნა **თამაზ ჩხენკელმა**

---

რუნებინა, ხოლო ერთ-ერთი ჯავშნოსანი — „გიორგი პობედონოსეცი“ აჯან-ყებულთა მხარეზე გადავიდა. პოტიომკინელების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მაგრამ მეორე აჯანყებულ გემზე — „გიორგი პობედონოსეცზე“ განმეორდა ის საბედისწერო შეცდომა, რაც „პოტიომკინზე“. გემზე ხელშეუხებელი დარჩა ზოგიერთი უფროსი ოფიცერი და უმცროსი მეთაური, — ეგრეთ წოდებული კონ-დუქტორები, რომლებიც ხრწნიდნენ და აშინებდნენ მატროსებს, ირწმუნებოდნენ, აჯანყება უიმედო საქმეაო. გემის მეთაურად არჩეულ იქნა ბოცმანი კუზმენკო, რომელიც გამცემი აღმოჩნდა. კონტრრევოლუციონერმა ოფიცრებმა „გიორგი პო-ბედონოსეცი“ მეჩეჩზე გარიყეს. ხოლო „პოტიომკინი“ კვლავ მარტო განაგრძობდა ბრძოლას.

ფლოტის სარდლობამ გადაწყვიტა „პოტიომკინის“ წინააღმდეგ ამჯერად ფარუ-ლად გაეგზავნა ნაღმოსანი, რომელიც ღამის წყვდიადში უნდა მიპარვოდა რევო-ლუციურ ჯავშნოსანს და აეფეთქებინა იგი. ნაღმოსანის გუნდი შედგენილი იყო მხოლოდ მარტო ოფიცრებისაგან. მთავრობა უკვე აღარ ენდობოდა მატრო-სებს. მაგრამ მეფის ნაღმოსანმა ვერ შესძლო რევოლუციური ჯავშნოსნის ჩაძირვა.

11 დღის ნაოსნობის შემდეგ პირველი რევოლუციური სამხედრო ხომალდი, რომელსაც ქვანახშირი და სურსათი შემოელია, იძულებული გახდა წასულიყო რუმინეთის ნავსადგურ კონსტანციისაკენ და რუმინეთის ხელისუფალთ დანებებო-და. „პოტიომკინის“ მატროსების მნიშვნელოვანი ნაწილი რუმინეთიდან გაემგზავ-რა ამერიკაში, ბრაზილიასა და კანადაში. ზოგიერთები კი იქვე დარჩნენ და ხელი მიჰყვეს სოფლის მეურნეობას. 768 აჯანყებული პოტიომკინელიდან რუსეთში დაბ-რუნდა მხოლოდ 54 მეზღვაური. ბევრი მათგანი სიკვდილით დასაჯეს, ნაწილი კი მუდმივ კატორღაში გადაასახლეს.

ამრიგად, მეზღვაურთა აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ მარცხით დამთავ-რდა. ამ მარცხის მიზეზი ის იყო, რომ აჯანყებას არ გააჩნდა სწორი და საკმაოდ გამოცდილი ხელმძღვანელობა. ეს გასაგებიც არის: მაშინ, 1905 წელს ბოლშევი-კების პარტია არ იყო ერთადერთი პარტია, რომელიც მოძრაობას ხელმძღვანე-ლობდა, „პოტიომკინზე“ ბოლშევიკების გარდა ცოტანი როდი იყვნენ მენშევიკები, ესერები და ანარქისტები, რომლებიც სიმხდალეს, მერყეობას და ორჭოფობას იჩენ-დნენ, სწორი გზიდან აცდენდნენ რევოლუციონერ მატროსებს. აჯანყებულებს წი-ნასწარ შემუშავებული არა ჰქონდათ მოქმედების გეგმა.

დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ რაკი აჯანყება დაწყებულია, საჭიროა უდი-დესი გაბედულებით მოქმედება და, უეჭველად, უსათუოდ გადასვლა შეტევაზე. პოტიომკინელთა ნაწილი კი გადამწყვეტ მომენტში შეყოყმანდა, შავი ზღვის ფლო-ტის დანარჩენი გემები არ შეუერთდნენ ჯავშნოსან „პოტიომკინს“ და ამან გადაწ-ყვიტა აჯანყების ბედი.

„მაგრამ თვით აჯანყების ფაქტს, — ვკითხულობთ პარტიის ისტორიის მოკლე კურსში, — განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აჯანყება ჯავშნოსან „პო-ტიომკინზე“ იყო პირველი მასობრივი რევოლუციური გამოსვლა არმიასა და ფლოტში, მეფის ჯარების დიდი ნაწილის პირველი გადასვლა რევოლუ-ციის მხარეზე. ამ აჯანყებამ მუშათა, გლეხთა და, განსაკუთრებით, თვით ჯარისკაცთა და მეზღვაურთა მასებისათვის უფრო გასაგები და მახლობელი გახადა მუშათა კლასისადმი, ხალხისადმი არმიისა და ფლოტის შეერთების აზრი“.

„ოდესაში მომხდარი აჯანყება და რევოლუციის მხარეზე ჯავშნოსან „პოტიომ-კინის“ გადასვლა, ამბობდა ლენინი, მოასწავებს ახალი და დიდი ნაბიჯის გა-დადგმას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაო-ბის განვითარებაში“.

ლენინმა, საზღვარგარეთ, ჟენევაში ყოფნის დროს, როგორც კი მიიღო ცნობა „პოტიომკინის“ აჯანყების შესახებ, სასწრაფოდ გამოიძახა ბოლშევიკი ვასილიევ-იუჟინი და თავისი სახელმძღვანელო მითითებით გაგზავნა ოდესაში აჯანყებისადმი ხელმძღვანელობის გასაწევად. მაგრამ, როცა ვასილიევ-იუჟინი ოდესაში ჩავიდა, ხომალდი უკვე რუმინეთისკენ იყო წასული.

# ჭ ა დ რ ა კ ი

თეთრები: **ა. ს. ებრალიძე** (საქ. ს. ს. რ.)
შავები: **ვ. გ. ტარასოვი** (მოლდავეთის ს. ს. რ.)

**ნათამაშევია საბჭოთა კავშირის მე-23 პირველობის ზონალურ ტურნირში.**

1. d2 — d4 მ g8 — f6
2. c2 — c4 g7 — g6
3. მ b1 — c3 კ f8 — g7
4. e2 — e4 d7 — d6
5. h2 — h3 c7 — c5
6. d4 — d5 . . .

ამის მაგივრად თეთრებს, რომ ეთამაშნათ 6.dc მაშინ პასუხი იქნებოდა: 6. . . . ლ a5!

6. . . . 0 — 0
7. მ g1 - f3 e7 — e6
8. კ f1 — d3 e6 : d5
9. e4 : d5 ე f8 — e8 +
10. კ c1 — e3 კ g7 — h6



შავები ჩამორჩენილნი არიან განვითარებაში, მათი ლაზიერის ფრთის ფიგურები საწყის პოზიციებზეა და მეფის ფრთის კუთი ეს აგრესიული (პაიკის მოგების მიზნით) სვლა უვარგისია.

11. 0 — 0! კ h6 : e3?

აქ შავებისათვის უკეთესი სვლა იყო 11. · · · კ g7! მართალია ისინი ამით თავს მორალურად დამარცხებულად ჩათვლიდნენ, მაგრამ რეალურად მხოლოდ ეს იყო მათთვის პარტიის გადარჩენის ცდის ერთადერთი საშუალება.

12. f2 : e3 ლ d8—e7

შავები ვერ ბედავენ e3 — პაიკის ალებას, რადგან ამისი პასუხი იქნებოდა; მაგალითად: 12. · · · ე : e3; 13. ლ d2 ლ e7 14. ე ae1 ე : e1; 15. ე : e1 ლ f8; 16. მ. b5' და ა. შ.

13. e3 — e4 a7 — a6
14. ლ d1—d2 მ b8 — d7
15. ე f1 — f2! მ f6 — h5
16. g2 — g4 მ h5 — g7
17. ლ d2 — h6 f7 — f6
18. e4 — e5! . . .



ეს სვლა გადამწყვეტ უპირატესობას აძლევს თეთრებს. ამით თეთრების მხედრისათვის თავისუფლდება e4 — უჯრედი და d3 -- კუსათვის კი იხსნება გზა b1 —h7 დიაგონალზე.

18. · · · მ d7 : e5
19. მ f3 : e5 d6 : e5

თუ ამის მაგივრად: 19. · · · ლ : e5; მაშინ გაგრძელება იქნებოდა: **20. მ e4 ე f8 21. ე af1 მe8 22. მ g5!** და ა. შ.

20. d5 — d6 ლ e7 — d8

ყველა სხვა სვლა უარესია, მათ არ შეეძლოთ d6 — პაიკის ალება შემდეგ ვარიანტის გამო, მაგალითად: 20. ·· ლ : d6; 21. მ e4 ლ : d3; 22. მ : f6 + და ა. შ.

21. მ c3 — e4 ე e8 — e6

შავებს შეეძლოთ ეტლით f8 — უჯრედზეც გადასვლა, ამ შემთხვევაში გაგრძელება იქნებოდა: 22. ე af1 მ e8; 23. მ : f6! + და შემდეგ კ : g6 ადვილი მოგებით.

22. ე a1 — f1 მ g7—e8
23. მ e4 — g5 ლ d8 — d7

არ შეიძლებოდა g5—მხედრის ალება შამათის გამო.

24. მ g5 : e6 ლ d7 : e6
25. კ d3 : g6!



შავები დანებდნენ თუ ახლა : 25. · · h : g6; მაშინ 26. ლ : g6 + მფ h8; 27. ე : f6 მ : f6; 28. ე : f6 და შავებმა ან უნდა მიიღონ შამათი ან წააგონ ლაზიერი.

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი



ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

5. მოხეტიალე, მწირი. 6. აზერბაიჯანელი პოეტი-ჰუმანისტი. 9. დიდი უნგრელი კომპოზიტორი. 11. სახალხო პოეტი-მომღერალი ყაზახეთში და ყირგიზეთში. 12. უმაღლესი სასწავლებელი. 15. განდეგილი. 18. ყოველ ქონებას მოკლებული. 19. გამოჩენილი საბჭოთა მხატვარი. 20. ადგილი ექსპონატების განლაგებისათვის. 21. ქალაქი კოსტრომის ოლქში. 24. მუსიკალური ტემპი. 26. ისტორიული ადგილი საქართველოში. 27. ბალტიის ფლოტის კრეისერი. 31. ბოლშევიკური პარტიის მოღვაწე, პროფესიონალი-რევოლუციონერი ქალი. 33. მუსიკალური ინსტრუმენტი. 34. საბჭოთა დრამატურგი. 35. ბელორუსი საბჭოთა მხატვარი. 36. მდინარე სსრ კავშირში.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. გერმანელი ფილოსოფოსი. 2. ნორვეგიელი დრამატურგი. 3. სახელმწიფო ცენტრალურ აზიაში. 4. სტ. ცვეიგის ნაწარმოები. 7. ფრანგი კომუნისტი მხატვარი. 8. ანძაზე მიბმული მავთული რადიოტალღების დასაჭერად. 10. ავტომობილის მარკა. 13. წერილობითი დახასიათება. 14. გამოჩენილი რუსი მეცნიერი, ნიადაგმცოდნეობის ფუძემდებელი. 16. მოლიერის კომედიის პერსონაჟი. 17. სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობა ხელშეკრულების გარეშე. 22. ქალაქი და ნავსადგური კუნძულ კორსიკაზე. 23. დიდი ავსტრიელი კომპოზიტორი. 25. ციურ მნათობთა მოძრაობის გზა. 28. დანიის პროგრესული მწერალი. 29. ქალაქის მოედნებსშუა გაშენებული ბაღი. 30. ლიტერატურის ერთ-ერთი სახე. 32. ტრანსპორტის სახე აღმოსავლეთში.

## ჟურნ. „დროშის“ № 6-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. ეხო. 2. ერგი. 3. ტრავმა. 4. არა. 5. დიეზი. 6. სკიპტრა. 7. ოლა. 9. ზონდი. 10. აფთი. 11. იონი. 12. რაჯა. 13. რეტორტა. 14. ამბრი. 15. როსინი. 19. ასო. 20. ია. 22. იეზუიტი. 23. ილი. 24. აუდიფონი. 25. გა. 26. ოგაიო. 29. ინდექსი. 30. იქმა. 31. ომი. 32. ნარმა. 34. აბიტურიენტი. 35. აგრეგატი. 36. იაგო. 37. ირანი. 40. ოდიში. 41. ბარი. 43. უფა. 44. აზოტი. 46. იანკი. 47. ბჭე. 48. იენა. 49. არხი. 50. რომული. 54. როკოკო. 55. აკუსტიკა. 57. ალმანახი. 61. ობი. 62. არკა. 63. ამაო.

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

6. სერსო. 7. ორგია. 8. არიოზო. 16. დეა. 17. აპოთემა. 18. ანძა. 19. არია. 21. ადაჯიო. 27. უზურპატორი. 28. იეროგლიფი. 30. იადონი. 32. ნოტა. 33. ომეგა. 34. ანომალია. 38. მი. 39. ინტერმეცო. 42. პუმა. 45. ბიცი. 46. ირტიში. 51. ეტრატი. 52. ოპტიკა. 53. ანუ. 54. როლანი. 56. კრონი. 57. ანტი. 58. გამა. 59. ძაუ. 60. ბო. 64. ქრომი.


რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ზ. ლეჟავამ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91 ტელეფონები: რედაქტორის—3-52-69, პ/მგ. მდივნის—3-95-38.

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VII-55 წ. გამომც. № 74. ქაღ. ზომა $70 \times 108^1/_8$. ნაბეჭდი ფურც. $3^1/_2$. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 394. უე 03262

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.



საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა

# სცენები მზიან დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი-ხუმრობა გ. ფირცხალავასი.

ფასი 3 მან.

ნ·67/89

ეროვნული ბიბლიოთეკა

